საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80.

დღიური

- სახალხო არმიამ დასცალა პეკინი.
- პოლონეთში მოელიან მონარქიის გამოცხადებას.
- საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში ბონკური ჩავიდა ბერლინში.
- ინგლისის ნახშირის მრეწველობის კრიზისი ფართოვდება.
- ამუნდსენის დირიჟაბლი ლენინგრადში ჩაფრინდა.

შაბათი, 17 აპრილი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 86 (1514)

მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის

მომავალ პირველ მაისს გაუდის ვადა ხელშეკრულებას ინგლისის მემაღაროეებსა და მაღაროების პატრონთა შორის. ორივე მხარე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება. შეტევას აწარმოებენ მრეწველები, ხოლო მუშები თავს იცავენ. პირველნი ცდილობენ ხელფასის დაკლებას (საშუალოდ 10 პროცენტით), სამუშაო დღის გადიდებას (ერთი საათით), ასი ათასამდე მუშის დათხოვნას, ხელშეკრულებათა დადებას ოლქობრივ და არა საერთო—ინგლისის მასშტაბით, როგორც ეს დღემდე არის. მუშების **უახლოეს** ამოცანას კი შეადგენს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება მაინც.

კლასობრივ ბრძოლას ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში დიდი ისტორია აქვს, კერძოდ შარშან საქმე კინაღამ არ მივიდა მემაღაროეთა გაფიცვამდე, როცა მრეწველებმა მოიწადინეს ზევით ჩამოთვლილ განზრახვების განხორციელება. მაშინ ინგლისის მუშათა კლასმა გამოიჩინა იშვიათი სიმტკიცე და სოლიდარობა თავის ინტერესების დაცვაში. კაპიტალისტების წინააღმდეგ ერთსულოვნად ადგენ არა მარტო მემაღაროები, არამედ მათ ენერგიულად დაუჭირეს მხარი სხვა დარგის მუშებმაც. პროლეტარიატის ერთიანმა ფრონტმა დააფრთხო როგორც მრეწველები, ისე მთავრობა. მუშებმა შეინარჩუნეს თავისი პოზიციები.

კონსერვატიული მთავრობა ამ დროიდან მაღაროების პატრონებს აძლევს სახელმწიფო სალაროდან უხვ დახმარებას იმ „ზარალის ასანაზღაურებლად“, რომელსაც მათ თითქო აყენებს მუშებთან დადებული ხელშეკრულება. ამ სუფსიდიის გაცემის ვადა თავდება პირველ მაისს, როცა ნახშირის მრეწველობაში უნდა დაიდეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულება. ამავე დროს მთავრობამ დანიშნა კომისია ნახშირის მრეწველობის გამოსაკვლევად. სანახშირო კომისიამ, რომელშიც უმთავრესად შედიოდენ მრეწველები და ბანკირები, ამას წინეთ გამოაქვეყნა თავისი „მუშაობის“ შედეგები. კომისიის დასკვნები მთლიანად იცავენ მრეწველების ინტერესებს. ხელფასის დაკლება 10 პროცენტით, რაიონული შეთანხმება მუშებთან—აი მისი მთავარი მუხლები.

მკითხველმა, სხვათა შორის, უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს რაიონულ შეთანხმებათა შემოღების მოთხოვნა მთელი ინგლისის მასშტაბით დაწესებულ ხელშეკრულებათა ნაცვლად. ესაა მუშათა ერთიანი ფრონტის დარღვევის, მუშათა რიგებში არევ-დარევის შეტანის ცდა, რომ კაპიტალისტებმა უფრო ადვილად შესძლონ მათზე გამარჯვება. შესაძლებელია ასეთ შეთანხმებათა სისტემის დროს ზოგიერთ ოლქებში ხელფასი დაუკლონ არა ათი, არამედ 15, 20 და უფრო მეტი პროცენტითაც, ალაგ-ალაგ კი მოუმატონ მცირე რამ, ოღონდ საერთოდ გატარდეს ხელფასის 10 პროცენტით შემცირება. როგორც ვხედავთ, კაპიტალისტების განზრახვას შეადგენს ამ ზომით მუშათა რიგების დაქუცმაცება, მათი დაყოფა და ამნაირად მათზე გაბატონება.

მემაღაროები გადაჭრით უარს აცხადებენ სანახშირო კომისიის წინადადებების მიღებაზე. მეორე მხრივ მრეწველები ადგანან „გაღმა გაედავე, გამოღმა რომ გადარჩეს“-ის პოლიტიკას ისინი თავის მოთხოვნილებაში უფრო შორს მიდიან, ვინემ სანახშირო კომისია. მათ ათამამებს იმედი, რომ ინგლისის პროლეტარიატი დღეს ვერ დაიცავს ერთიან ფრონტს მათთან ბრძოლაში. ამ იმედს ასაზრდოებს ის გარემოება, რომ მუშათა პარტიის და ტრედიუნიონების მემარჯვენე ჯგუფები, რომელნიც „საიდუმლო დიპლომატიას“ აწარმოებენ, უკეთ—ისინი ემზადებიან მუშების გამცემლობისათვის და ნიადაგს ამზადებენ საკითხის ბურჟუაზიასთან „შეთანხმებით“ მოგვარებისათვის. ამ მხრივ საგულისხმოა სამთომადნო მუშების ინტერნაციონალის მდივნის, ინგლისელ ხოჯესის მიერ ამას წინეთ გაკეთებული განცხადება. ის ლაპარაკობს „დროებითი სიძნელეების გადალახვის საჭიროებაზე“ სანახშირო მრეწველობაში, რის შემდეგ თითქო „გაუმჯობესდება მემაღაროეთა მდგომარეობა“. იგი არსებითად დგას სანახშირო კომისიის თვალსაზრისზე და შესაძლებლად მიაჩნია ხელფასის დაკლება, „თუ სხვა გამოსავალი არ იქნება“ კრიზისის დასაძლევად; ამასთან მუშათა კლასის ეს მოღალატე მოუწოდებს მემაღაროეთა ლიდერებს, რომ მათ გაუწიონ ანგარიში „ეკონომიურ რიგის ფაქტებს“ და სხ. სხვა მემარჯვენე ლიდერები ასე აშკარად არ გამოდიან, მაგრამ უდავოა, რომ მათ სურთ ერთგვარი მერყეობა და დეზორგანიზაცია შეიტანონ თავის უფლებისათვის მებრძოლ მუშებში.

ამავე დროს მთავრობა და ბურჟუაზია ყოველ ზომას იღებენ, რომ მოემზადონ მოახლოვებულ კონფლიქტისათვის. ამისათვის მუშაობს სახელმწიფო აპარატი, ფაშისტური ორგანიზაციები, ქმნიან შტრეიკბრეხერთა რაზმებს, ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებენ პროფმოძრაობის მემარჯვენე ჯგუფებთან და სხ.

ბრძოლა მემაღაროებსა და მრეწველებს შორის და ამ ბრძოლის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, გაბედავენ თუ არა გადამწყვეტ მომენტში ამ მუშათა კლასის აშკარა ღალატს მისი მემარჯვენე შეთაურები. და რომ კიდეც ჩაიდინონ ეს ღალატი, პროლეტარიატის თუ გინდ ნაწილი გაყვება მათ თუ არა. დღემდე ოფიციალურად მაინც ტრედიუნიონების ხელმძღვანელი ორგანოები საერთოდ მხარს უჭერენ მემაღაროებს და მათ დახმარებას პირდებიან, თუმცა ზოგიერთი ცალკე პირები, როგორც ვსთქვით, „ორმაგ ბუხჰალტერიას“ აწარმოებენ. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას ინგლისის მემაღაროებთა ბრძოლის შედეგისათვის. ბრიუსელში შესდგება მემაღაროეთა მსოფლიო გაერთიანების აღმასკომის სხდომა ამ გაერთიანების პოზიციის გამოსარკვევად ინგლისში შექმნილ მდგომარეობისადმი.

პირველი მაისი მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის დღეა. ამ სოლიდარობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს ინგლისის მემაღაროებისათვის, რომელთა ბედი უნდა გადაწყდეს სწორედ პირველ მაისს. მემაღაროეთა ერთიანი ფრონტი, მათთვის აქტიური დახმარება ინგლისის დანარჩენი პროლეტარიატის მხრით, მემაღაროეთა ინტერნაციონალის და მთელი მუშათა კლასის ურყევი სოლიდარობა მათდამი მხოლოდ ასეთ პირობებში გაიმარჯვებენ ინგლისელი მემაღაროები, რაც იმავე დროს იქნება მთელი ინგლისის მუშათა კლასის და აგრეთვე მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებაც.

სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ

ჩვენი დაწესებულებების და წარმოებების თანამშრომელთა შემადგენლობაში განსაზღვრული ადგილი უჭირავთ სპეციალისტებს.

მუშაკების ამ ჯგუფის მიმართ როგორც სამუშაო ხელფასის, ისე სამუშაო დროის და სხვა სფეროში ჩვენ გვაქვს სპეციალური და ვრცელი კანონმდებლობა.

სხვათაშორის, თვით ცნება „სპეციალისტი“, „სპეცი“ არ ესმით სწორათ და ამის გამო პრაქტიკაში ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა ესა თუ ის მუშაკი ჯამაგირს ღებულობს სპეცგანაკვეთის მიხედვით, თუმცა ის სპეციალისტათ არ შეიძლება ჩაითვალოს.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში და წარმოებებში მომუშავე სპეციალისტების საერთო რიცხვი შემდეგია: ადმინისტრატიულ სამმართველო აპარატში — 238 სპეციალისტი, ე. ი. სპეციალისტების საერთო რიცხვის 36,7 პროცენტი, საბანკო დაწესებ.—103 სპ. 11,52 პროც., კოოპ. დაწესებ. 72 სპ.—8,0 პროც., სავაჭრო დაწ. 50 სპეც. — 5,59 პროც., საწარმოო დაწესებ. 341 სპეც. — 38, 14 პროც., სულ 894 სპეციალისტი.

როგორც ვხედავთ სპეციალისტები უმთავრესად თავმოყრილი არიან დაწესებულებების ორ ჯგუფში: ადმინისტრატიულ სამმართველოებში (36,7 პროც.) და საწარმოო დაწესებულებებში (38,14 პროც.).

ხელფასი თვითეულ სპეციალისტს ეძლევა (უფრო სწორად რომ ვსთქვათ უნდა ეძლეოდეს) მისი კვალიფიკაციის მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ როგორია მისი განათლება, სტაჟი, საწარმოო მიღწევები და სხვა.

თავისი კვალიფიკაციის მიხედვით სპეციალისტები ჯამაგირს იღებენ სატარიფო თანრიგით. მეცამეტე თანრიგით ჯამაგირს იღებს 59 სპეციალისტი ე. ი. 6,6 პროც., მეთოთხმეტეთი—296 სპ.—33,1 პროცენტი, მე-15-თი 260 სპ.—29,1 პროც., მე-16-ეთი 179 სპ.—20,02 პროც., მე-17-ეთი 100 სპ.—11,08 პროცენტი.

ამრიგათ სპეციალისტების უმრავლესობა ჯამაგირს იღებს მე-14 და მე-15-ე თანრიგით, ხოლო შემდეგი ადგილი უჭირავს მე-16-ე თანრიგს.

თუმცა ინსტრუქციის თანახმად სპეციალისტებათ უნდა ჩაითვალონ მაღალ კვალიფიკაციის მუშაკები, რომლებიც ჯამაგირს იღებენ მე-16-ე და მე-17-ე თანრიგით, მაგრამ რადგან საბჭოთა საქართველოში წარმოება - დაწესებულებებში დიდ როლს თამაშობს არა მარტო უმაღლესი ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალი, არამედ საშუალოც, ცალკე შემთხვევებში სპეციალისტების რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ისეთი პირებიც, რომლებიც ჯამაგირს იღებენ მე-15-ე და მე-14-ე თანრიგით.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ხშირად ვხვდებით, რომ ადმინისტრაცია სპეციალისტებათ სთვლის ისეთ პირებს, რომელთაც არა აქვთ ამის უფლება, უმატებს განაკვეთის ზევით 20—30 მანეთს და ასეთი მუშაკისაგან მოითხოვს მუშაობას დროის განუსაზღვრელად.

ასეთი მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები, განსაკუთრებით მუშაკის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ეს არის სამუშაო ხელფასის არალეგალურად გადიდება.

აპრილიდან სპეც-ფონდების კომისია შეუდგება მიმდინარე საბიუჯეტო წლის მეორე ნახევრის სპეც-ფონდების გადასინჯვას.

წარმოება - დაწესებულებების ხელმძღვანელი ადმინისტრაცია არ უნდა გაიტაცოს სპეციალისტების რიცხვის გადიდებამ.

ი. ილიაძე.

პეკინის ევაკუაცია

პეკინში

პეკინი, 15 აპრილი. სახალხო არმიის სარდლობამ დაადგინა 15 აპრილს დასტოვოს პეკინი და დაიხიოს ხანკოუს ულელტეხილისაკენ, ვინაიდან უ-პეი-ფუსაგან ჯერ კიდევ არავითარი პასუხი არ მოსულა გაგზავნილ შეკითხვაზე. ქალაქის ევაკუაცია დაიწყება 15 აპრილს.

მიუხედავათ იმისა, რომ სახალხო არმია სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მუკდენელებს, ბრძოლის გაგრძელება, გარკვეულ პერსპექტივებს გარეშე, შეამცირებდა სახალხო არმიის სამხედრო ძალებს და შეასუსტებდა მის მნიშვნელობას, როგორც პოლიტიკური ფაქტორისას, რაც სასარგებლო იქნებოდა მტრისათვის.

მუკდენელები მიიღებდენ დამხმარე ძალებს და ამის შემდეგ სახალხო არმიას გაუძნელდებოდა წინააღმდეგობის გაწევა უ-პეი-ფუს დაუხმარებლად. ამით აიხსნება სახ. არმიის სარდლობის გადაწყვეტილება დასტოვოს პეკინი. ჩინეთის პოლიტიკურ წრეებში მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ **მუკდენელების ენერგიული შეტევა აიხსნება იაპონიის ზეგავლენით. უკანასკნელი სცდილობს, რომ პეკინი მუკდენელების ხელში გადავიდეს.**

ცნობამ სახალხო არმიის მიერ პეკინის დატოვების შესახებ ქალაქში პანიკა გამოიწვია.

ჩჟან-ძო-ლინი აცხადებს, რომ ის არ შევა ქალაქში და დაუცდის მთავრობის საკითხის გადაწყვეტას, თუ სახალხო არმია ნებაყოფლობით დასტოვებს მას.

დროებითი მთავრობა

პეკინი, 15 აპრილი. ქალაქში დროებითი წესრიგის დასამყარებლად სავაჭრო პალატის მოთხოვნილებით არჩეულია მოქალაქეთა კომიტეტი. კომიტეტის წევრთა უმრავლესობა უ-პეი-ფუს მომხრეა.

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 15 აპრილი. იაპონიის გაზეთების უმრავლესობას არა სჯერა, რომ შესაძლებელია კომპრომისი უ-პეი-ფუსა და სახალხო არმიას შორის; მაგრამ გაზეთები აღელვებული არიან ჩჟან-ძო-ლინის გულზვიადობით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მისი შეტაკება უ-პეი-ფუსთან და მით შეასუსტოს მისი მდგომარეობა მანჯურიაში.

ტოკიო, 15 აპრილი. **იაპონიაში ფიქრობენ, რომ დუან-ძი-ჩჟუი იმალება იაპონიის მისიის შენობაში პეკინში.**

შიდეხარა (იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი) ფიქრობს, რომ დუან-ძი-ჩჟუის მიერ ძალა-უფლების საბოლოოდ დაკარგვა გამოიწვევს საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას.

ჩჟან-ძო-ლინი.

პეკინი, 16 აპრილი. „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ ჩჟან-ძო-ლინმა მოახდინა განკარგულება თავისი მოკავშირე — ჩჟილის პროვინციის სამხედრო გუბერნატორის ლი-ჩინ-ლინის დაპატიმრების შესახებ. ლი-ჩინ-ლინს ბრალად ედება შეთქმულება უ-პეი-ფუსთან ერთად.

ლი-ჩინ-ლინი იმალება იაპონიის საკონსულოს ტერიტორიაზე ტიანძინში.

უცხოელები

პეკინი, 16 აპრილი. უცხოელთა ექსტერიტორიალურ უფლებათა კომისია მოგზაურობს ჩინეთში და არკვევს საკითხს იმის შესახებ, შესცვლიან თუ არა სახელმწიფოები ჩინეთში მცხოვრებ უცხოელთა პრივილეგიებს.

ამის გამო კანტონის მთავრობამ მოახდინოს განკარგულება, არ მიიღონ კომისია იმ ქალაქებში, სადაც ვრცელდება კანტონის ძალა-უფლება, რადგან უცხოელთა პრივილეგიები და უთანასწორო ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს საკითხის წინასწარ გამოურკვევლად.

გონკონგო

პეკინი, 15 აპრილი. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, **ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი ნავთსადგურის მუშათა გაფიცვის შეწყვეტა**, რადგან გონკონგის ხელისუფლებამ უარი განაცხადა მუშათა უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

ემიგრანტები

პრაღა, 15 აპრილი. პრაღის ჟურნალმა „ნოვაია ევროპა“-მ (ნაციონალ - სოციალისტების ორგანო) ანკეტა მოაწყო რუსეთის ემიგრაციის ბედის შესახებ.

ჩეხო - სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ბენეშმა** თავის პასუხში ანკეტაზე შემდეგი განაცხადა:

„რუსეთის ემიგრაცია ბევრ რამეს გააკეთებს როგორც თავის, ისე რუსეთისათვის, თუ ის შეიგნებს, რომ ემიგრაცია დიდი რევოლიუციების შემდეგ არასოდეს არ დაბრუნებია ძველ პოლიტიკურ პოზიციებს.

ჩემი აზრით, **რუსეთის ემიგრაცია უკვე ვერავითარ პოლიტიკურ როლს ვერ ითამაშებს.**

თითო - ოროლა ემიგრანტი შესაძლოა კიდეც დაუბრუნდეს პოლიტიკურ მუშაობას, მაგრამ საერთოდ კი რუსეთის ემიგრაციისათვის ამჟამად მხოლოდ ერთად - ერთი კულტურული ამოცანა არსებობს.

რუსეთის, თუნდაც არამენშევიკური რუსეთის, პოლიტიკას შექმნის ახალი თაობა, რადგან რევოლიუცია ნიშნავს გაბატონებულ თაობის შეცვლას სხვა რევოლიუციონურ თაობით, რომელნიც სხვა იდეებით არიან გატაცებულნი“.

ცნობილი სლავიანოლოგი, პროფესორი პოლივკა, რომელიც დაესწრო საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის თავის დღესასწაულს, თავის პასუხში ანკეტაზე აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის დროს ჩეხელ მეცნიერთა მთავარი ამოცანა უნდა იყოს ხელის შეწყობა არა თუ ემიგრაციის სამშობლოში დაბრუნებისათვის, არამედ იქ მათი მუშაობის უზრუნველყოფისათვისაც“.

პრაღის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ნემეცი**, სურვილს გამოსთქვამს, რათა ჩეხო-სლოვაკიის უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებული რუსი სტუდენტები გამოყენებულ იქნენ „პრიკარპატსკაია რუს“-ში.

ფილოსოფიის პროფესორს **როდელს** სასურველად მიაჩნია, რომ რუს ემიგრანტებს ჩეხო-სლოვაკიის მოქალაქის უფლებები მიეცეთ, რათა მათ პრაქტიკული მუშაობის საშუალება ექნეთ.

კრიზისი ინგლისში

ბალდუინი შუამდგომლობს

ლონდონი, 16 აპრილი. **ბალდუინმა, შრომის მინისტრმა და სამთომადნო დეპარტამენტის მდივანმა მიიღეს სამთა-მადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის წარმომადგენლები.** საუბარი შეეხებოდა იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წარმოიშვენ მაღაროს მეპატრონეების წინადადებების გამო სარაიონო მოლაპარაკების შესახებ. ბალდუინმა გადასწყვიტა რაც შეიძლება მოკლე ხანში შეათანხმეს მაღაროების მეპატრონეთა ორგანიზაციას და სთხოვა სამთომადნო მუშების აღმასკომის წარმომადგენლებს მზად იყვენ საკითხის ახალი განხილვისათვის მომავალ კვირას.

შემდეგ აღმასკომის წარმომადგენლებს პროფკავშირების გენერალურ საბჭოს სამრეწველო კომიტეტთან ჰქონდათ თათბირი, რომელზედაც უკანასკნელს გააცნეს პრემიერთან შეხვედრის შედეგები. თათბირის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ცნობა, რომელშიაც გამოთქმულია იმედი, რომ სამთამადნო მუშების წარმომადგენლების პრემიერთან თათბირის შედეგი იქნება სამთამადნო მუშების და მაღაროების მეპატრონეთა მოლაპარკების განახლება. მაგრამ, რადგან საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ არ შეიძლება მიღებულ იქნეს მომავალ კვირამდე, ამიტომ აღმასკომი და სამრეწველო კომიტეტი შეიკრიბებიან არა უგვიანეს მომავალი ოთხშაბათისა, თუ ამ ხნის განმავლობაში ადგილი არ ექნა რამე ახალ ამბებს. ამის გამო ჰერბერტ სმიტი და კუკი გაემგზავრენ ბრიუსელში სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად.

ომზე უფრო საშიშია

პარიზი, 15 აპრილი. **ერთ-ერთ ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში ჯონსონ ჰიქსმა განაცხადა, რომ ნახშირის მრეწველობის კრიზისი სამინისტროს წრეებში იწვევს უფრო მეტ შიშს, ვინემ ომის დროს, რადგან ომმა გამოიწვია დაბრკოლებების გადასალახავად აუცილებელი ეროვნული გაერთიანება, რასაც ამჟამად არ აქვს ადგილი.**

სმიტი და კუკი ბრიუსელში

პარიზი, 16 აპრილი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, იქ ჩავიდნენ სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი ჰერბერტ სმიტ და კუკი, **რომლებიც დაესწრებიან სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ინგლისში მოსალოდნელ გაფიცვის შესახებ.**

პროფკავშირების პოზიცია

ლონდონი, 15 აპრილი. 15 აპრილს შესდგა სამთომადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის და პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს სამრეწველო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. სამრეწველო კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს გამოსთქვამს იმის გამო, რომ მაღაროების მეპატრონეები სცდილობენ სამთომადნო მუშებთან მოლაპარაკების გამართვას ცალ-ცალკე ოლქებში და არა მთელი ინგლისის მასშტაბით. კომიტეტი სამთომადნო მუშებს სრულ დახმარებას აღუთქვამს.

შრომის მინისტრთან საუბარში მაღაროების მეპატრონეებმა განაცხადეს, **რომ რადგან 30 აპრილიდან მთავრობამ მათ სუბსიდია შეუწყვიტა, 16 აპრილს ისინი მათსა და სამთომადნო მუშებს შორის არსებულ შეთანხმებას დღიდან სუბსიდიის შეწყვეტისა გაუქმებულად გამოაცხადებენ.**

სამთომადნო მუშების ფედერაციის აღმასკომმა თავის საოლქო ორგანიზაციებს წინადადება მისცა არავითარი მოლაპარაკება არ გამართონ მაღაროების მეპატრონეებთან სამუშაო ხელფასის დაწესების შესახებ ოლქებში, სანამ საკითხი მაღაროების მეპატრონეებთან არ მოგვარდება ინგლისის მასშტაბით.

ბალდუინის გეგმები.

ლონდონი, 15 აპრილი. გაზეთების ცნობით, ბალდუინმა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს სამრეწველო კომიტეტის საშუალებით აცნობა სამთომადნო მუშების ფედერაციის აღმასკომს, რომ განზრახული აქვს მასთან თათბირის გამართვა. ამის გამო ფედერაციის თავმჯდომარემ ჰერბერტ სმიტმა და ფედერაციის მდივანმა კუკმა, რომელნიც ბრიუსელში მიემგზავრებოდენ სამთომადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომებზე დასასწრებლად, გადასდეს გამგზავრება.

პოლონეთის მონარქისტები

ლონდონი, 15 აპრილი. ლონდონის გაზეთების ვარშაველ კორესპონდენტების ცნობით, **პოლონეთში მონარქიის გამოცხადების აზრი თანდათან უფრო კონკრეტულ ფორმას იღებს.**

მონარქისტები ფიქრობენ, რომ ისინი შესძლებენ ინგლისის მეფის მეორე შვილის იორკის ჰერცოგის დაჯერებას, რომ ის პოლონეთის ტახტზე ავიდეს.

უმუშევრობა პოლონეთში

უმუშევართა დემონსტრაცია

ვარშავა, 16 აპრილი. **ვარშავაში გრძელდება უმუშევართა დემონსტრაციები, ქალაქის ბევრ რაიონებში ადგილი ჰქონდა პოლიციის შეტაკებას დემონსტრანტებთან.** შრომის ბიუროს მთელ რიგ განყოფილებებში **დემონსტრანტებმა ფანჯრები ქვებით ჩალეწეს. შრომის სამინისტროს შენობას პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავენ.**

პოლონეთის მუსოლინი

ვარშავა, 16 აპრილი. ვილნოში ჩავიდა პილსუდსკი. სადგურზე მას შეხვდენ ოფიცრები და დიდძალი ხალხი. ხალხი გაიძახოდა: „გაუმარჯოს პოლონეთის მუსოლინის!“.

ბონკურის გულახდილობა

ვარშავა, 15 აპრილი. ფრანგი სოციალისტი პოლ ბონკური, რომელიც საფრანგეთის წარმომადგენლად ითვლება ერთა ლიგაში, პოლონეთის განაპირა მხარეებში მგზავრობის დროს გაჩერდა ლუნიცში, სადაც მან სიტყვით მიმართა პოლონეთის სანაპირო კორპუსის ოფიცრებს. მან თავის სიტყვაში განაცხადა:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენი სახით ვესალმები ჩვენი სამშვიდობო მისწრაფების დამცველებს. თქვენ აქ უაღრესად მაღალ მისიას ასრულებთ და წარმოადგენთ ევროპის უმაღლეს პოსტს აღმოსავლეთში, რომლის უშიშროება, პოლონეთის უშიშროებასთან ერთად, თქვენს ხელშია“.

გერმანია და ერთა ლიგა

ბერლინი, 15 აპრილი. გერმანიის მთავრობამ გაუგზავნა პასუხი ერთა ლიგას, რომელიც იწვევს გერმანიის წარმომადგენლებს ერთა ლიგის საბჭოს წესდების გადამსინჯავ კომისიაში. გერმანია აცხადებს, რომ მზადაა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი. დასასრულ გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ გერმანიის წარმომადგენლის მონაწილეობა აღნიშნულ კომისიის მუშაობაში არ შეზღუდავს გერმანიის თავისუფლებას ერთა ლიგაში შესვლის საკითხში.

იტალიის იმპერიალიზმი

პრაღა, 15 აპრილი. ოსმალეთის პრესა აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური მუსოლინის მოგზაურობას ტრიპოლიტანიაში. გაზეთების აზრით, ფაშიზმი ახალ კოლონიალურ პოლიტიკის გატარებას იწყებს. **პრესა კითხვას აყენებს, — იტალიის მუშაობა ოსმალეთის წინააღმდეგაც ხომ არ არის მიმართული?**

ოპოზიციონური **„ვაკიტ“** სწერს: „იმათ, ვინც იტალიის კოლონიალურ პოლიტიკაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვთ არა მარტო ტუნისი, არამედ აგრეთვე აღმოსავლეთშუა - აზიის ოლქიც“.

ოპოზიციონური **„აკშამ“** აღნიშნავს;

„ანგორას ახსოვს მუსოლინის ფრაზა: „ჩვენი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული“.

გაზეთი მოითხოვს ფხიზელი თვალყურის დევნებას ამბებს განვითარებისათვის.

ამავე დროს გაზეთები გამოსთქვამენ მთელს მსოფლიოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების სურვილს და უსაფუძვლოდ სთვლიან აზრს, თითქოს იტალიის ავანტიურა ოსმალეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული.



ბენიტო მუსოლინი

ყვითლებს შორის

ბერლინი, 15 აპრილი. **საქსონიის ლანდტაგში ფორმალური განხეთქილება მოხდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში.**

კონფლიქტი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მემარჯვენე უმრავლესობა არ დაემორჩილა პარტიის საოლქო კომიტეტის დირექტივს, რომელიც მოითხოვდა ხმის მიცემას ლანდტაგის დათხოვნისათვის. 18 მემარცხენე სოციალ-დემოკრატის წარმომადგენელმა მემარცხენე ფრაქციისაგან მოითხოვა განსაკუთრებული ადგილები და ცალკე ოთახი ფრაქციულ თათბირებისათვის. 23 მემარჯვენე სოციალ-დემოკრატის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარტიის საქსონიის საოლქო კომიტეტი ზედი-ზედ სისულელეს ჩადიოდა და რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მემარჯვენე უმრავლესობას არ შეუძლია დაადგეს კომუნისტებთან თანამშრომლობის გზას. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ყველა 23 მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი დეპუტატი პარტიიდან გამორიცხეს.

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

პროფ. ტიხომიროვის განცხადება

მოსკოვი, 16 აპრილი. ლენინგრადის გეოფიზიკურ ობსერვატორიის გამგემ პროფესორმა **ტიხომიროვმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მიაწოდა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობას მიიღებს ობსერვატორია ამუნდსენის ექსპედიციის მუშაობაში.

გაფრენის დროს იწარმოებს სასწრაფო დაკვირვებები და მორიგეობა ზოგიერთ მეტეოროლოგიურ სადგურში, მათ შორის შორეულ ჩრდილოეთის სადგურებშიაც. ვინაიდან ატმოსფერის ზედა ფენების დაკვირვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, განზრახულია ატმოსფერის შემოწმება ჰაეროპლანებით. ექსპედიციის გადაფრენის მომენტი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ საფრენად ხელსაყრელი იქნება ატმოსფერული პირობები.

ის ადგილები, სადაც ექსპედიცია მიემგზავრება მეტეოროლოგიურად, სრულიად არ არის შესწავლილი. ამავე დროს ამ ადგილებს აქვთ უაღრესი მნიშვნელობა, რადგან მათზეა დამოკიდებული ამინდი მთელ ჩვენ კავშირში და ნაწილობრივ ამერიკაში.

ამუნდსენის გადაფრენა შპიცბერგენიდან ჩრდილოეთის პოლიუსზე, და იქიდან ბარროუს კონცხზე ჩრდილოეთ ალიასკაში, პროფესორ ტიხომიროვის აზრით, სავსებით შესაძლებელია, განსაკუთრებით მაისში, როგორც ეს დაამტკიცა ამუნდსენის შარშანდელმა გადაფრენამ.

ეს ექსპედიცია შესძლებს გადაჭრილი პასუხი მოგვცეს კითხვაზე, არსებობს თუ არა ე. წ. „ჰარრისის მიწა“. ყინულიან ოკეანეზე. მოსაზრება მისი არსებობის შესახებ ერთის მხრივ დამყარებულია ტალღების მიმოქცევის გამოკვლევაზე, რომელიც ჰარრისმა მოახდინა, ხოლო მეორეს მხრივ —ბულტანოვსკის მიერ მოხდენილ [illegible] გამოკვლევაზე“.

დირიჟაბლი ტროცკში

ლენინგრადი, 16 აპრილი. **15 აპრილს, საღამოს სრულ 8 საათზე, დირიჟაბლი „ნორვეგია“ ჩამოფრინდა ტროცკში. მახლობელ სოფლებიდან ჩამოსული გლეხები „ჰურრას“ ძახილით შეეგებენ დირიჟაბლს.**

დირიჟაბლი

ლენინგრადი, 16 აპრილი. მოსკოვიდან დირიჟაბლის შესახვედრად ჩამოვიდა სამხედრო აკადემიის საჰაერო განყოფილების პროფესორი **კალიშევი**. ჟურნალისტებთან საუბრის დროს პროფ. **კალიშევმა განაცხადა, რომ დირიჟაბლი „ნორვეგია“ თავისი სიდიდით, წარმოადგენს ჩვეულებრივ სამხედრო დირიჟაბლს.** დირიჟაბლი შიგნით დაყოფილია 10 ნაწილად. თავის ქვედა ნაწილში დირიჟაბლს აქვს სპეციალური ლითონის „ბალკა“, რომელიც საშუალებას აძლევს მას დაეშვას მიწაზე ძალიან ცუდ პირობებშიაც კი; „ბალკას“ შიგნით თავისუფლად შეუძლია ადამიანს გავლა.

გაზი შეიძლება დარჩეს დირიჟაბლში 2—3 თვის განმავლობაში, ასე რომ უკიდურეს შემთხვევაში, 3 მატორიც რომ გაჩერდეს (ძალიან იშვიათი შემთხვევაა), დირიჟაბლს ქარი წაიღებს რომელიმე კონტინენტისკენ.

„ნორვეგიას“ გადაფრენამ უნდა დაამტკიცოს მფრინავების მიერ გამოთქმული აზრი, რომ დირიჟაბლს აქვს უპირატესობა ჰაეროპლანის წინაშე ხანგრძლივი ფრენის დროს.

დასასრულ პროფ. კალიშევმა გამოსთქვა აზრი, რომ ამუნდსენის ექსპედიცია უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, ვიდრე ამერიკელი ვილკანსის ანალოგიური ექსპედიცია ჰაეროპლანზე.

ლენინგრადი, 16 აპრილი. დირიჟაბლი „ნორვეგია“ მოწყობილია საავიაციო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, **მისი მოწყობილობა საშუალებას აძლევს მას გაჩერდეს უძრავად. ამ დროს შეიძლება წარმოებული იქნას საჭირო დაკვირვებები.**

დირიჟაბლის ჩამოფრენის შემდეგ

ლენინგრადი, 16 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს იტალიის ატტაშემ **მირალიამ** სრული კმაყოფილება გამოსთქვა დირიჟაბლის შესახვედრად მიღებულ ზომებით. „ანგარი — სთქვა მირალიამ, კარგადაა მოწყობილი და დირიჟაბლს შეუძლია დარჩეს ჰაერში, რამდენხანსაც დასჭირდება.

იტალიის საზოგადოებრივი აზრი დიდ ყურადღებას აქცევს გადაფრენას. რომიდან გამოსვლას დაესწრო **მუსოლინი**, ჩვენ მივიღეთ ოსლოს საავიაციო კლუბისაგან ცნობა, რომ ექსპედიციას გამოეცვლება სახელწოდება: „ამუნდსენის, ელსვორტის და ნობილოს ექსპედიცია. **იტალიის საზოგადოებრივი აზრი მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირს ექსპედიციის მეგობრულად შეხვედრისათვის.**

საუბარი რამმთან

ტროცკი, 16 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, ნორვეგიელ ჟურნალისტ რამმა გვაუწყა, რომ დირიჟაბლი „ნორიე“ გაფრინდა რომიდან 10 აპრილს და დაჰყვა იტალიის ნაპირებს ტულონამდე, საიდანაც გადალახა საფრანგეთი.

48 საათიანი დასვენება ინგლისში მოუნდა სატელეგრაფო კავშირს შვეციასა, ნორვეგიასა და საბჭოთა კავშირთან შემდეგი სამოგზაურო წვრილმანების გაცნობის მიზნით.

ოსლოდან დირიჟაბლის გაფრენის დროს კარგი დარი იდგა, მაგრამ მალე, მთებს გადაღმა, ნორვეგიასა და შვეციას შუა შეხვდა დიდი ნისლი.

მზის ამოსვლისას, როდესაც რამოდენიმედ გაიფანტა ნისლი და ღრუბლები, ჩვენ დავინახეთ, რომ ვიმყოფებოდით ბალტიის ზღვაზე.

შემდეგ, როდესაც შევნიშნეთ მიწა, ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ ვიმყოფებით ფინეთის ტერიტორიაზე და ამიტომ ავიღეთ მიმართულება სამხრეთისაკენ, რომ მიგვეღწია ფინეთის სრუტემდე.

მოვფრინავდით 60 კილომეტრის სისწრაფით საათში.

დილის 3 საათსა და 15 წუთს ჩვენ შევნიშნეთ რკინის-გზის სადგურის შენობა და დავეშვით 500 მეტრიდან 100 მეტრის სიმაღლეზე სადგურის სახელწოდების გამორკვევის მიზნით.

ჩვენ ძალიან გავოცდით, როდესაც გამოირკვა, რომ ეს სადგური ყოფილა ვალკი—ლატვიასა და ესტონეთის შუა მდებარე.

აქედან დირიჟაბლი მიფრინდა ტროცკში ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

ექსპედიციაში მონაწილეთა ყველას სახელით რამმა გამოსთქვა დიდი მადლობა ყველა იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დირიჟაბლის სწრაფ და უმტკივნეულო დაშვებისათვის.

დირიჟაბლზე იყვნენ პოლკოვნიკი ნობილე, დირიჟაბლის უფროსი, ნორვეგიელი ჟურნალისტი რამმი, და აგრეთვე გუსტავ არსენი, ამუნდსენის თანაშემწე.

იტალიელი მეტეოროლოგი, პროფესორი ერიდიო, დარჩა ლონდონში.

პოლიუსისაკენ მგზავრობაში ის მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან იკვლევდა ხმელთაშუაზღვის მეტეოროლოგიას.

დირიჟაბლს მოჰყვენ, აგრეთვე, ორი იტალიელი ჟურნალისტი, რომლებიც ლენინგრადიდან აღარ გაჰყვებიან დირიჟაბლს.

ყველანი გაეშურენ გატაჩინის სასახლეში, სადაც მათთვის წინასწარ მოწყობილია ბინა.

ექსპედიციაში ყველა მონაწილენი კარგად გრძნობდენ თავს.

საზეიმო სხდომა, ამუნდსენის ექსპედიციის მოფრენის გამო, გაიმართება 16 აპრილს ლენინგრადში.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სარკინიგზო კონგრესისათვის

მოსკოვი, 16 აპრილი. 29 აპრილს სევილიაში (ესპანეთი) გაიხსნება რკ.-გზების საერთაშორისო კავშირის კონგრესი. **კონგრესზე მიემგზავრება საბჭოთა კავშირის დელეგაცია გზათა სახ. კომისარიატის გარეშე საქმეთა რწმუნებულის სვერჩკოვის თავმჯდომარეობით.**

ტრაქტორები

მოსკოვი, 16 აპრილი. **ამერიკიდან ნოვოროსიისკში მოვიდა 3.884 ტრაქტორი და 3.479 გუთანი სათადარიგო ნაწილებით.** ტრაქტორების უდიდესი ნაწილი — 1.131 გაიგზავნა ჩრდილო კავკასიაში; უზბეკისტანში — 504 ტრაქტორი.

პროვოკატორის გასამართლება

მოსკოვი, 16 აპრილი. 15 აპრილს მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოში დაიწყო პროცესი „რუსული პროვოკაციის მამამთავრის“ სერებრიაკოვას, რომელმაც მეფის პოლიციას ხელში ჩაუგდო ასეული რევოლიუციონერი.

სახელმწიფო ბრალმდებლად პროცესზე გამოდის **არსენიევი**. საზოგადოებრივ ბრალმდებლად **ველიქკონი**.

თავის დროზე ცნობილმა „ოხრანიკმა“ ზუბატოვმა სერებრიაკოვას უწოდა „მოსკოვის „ოხრანკის“ განყოფილების ტუზი“ და მეფის პროვოკაციის „წმიდათა წმინდა“.

ამჟამად სასამართლოს წინაშე წარსდგა ნახევრად ბრმა მოხუცი ქალი, რომელიც უარყვეს საკუთარმა შვილებმა. 25 წლის „მუშაობით“ სერებრიაკოვამ აურაცხელი ზიანი მიაყენა რევოლიუციას.

მოწმეებს შორის არიან **ლუნაჩარსკი, სმიდოვიჩი** და სხვები.

კერძო კაპიტალი წარმოებებში

მოსკოვი, 16 აპრილი. **ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმების სრულიად საკავშირო თათბირზე 15 აპრილს მოსმენილ იქნა გინსბურგის მოხსენება კერძო კაპიტალის მნიშვნელობის და როლის შესახებ საბჭოთა კავშირის მეურნეობაში.**

„საბჭოთა კავშირში კერძო კაპიტალის საერთო რაოდენობა, გარდა შინა მრეწველობისა — ამბობს მომხსენებელი — დაახლოებით უდრის 600—700 მილ. მანეთს.

კერძო კაპიტალის მუშაობის ძირითადი სფერო არის ვაჭრობა, რომელზედაც მოდის ამ თანხის ნახევარი.

ფაბრიკა - საქარხნო მრეწველობის დარგში კერძო კაპიტალის თანხა, გარდა კონცესიებისა, უდრის 50—60 მილ. მანეთს.

უნდა გამორკვეულ იქნეს კერძო კაპიტალის საწარმოო დანიშნულების მიხედვით გამოყენების ყველა შესაძლებლობანი“.

შეეხო რა კერძო კაპიტალის დინამიკას — მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ობსოლუტურ პროცენტებში კერძო კაპიტალი იზრდება და ხდება კერძო კაპიტალის სწრაფი კონცენტრაცია სამეურნეო მუშაობის ცალკე რაიონებში.

დასასრულ გინსბურგი აღნიშნავს, რომ კერძო კაპიტალის გამოყენების საკითხი შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ საერთო სახალხო მეურნეობაში ამ კაპიტალის როლის და მნიშვნელობის ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე.

ძერჟინსკის წინადადებით — გინსბურგის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ.

სავაჭრო პოლიტიკის ამოცანები

მოსკოვი, 16 აპრილი. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სრულიად საკავშირო თათბირზე 14 აპრილს მოსმენილ იქნა **სოკოლოვსკის** მოხსენება, მრეწველობაში სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების შესახებ.

„საქონლის ნაკლებობის პირობებში, —ამბობს მომხსენებელი—განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს საქონლის ტრიალში სამრეწველო საქონლის მარაგის სწორი განაწილება და აგრეთვე სასოფლო-მეურნეობის ზედმეტი პროდუქციის მაქსიმალური გამოყენება და სწორი განაწილება.

ბაზრის მოწესრიგების საქმეში უდიდეს როლს თამაშობს სწორი ურთიერთობა სახელმწიფო მრეწველობასა და კოოპერაციას შორის, მთელი სახელმწიფო მრეწველობის ბრუნვაში კოოპერაციის ხვედრითი წონა უდრის 21,8%—31%-დე.

ამ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო მრეწველობის და კოოპერაციის შორის გენერალურ ხელშეკრულებათა დადებამ. 1926 წლის 1 იანვრამდე ასეთი ხელშეკრულება დადებული იყო 350 მილიონ მანეთის რაოდენობით.

დასმულია აგრეთვე საკითხი სინდიკატების როლის და მნიშვნელობის შესახებ მრეწველობაში.

სახალხო მეურნეობის საქონლის ტრიალის დღევანდელი სტადიის ინტერესები მოითხოვენ საქონლის გამტარებელ ქსელის ორივე სისტემის—სინდიკატურ და კოოპერატიულ სისტემის პარალელურად არსებობას.

შემდეგ სოკოლოვსკი შეეხო სახელმწიფო მრეწველობის ამოცანებს კერძო კაპიტალის მიმართ. უკანასკნელ წლების განმავლობაში კერძო კაპიტალი გაძლიერდა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში მაღალი კონიუნქტურის გამო.

„დღევანდელი მომენტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კერძო საშუალებანი ჩამოვაშოროთ სპეკულაციურ მიზნებს და დავაბანდოთ სახელმწიფო მრეწველობა მეურნეობის ბრუნვაში“.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა ღონისძიებანი ჩვენი საქონლის ბრუნვის განსავითარებლად.

უკანასკნელი ცნობები

გადატრიალების გეგმის ჩაშლა

პრაღა. 15 აპრილი. ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკურ წრეებში გაცხოველებით არჩევენ ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალურ თავდაცვის მინისტრის **სტრშიბნოს** მოულოდნელად სამკურნალოდ გამგზავრებას.

ოპოზიციონური პრესა ატრშიბნოს ავადმყოფობას სთვლის დიპლომატიურ ხრიკად და უკავშირებს მას ჩეხო-სლოვაკიაში დიქტატურის გამოცხადების არსებობას, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო უმთავრესად კომუნისტებისა და ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ.

სტრშიბნო და მისი თანამოაზრეები აწარმოებენ გაძლიერებულ ფაშისტურ აგიტაციას რის გამო მათ წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა პრესა.

ხმების მიხედვით, სტრშიბნოს გეგმებში წილი უდევთ აგრეთვე ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მოღვაწეებსაც, გენერალიტეტის ნაწილს და უმაღლეს ბიუროკრატიას.

დადის ხმები, რომ დიქტატურის გამოცხადებისათვის განზრახული იყო საზაფხულო სატანთვარჯიშო ზეიმის გამოყენება პრაღაში.

თეთრგვარდიელების თავხედობა

პეკინი 15 აპრილი. 10 აპრილს სამოქალაქო ტანთსაცმელებში გადაცმული პოლიციელების დიდი რაზმი, რომელშიაც უმეტესად თეთრგვარდიელები შედიოდენ გაჩერდა საბჭოთა კავშირის საკონსულოს შენობის წინ შანხაიში.

თეთრგვარდიელები იქცეოდენ ძალიან თავაშვებულად და ავიწროებდენ საკონსულოში მომავალ-წამსვლელ ავტომობილებს.

საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა შანხაიში **ლინდემ**, საკონსულო კორპუსის მამასახლისს გაუგზავნა პროტესტი ქალაქის თვითმართველობის სამსახურში მყოფ თეთრგვარდიელების ამგვარ საქციელის წინააღმდეგ.

საკავშირო ცაკის სესია
კამათი ბიუჯეტის გარშემო

მოსკოვი, 16 აპრილი. ცაკის სესიის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი რიკოვის და **ბრიუხანოვის** მოხსენებების და კუიბიშევის თანამოხსენების გარშემო. კამათი სწარმოებდა ცალ-ცალკე საკავშირო საბჭოში და ეროვნებათა საბჭოში.

კუიბიშევის და ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

ცაკის სესიის 15 აპრილის საღამოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აიცაკოვი, საბოლოო მოხსენებები წაიკითხეს **კუიბიშევმა და ბრიუხანოვმა**.

კუიბიშევი აღნიშნავს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის უკიდურეს მერყეობას. საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ყოველივე ზომები, რათა შეემცირებინა სახელმწიფოს ცალკე ხარჯები და უზრუნველ ეყო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის რეალობა. გასავლის ნაწილის შემდგომი გაფართოება და ამასთან დაკავშირებული შემოსავლის ნაწილის გადიდება შეუძლებელი ხდება. კუიბიშევს საჭიროთ მიაჩნია დაევალოს მთავრობას შეიმუშაოს საკითხი საბიუჯეტო წლის დასაწყისის 1 იანვრისათვის გადატანის შესახებ.

ეხება რა კამათის შედეგებს, კუიბიშევი აღნიშნავს ორატორების სრულ სოლიდარობას იმ წინადადებებთან, რომლებიც საბიუჯეტო კომისიამ შეიტანა სესიაზე განსახილველად.

ბრიუხანოვი თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ორატორების შენიშვნებს პირდაპირი გადასახადის შემოსავლის წყაროების შესახებ ნაწილობრივი შესწორებების ხასიათი ჰქონდა. ყველა ორატორებმა აღიარეს მთავრობის პოლიტიკის სისწორე ამ სფეროში.

უპასუხა რა მთელ რიგ შენიშვნებს, რომლებიც გაკეთებულ იქნა კამათის დროს ბიუჯეტის ცალკე ნაწილების შესახებ, ბრიუხანოვმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მერყეობა გვავალებს, რათა გადაუხვევლად გავატაროთ საგადასახადო პროგრამა და შევამციროთ სამომხმარებლო ხარჯები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მივაღწიოთ ბიუჯეტის განმტკიცებას და ქვეყნის მეურნეობის აღორძინებას.

მოისმინა რა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა, სესიამ დაადგინა ბიუჯეტის შესახებ რეზოლიუციის შემუშავება დაევალოს საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიას.

ამ. ჩანბას სიტყვა.

მოსკოვი, 16 აპრილი. ეროვნებათა საბჭოს 14 აპრილის საღამოს სხდომაზე ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს გამოვიდა აფხაზეთის წარმომადგენელი **ჩანბა**, რომელიც ეხება აფხაზეთის ბიუჯეტს და აღნიშნავს, რომ აფხაზეთი ორგანიულად დაკავშირებულია საქართველოსთან და მისი საშუალებით ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან. უკანასკნელის ბიუჯეტის შემცირება ცუდ გავლენას ახდენს აფხაზეთის ბიუჯეტზე, ხოლო რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბიუჯეტი შემცირებულია, ამას მოწმობს ციფრები და დიაგრამები, რომელიც ამხ. ბრიუხანოვმა მოიყვანა თავის მოხსენებაში.

თუ ჩვენ მოვახერხებთ ამიერ-კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეების გამოყენებას, ეს მხარე უსათუოდ უდიდეს როლს ითამაშებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ცხოვრებაში. ჯერჯერობით ეს განუხორციელებელია, რადგან მრეწველობა იქ სუსტად არის განვითარებული. საჭიროა ამიერ-კავკასიისათვის სახელმწიფო ხაჯების გაღება, რომელიც შემდეგში ასკეცად იქნება ანაზღაურებული აფხაზეთის კეთილდღეობის, კერძოდ, სახალხო მეურნეობის აღორძინებას აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ საკავშირო მნიშვნელობა.

პირველყოვლისა, აფხაზეთი საკავშირო მნიშვნელობის მქონე კურორტს წარმოადგენს, რომელსაც დიდი პერსპექტივები აქვს. აფხაზეთის სივრცის 75 პროცენტზე მეტი ტყეს უჭირავს, რომელშიაც უამრავია ძვირფასი ჯიშის ხეები, როგორიც მაგალითად, ბზა, ნიგვზის ხე, წაბლი და სხვ. მომავალში იქ შესაძლებელი იქნება სატყეო სამრეწველოების, ქიმიური წარმოების და სხვ. მოწყობა. უხვად არის აგრეთვე წყალის ენერგია, რომელიც უთუოდ დიდ როლს ითამაშებს მრეწველობის განვითარებაში.

აფხაზეთის მიწის სიღრმეში ბევრია ძვირფასი მადანი, მაგალითად, სპილენძი, ვერცხლი, ქვა-ნახშირი, ტყვია და სხვ. მაგრამ, ყოველივე ეს ჯერჯერობით გამოუყენებელი და დაუმუშავებელია.

სასოფლო-მეურნეობის მთავარ დარგებს აფხაზეთში წარმოადგენს მეთამბაქოობა, მევენახეობა და სიმინდი. შეიძლებოდა აგრეთვე სხვა ტეხნიკურ კულტურების გაშენებაც, მაგრამ ყველა ამ დარგების განსავითარებლად საჭიროა თანხები და მაშინ აფხაზეთი ტვირთად აღარ დააწვება სახელმწიფოს, ის შესძლებს თავისი ცხოვრების სავსებით განვითარებას, მოგვცემს შემოსავალს, რომელიც მთელს ჩვენს საბჭოთა კავშირს მოხმარდება. ეს საშუალებები ამ ჟამად არ გაგვაჩნია. მრეწველობა თითქმის არავითარ შემოსავალს არ იძლევა. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უწყებაში არსებულ მთელი მრეწველობის შემოსავალი 1925—26 წელს სულ 5000 მანეთით განისაზღვრება. აფხაზეთის მთელი საგადასახადო შემოსავალი 115.000 მანეთით განისაზღვრება. ეს ციფრები არ საჭიროებენ განმარტებას.

ამჟამად ჩვენი უადრესი შემცირებული ბიუჯეტით ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ჩვენ საშუალება არა გვაქვს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. მთელი ბიუჯეტი აფხაზეთის ცაკის მიერ დამტკიცებული იყო 1.720.000 მანეთის რაოდენობით. წვრილ-წვრილი რესპუბლიკები ყველაზე უფრო ასრულებენ დავალებას. როცა ვღებულობთ განკარგულებას ბიუჯეტის შედგენის დროს ხარჯების მინიმუმამდე შემცირების შესახებ ჩვენ სავსებით ვასრულებთ დირექტივს. ჩვენ ყოველმხრივ შევამცირეთ ბიუჯეტი და წარმოვადგინეთ ის 1,726,000 მანეთის რაოდენობით. სხვა და სხვა გზების გავლის შემდეგ ეს ბიუჯეტი შემცირებულ იქნა 766,000 მანეთამდე. როგორც ხედავთ, განსხვავება თითქმის ერთ მილიონს უდრის.

როდესაც ამ ბიუჯეტს ამცირებდენ, არ გამოდიოდენ, ალბათ, ქვეყნის არსებითი მოთხოვნილებებიდან, არამედ ხელმძღვანელობდენ რაღაც სხვა მოსაზრებით, რომლებიც ჩვენთვის უცნობია.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საბჭოთა ყრილობა

ნახიჩევანი, 16 აპრილი. საბჭოთა ყრილობის პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა **კარაევის** მოხსენება აზერბეიჯანის მთავრობის მოქმედების შესახებ. მოხსენება 2 საათი გაგრძელდა. გაცხოველებული კამათი გაიმართა სახალხო განათლების სასოფლო მეურნეობის და ჯანმრთელობის საკითხების გარშემო.

მთავრობის მოქმედება სავსებით მოწონებულია.

ნახიჩევანი, 16 აპ. ნახიჩევანის რესპუბლიკის ყველა რაიონებში გაიგზავნა პასუხისმგებელი მუშაკები სასოფლო - სამეურნეო გადასახადის აკრეფის კარგათ ჩასატარებლად.

საბჭოთა სამაზრო ყრილობა

განჯა, 16 აპრილი. **17 აპრილს იხსნება განჯის საბჭოთა სამაზრო ყრილობა.** დღის წესრიგშია: აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენება, სამაზრო აღმასკომის, მიწათ-მოქმედების განყოფილების და ჯანმრთელობის განყოფილების ანგარიში.

რა ხდება უცხოეთში.
გერმანიის სოც.-დემ. პარტია—ბურჟუაზიის ხარჯზე

რაც დრო გადის ახალ-ახალი ცნობები მჟღავნდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ბურჟუაზიასთან. ბურჟუაზია, რომელიც ხედავს, რომ ერთბაშად შეუძლებელია მუშათა კლასის დამარცხება, მისთვის ყველა მონაპოვართა წართმევა, სარგებლობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დახმარებით, რომ მუშებს დაუკარგოს ბრძოლის უნარი, ხელი შეუშალოს მის შეკავშირებას. ბარმატის საქმემ გამოაშკარავა სოციალ-დემოკრატიულ ბელადების მექრთამეობა, ცხადჰყო, რომ ისინი მზად არიან 30 ვერცხლში გაჰყიდონ მუშათა კლასის ინტერესები. ამის შემდეგ დღე არ გაივლის, რომ ახალი ფაქტი არ მიემატოს იმ საბრალმდებლო აქტს, რომელსაც ოდისღაც (შესაძლებელია სულ ახლო ხანში) წაუყენებს მოღალატეებს გერმანიის გამარჯვებული მუშათა კლასი.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ბერლინში გამოვიდა „აღდგენისა და მიღწევების საზოგადოების" დამაარსებლის სოციალ-დემოკრატ კარლ ერდმანის ბროშურა, რომელიც სავსეა ახალი ფაქტებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერების გამყიდველობის შესახებ.

ერდმანის ბროშურა შეიძლება არც გამოსულიყო, რომ გერმანიის ს.-დ. პ. ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტსს" წინდაუხედავათ არ გაეჯავრებინა ერდმანი. ეს წერილი, რომელშიც „ფორვერტსმა" ერდმანს შანტაჟისტი უწოდა. მართლა რომ წინდაუხედაობა იყო, თორემ აბა ვინ მოისურვებს თავისი დასაკლავი დანის თვითონ გამოჩხრეკას.

აქედან დაიწყო.

შეურაცყოფილმა ერდმანმა განიზრახა სამაგიეროს გადახდა „ფორვერტსისათვის" და გამოუშვა ბროშურა, რომელიც სავსეა დოკუმენტებით სოციალ-დემოკრატიულ ლიდერების ფაქტიური „მოღვაწეობიდან".

ერდმანი პირველყოვლისა ამტკიცებს, რომ „აღდგენისა და მიღწევების საზოგადოება" დაარსებულ იქნა კაპიტალისტების ხარჯზე სოციალ-დემოკრატიული ლიდერების ლოცვა-კურთხევით. კაპიტალისტები ფულს იძლეოდენ იმისათვის, რომ საზოგადოებას, „მუშების განსაკურნავად მემარცხენე სენისაგან", გაევრცელებინა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წიგნები, ბროშურები და გაზეთები.

ერდმანის ბროშურაში მოყვანილია გერმანიის ყოფ. პრეზიდენტის ებერტის, პოლიციის ყოფ. უფროსის სოც.-დემოკრატ ერნსტის და „ფორვერტსის" რედაქტორების წერილები, რომლებშიაც [illegible] თანაგრძნობას გამოსთქვამენ ერდმანის—როგორც „აღდგენისა და მიღწევების" საზოგადოების თავმჯდომარის [illegible].

ბროშურაში მოყვანილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ სოც.-დემოკრატიული პარტიის ლიდერები სარგებლობდენ კაპიტალისტების მიერ დაარსებული საზოგადოების ფინანსიური და იდეური დახმარებით.

ასე მაგ., 1920 წ. დასაწყისში სოც.-დემოკრატიული პარტიის რწმუნებულმა ვუშიკმა მოსთხოვა საზოგადოებას 20,000 ბროშურა. ამავე დროს ვუშიკმა წინადადება მისცა საზ-ბის გამგეობას, რომ გაეგზავნის სანდო პირთა სია, რომლებთანაც მომავალში საზ-ბა უშუალო კავშირს დაიჭერდა. ვუშიკი მოითხოვდა მხოლოდ სიის შესადგენი ხარჯების ანაზღაურებას. საზოგადოების საქმეებში არის ვუშიკის ხელწერილი 20,000 ბროშურისა და 500 მარკის მიღების შესახებ.

1920 წ. 21 აგვისტოთი დათარიღებულ წერილები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციის პრეზიდიუმი აცნობებს „აღდგენისა და მიღწევების საზოგადოების" გამგეობას, რომ „საზოგადოების მიერ [illegible] დიდის წარმატებით იქნა გავრცელებული".

1920 წ. დამლევს დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული პარტიის ც. კ. წევრმა დიტმანმა „ფრეიჰეიტში" მოათავსა ორი დიდი წერილი— „სიმართლე რუსეთის შესახებ"—წერილები სავსე იყო ჭორებით საბჭოთა რუსეთზე. ერდმანმა სთხოვა დიტმანს მისი წერილების ცალკე ბროშურათ გამოცემის და საზოგადოების ხარჯზე გავრცელების ნებართვა, მაგრამ უარი მიიღო. მიუხედავათ ამისა, ერდმანმა მაინც გამოსცა ცალკე ბროშურათ დიტმანის წერილები. „ფრეიჰეიტი" მას სასამართლოთი დაემუქრა, მაგრამ მუქარა სისრულეში არ მოიყვანა.

რეიხსტაგში არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ. 250,000 მარკა მიიღო საზოგადოებისგან ერდმანის ხელით სპარტაკელებისა და დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლად. ფული ჩაიბარ და ხელწერილი გასცა ც. კ. წევრმა ბრაუნმა.

მაგრამ ბრაუნმა ჩქარა მოისაზრა, რომ ასეთი ხელწერილის დატოვება ერდმანის ხელში სახიფათოა და სთხოვა მას ხელწერილის დაბრუნება. ერდმანი დასთანხმდა ხელწერილის დაბრუნებაზე, მაგრამ წინასწარ ფოტოგრაფია გადაიღო. ბრაუნი იმდენათ „ჭკვიანი" აღმოჩნდა, რომ მისცა ერდმანს ახალი ხელწერილი, რომლითაც ადასტურებს „მეტად საიდუმლო ხელწერილების" მიღებას.

ერდმანი ფინანსიურ დახმარებას უწევდა არა მარტო პარტიულ ორგანიზაციებს, არამედ რეფორმისტულ პროფკავშირებსაც.

რასაკვირველია, ერდმანი ასრულებდა მხოლოდ შუამავალის როლს—ფულებს იძლეოდენ ვაჭრები და კაპიტალისტები.

„ფორვერტსი" ერდმანის ბროშურას უწოდებს „შანტაჟისტის შურისძიებას" და ამით სურს ერდმანის მიერ მოყვანილ ფაქტებს მნიშვნელობა დაუკარგოს.

პარტიული ცხოვრება

მოსკოვის პარტაქტივის კრება

მოსკოვი, 16 აპრილი. 13 აპრილს მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე მოსმენილი იქნა ამხ. **რიკოვის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ. გაცხოველებული კამათის შემდეგ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომ **მოსკოვის ორგანიზ. პარტაქტივი სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელიც გამომდინარეობს 14 პარტყრილობის უმთავრეს დირექტივებიდან.** აქტივის კრება იწონებს ცეკას მიერ გათვალისწინებულ ღონისძიებებს სამეურნეო კრიზისის დასაძლევად და აღნიშნავს წარმატებებს ამ ღონისძიებათა გატარების საქმეში.

„მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება — ნათქვამია რეზოლიუციაში — ანგარიშს უწევს იმ სიძნელეთ, რომელიც თან ახლავს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას (გამოტოვებულია)... მტკიცეთ არის დარწმუნებული, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ყოველგვარი საჭირო პირობები სოციალისტური აღმშენებლობისათვის. უკანასკნელის წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია მუშათა კლასის და მისი ავანგარდის, საკავშირო კომპარტიის, სიმტკიცეზე. მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით და პარტიულ მასების თვითმოქმედების მაქსიმალურად განვითარებით შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე — ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი ორგანიზაციის და მთელი პარტიის რიგებს."

უჯრედის აქტივის დატვირთვა
(ლენინის რაიონში)

ლენინის რაიკომის საორგანიზაციო თათბირის წინანდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა უჯრედის აქტივის დატვირთვის გამომკვლევ კომისიის საანგარიშო მოხსენება. რაიონში გამოკვლეულ იქნა სულ 29 უჯრედი, აქედან 15-საწარმოო და 14 დაწესებულების უჯრედი. ამ უჯრედებში ა/წ. 1 მარტს ირიცხებოდა სულ პარტიის 2,183 წევრი და კანდიდატი; მათ შორის სხვადასხვა მუშაობით დატვირთულია 732 პარტიული. პარტიის წევრია 564 კაცი (აქედან კომკავშირის წევრია 19) და პარტიის კანდიდატი — 168, უკანასკნელთა შორის 14 კომკავშირელია. სქესის მიხედვით: 692 მამაკაცია და 40 ქალი. პარტიული სტაჟის მიხედვით: 1917 წლის ოქტომბრიდან სტაჟი აქვს 25 კაცს, 1917-დან 1921 წლამდე—183 კაცს, 1922 წლიდან და უფრო გვიან — 524 კაცს. ეროვნების მიხედვით: 386 ქართველი, 85 სომეხი, 199 რუსი, ამიერ - კავკასიის სხვა ეროვნებიდან — 30 კაცი და საერთოდ სხვადასხვა ეროვნებებიდან—32 კაცი. იმ ამხანაგებს შორის, რომელნიც დატვირთული არიან, მოვალეობა ამ რიგად ნაწილდება: თითო მოვალეობას ასრულებს — 254 კაცი, ორ მოვალეობას — 243 კაცი, სამს — 125 კაცი, ოთხს — 57, ხუთს —23, 6-დან 10-დე — 32 კაცი. თანამდებობის ხასიათი ასეთია: 1) პარტიული და კომკავშირული ხაზით—651 მოვალეობა, 2) პროფესიონალურ და საბჭოთა ხაზით — 423, 3) ნებაყოფლობით საზოგადოებათა და კოოპერაციის დარგში — 300 მოვალ. 4) სხვადასხვა ხასიათის მოვალეობა —302.

სულ 732 პარტიულს დაკისრებული აქვს 1,676 მოვალეობა, აქედან თვითეულ პარტიულზე დაახლოვებით 2½ მოვალეობა მოდის.

იმ პარტიულების რიცხვი, რომელნიც ჩაბმული არიან პრაქტიკულ მუშაობაში სხვადასხვა დარგების მიხედვით ასეთია: პარტიულ და კომკავშირულ მუშაობაში — 508 კაცი, პროფესიონალურ და საბჭოთა—341, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და კოოპერაციაში —260 და სხვადასხვა დარგებში 252 კაცი.

სამუშაო დღის ბიუჯეტი: თითო თავისუფალი საღამო აქვს 25 კაცს, ორი — 72 კაცს, სამი—127, ოთხი—115, ხუთი — 84, ექვსი — 22, სრულებით არა აქვს თავისუფალი საღამო 198 კაცს. დანარჩენ 89 კაცის შესახებ, კომისიას ცნობები არ მოსვლია.

საორგანიზაციო თათბირმა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მისცა შეიმუშაოს კომისიის მოხსენების გამო პრაქტიკული წინადადებანი და ციფრობრივი ცნობებით დაუგზავნოს უჯრედებს.

მ. პ.

ამიერ-კავკასიის ფინ. სახკომის კომუჯრედი

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კომუჯრედში ირიცხება სულ 59 პარტიის წევრი და კანდიდატი. უჯრედში მუშაობა სწარმოებს კომისიონური წესით. დაარსებულია შემდეგი კომისიები: საგიტაციო-საპროპაგანდო, ქალთა, კომკავშირის და წითელი ჯარის. აგიტპროპკომისია აწარმოებს მუშაობას რაიკომის და უჯრედის ბიუროს დირექტივებით და აგრეთვე ხელმძღვანელობს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობას. ნებაყოფლობით საზოგადოება არის 4: „რემედასი"-ს, რომელშიაც ირიცხება 240 კაცი, ბავშვთა მეგობრების საზოგადოება, რომელშიაც ირიცხება 100 კაცი, ავიაქიმში —100 კაცი და საშეფო საზოგადოებაში—129 წევრი.

აგიტპროპკომისიის მიერ გაგზავნილია პარტსკოლებში 28 ამხანაგი. ადგილკომთან დაარსებულია პოლიტწრე, რომელშიაც მეცადინეობს 17 ამხანაგი. ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს. მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ ამ. კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელი ქალები.

წითელ ჯარში სამუშაო კომისიის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება. კომისია აწყობს ჯარის ნაწილებში მოხსენებებს სასოფლო სამეურნეო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. უწერს წითელ-არმიელებს გაზეთებს და აგრეთვე აწვდის სათანადო ლიტერატურას. ურთიერთ შორის კავშირი დამყარებულია წარმომადგენლების საშუალებით.

კომკავშირის მუშაობას ექცევა ჯეროვანი ყურადღება. კომუჯრედი უწევს მას სათანადო ხელმძღვანელობას. ადგილობრივ კომკავშირის უჯრედში ირიცხება 25 კაცი. არის პიონერთა კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 100-მდე ბავშვს. პიონერთა შორის მუშობა წესიერად მიმდინარეობს.

მ. ქ.

მოძრავი პოლიტსკოლები რაჭაში

ზემო რაჭაში მოძრავ პოლიტსკოლამ მოამზადა და გამოუშვა ორი ჯგუფი. ამ ჟამად პოლიტსკოლა აწარმოებს პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაციას ქვემო რაჭაში, სადაც გამოშვებულია უკვე სამი ჯგუფი. გამოშვებულ მსმენელთა რაოდენობა 124, მათში კ. პარტიის წევრები და კანდიდატები 20. ა. ლ. კ. კ. წევრები 64. დანარჩენი 40 უპარტიო-თანამგრძნობნი.

ეკონომიური პირობები აიძულებს რაჭის გლეხობას გაიხიზნოს ზამთრობით სადმე ქალაქში სამუშაოდ. ამის გამო ზამთრობით ფერხდება ფართო გლეხურ მასების პოლიტსკოლებში ჩაბმა.

რაჭის მაზრაში არსებობს ხუთი სტაციონალური სკოლა: საღმელში, ხოტევში, ზნაკვაში, ნაკიეთში და სორში. სკოლებში ირიცხება 164 მსმენელი. მათში 121 პარტიის წევრი, კანდიდატი და ა. ლ. კ. კ. წევრია, დანარჩენი 43 უპარტიო.

მეცადინეობა სწარმოებს გეგმის და პროგრამის მიხედვით. სათანადო ყურადღება [illegible] სკოლებში მე-14 პარტყრილობის დადგენილებების შესწავლას, რისთვისაც გამოყოფილია განსაკუთრებული საათები. სათანადო მასალები ეგზავნებათ მაზრკომიდან. მარტის ბოლოში ხოტევში მეცადინეობა დამთავრდა, დანარჩენ სკოლებში ჯერ კიდევ გაგრძელდება.

ჯ.

პარტმუშაობა სიღნაღის მაზრაში

დღეს სიღნაღის მაზრაში არის 75 კომუჯრედი და 17 თემკომი. პარტიის წევრთა რაოდენობა უდრის 692. დამტკიცებულ კანდიდატთა რაოდენობა 116 ხოლო თემკომების მიერ მიღებული და ჯერ კიდევ დაუმტკიცებელთა რიცხვი 190.

თემკომში არის 12 პარტიის წევრი ან 16 პ. წ. და ამდენივე კანდიდატი—არის თემები სადაც 50 პ. წ. და 20-ზე კანდიდატია. სოფელი სადაც არის 12 პ. წ. გაყოფილია ორ უჯრედათ. ზოგი თემკომი დაცილებულია ერთი მეორისაგან 1 ნახევარ ვერსით. პარტკომში ამ ჟამად დასმულია საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად მიზანშეწონილია 17 თემკომის არსებობა მაზრაში—არსებობს ტენდენცია, რომ რამოდენიმე თემკომი შემოკლდეს, ვინაიდან ეს შეამცირებდა ხარჯებს და მეორე მხრივ იმ მომუშავეებით რომლებიც მუშაობენ თემკომებში გაძლიერდებოდა კომუჯრედების მუშაობა.

წერილობითი და ცოცხალი ხელმძღვანელობა

წინა პერიოდის მუშაობის ერთ ერთი დეფექტი იყო ის; რომ პარტკომის მიერ მიცემული წერილობითი ცირკულიარები და ინსტრუქციები იწერებოდა მეტად მძიმე და ადგილობრივი მომუშავეებისათვის ძნელად გასაგებ ენაზე.დღეს ეს ნაკლი სავსებით გამოსწორებულია და ამ დარგში არავითარ დეფექტებს ადგილი არა აქვს. პარტკომმა თავისი ინსტრუქტორის საშუალებით გააცხოველა ცოცხალი კავშირი თემკომებთან. სამკომიტეტოს ინსტრუქტორი სისტემატიურათ ათვალიერებს მუშაობას ადგილებზე და იქვე აძლევს დირექტივებს და მითითებებს მომავალ მუშაობისათვის

სიღნაღის მაზრის პარტიულ ცხოვრებიდან აღსანიშნავია შემდეგი მოვლენა: ზოგი თემკომები წერა-კითხვის არ მცოდნე გლეხებს უარს ეუბნებიან პარტიაში მიღებაზე—და ეს ითვლება გლეხის პარტიაში შესვლის მთავარ დაბრკოლებად.

ცხადია რომ წ. კითხვის არ მცოდნე სოფლად უმთავრესად არიან მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხკაცობა, ეს ისეთი ნაწილი რომლებიც სოციალურად და იდეოლოგიურად უფრო ახლო სდგას ჩვენს პარტიასთან.

ჩვენ თუ მათ იმ მიზეზებით, რომ ისინი მოკლებული არიან სათანადო ცოდნას, უარი უთხარით მაშინ პარტია გაიზრდება უმთავრესად შეძლებული და საშუალო გლეხობის ანგარიშზე ამიტომ ეს საკითხი მოითხოვს უფრო ფრთხილ და სერიოზულ მოპყრობას იმ პარტკომებმა, სადაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებს ადგილი აქვთ უნდა გადასინჯონ ეს საკითხი და მისცენ შესაფერი სწორი მიმართება, ადგილობრივი პირობების .

უპარტიო გლეხობის მიზიდვა

სიღნაღის მაზრაში უჯრედის ღია კრებები ხშირად ეწყობა. კრებებზე ესწრება უპარტიო გლეხობა. აღებულია კურსი, გლეხობის მიზიდვის მიზნით, ღია კრებებზე ისმებოდეს მოხსენებები გლეხობისათვის საინტერესო თემებზე როგორიცაა: მიწის მოწყობა, ტყეების გადაცემა, კოოპერაცია, გლეხკომების მუშაობა,ვეტერინარიის, სკოლების, სასამართლოს საკითხები და სხვა.

ხელმძღვანელობა კოოპერატიულ დარგში

სამაზრო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოოპერატიულ მუშაობას და ხელმძღვანელობასაც. ამ დარგში კარგად არის დაყენებული.

ამიტომ კოოპერაციის ყოველი სახე სიღნაღის მაზრაში სასურველათაა განვითარებული საგრძნობლათ გაჯანსაღდა სამომხმარებლო კოოპერაცია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით აღდგენილ იქმნა კულტურული მეურნეობის შემდეგი სახეები: მეთამბაქოობა, მებამბეობა, მეცხვარეობა და სხვა.

მოეწყო ქსელი საკრედიტო ამხანაგობებისა მთელ მაზრაში, რომელიც რეალურ დახმარებას უწევს გლეხობას მეურნეობის აღდგენის საქმეში (მევენახეობის აღდგენა, ფილოქსერასთან ბრძოლა, სახალხო მეურნეობის იარაღების შემოტანა და სხვა.)

ყველა დარგში კოოპერატიულ მუშაობისა საგრძნობლად დიდია პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა.

გერმ.

ცეკავშირის სტამბის კომუჯრედში.

„ცეკავშირი"-ს სტამბის კომუჯრედი არსებობს უკვე წელიწად ნახევარია. უჯრედი აერთიანებს „ცეკავშირი"-ს სტამბის, განათლების კომისარიატის სტამბა-საჰკინძავის და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის შტაბის სტამბის პარტამხანაგებს.

უჯრედში ითვლება პარტიის თორმეტი წევრი და თერთმეტი კანდიდატი. პარტიული მუშაობა უჯრედში შესაფერის სიმაღლეზე სდგას. პარტიის წევრები და კანდიდატები მიმაგრებული არიან პოლიტსკოლებზე, სადაც სისტემატიურად დადიან და მეცადინეობენ. უჯრედის ბიურო დაინტერესებულია აგრეთვე წარმოების საკითხებით და დამყარებული აქვს ურთიერთობა ადმინისტრაციასთან.

ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უპარტიოთა შორის მუშაობას. ის ხშირად იწვევს ხოლმე უჯრედის ღია კრებებს, რომლებზედაც უპარტიო მუშები მუდამ ესწრებიან. და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკითხების გარჩევაში. უჯრედი მჭიდრო კავშირშია აგრეთვე ა. ლ. კომკავშირის ადგილობრივ უჯრედთანაც და ხელმძღვანელობას უწევს მას.

9 აპრილს, შესდგა კომ. უჯრედის დახურული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა ბიუროს მუშაობის ანგარიში. კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო ბიუროს მუშაობა და ახალ ბიუროში აირჩია 7 ამხანაგი, მათ შორის 5 წევრი და 2 კანდიდატი. რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი კომისია. ბიუროს არჩევამდის მოსმენილ იქნა ახალგ. კომ. უჯრედის ბიუროს მუშაობის ანგარიში.

დოქ.

ქალთა შორის
ქალთა შორის მუშაობა სენაკის მაზრაში

სამაზრო პარტკომის ქალთა განყოფილებაში მუშაობს ერთი გამგე და სამი ორგანიზატორი. ქალთა ორგანიზატორები მიმაგრებული არიან რაიონებზე და ხელმძღვანელობას უწევენ მათ რაიონებში შემავალ თემებს.

სენაკის მაზრაში ქალთა დელეგატების რიცხვი უდრის 1.200. ეს რიცხვი თანდათანობით იზრდება. აქტიური დელეგატი ქალები ჩაბმული არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში, როგორიც არის საბჭო, გლეხკომი, კოოპერატივი და სხვა.

საერთაშორისო ქალთა დღის 8 მარტის დღესასწაული სენაკის მაზრაში კარგად ჩატარდა. ამ დღეს იქნა გაკეთებული მოხსენებები: 8 მარტის მნიშვნელობის შესახებ, საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევები და ქალის როლი აღმშენებლობაში და სხვა.

მოწყობილი იყო ექსკურსია დელეგატ-ქალების მონაწილეობით შავი ზღვის რკინისგზის დასათვალიერებლად, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 200 დელეგატ ქალმა. 8 მარტს ქ. ახალსენაკში გაიხსნა ქალთა წითელი კუთხე.

იქაური.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია
ორგანიზაცია გაიზარდა
(გ უ რ ი ა)

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ა. ლ. კომკავშირის გურიის ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა. თუ საქმე ოთხი წლის წინ წევრთა რიცხვი ორგანიზაციაში ასეულებს არ აღემატებოდა, ამ ჟამად გურიის კავშირი ათასობით ითვლის წევრებს თავის რიგებში. წევრთა დიდი უმრავლესობა ღარიბესი გლეხები არიან. ურთიერთობა კომკავშირისა და პარტიის ორგანიზაციებს შორის ნორმალურია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გურიის ზოგიერთ სოფლებში, სადაც ა. ლ. კომკავშირის უჯრედები არსებობენ, კომუჯრედი ან სულ არ არის, ან თუ არის, ხშირად ძალიან სუსტია, ამიტომ, აქეთ ადგილებზე პარტიული ხელმძღვანელობა მოისუსტებს.

ლტოლვა უპარტიო გლეხურ ახალგაზრდათა და მოწაფეების შორის კომკავშირის ორგანიზაციებისაკენ დიდია. ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი კომკავშირლები ლოთობენ და არღვევენ წესრიგს. მართალია, ეს მოვლენა არ ატარებს ცოტად თუ ბევრად მასიურ ხასიათს, მაგრამ ორგანიზაცია მაინც ფხიზელ ადევნებს თვალყურს და გადამჭრელ ზომებს იღებს ისეთი წევრების წინააღმდეგ, რომლებიც სახელს უტეხენ კომკავშირს.

ი. ჯ.

საბინაო კოოპერაცია

ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში ითვლება 33 მუშათა საბინაო საამშენებლო კოოპერატივი; აქედან საქართველოში —20, აზერბეიჯანში—6 და სომხეთში—7. ყველა ეს კოოპერატივები აერთიანებს 1.44 კაცს, მათი საკუთარი თანხების რაოდენობა კი უდრის 91.400 მანეთს.

აღნიშნულ კოოპერატივების გარდა, საბინაო-საამშენებლო კოოპერატივები არსებობენ აგრეთვე რკინისგზებზე, სადაც ამ კოოპერატივებში გაერთიანებულია 630 წევრი.

გასული წლის განმავლობაში ამიერ კავკასიაში ფართოდ განვითარდა საბინაო-საიჯარო კოოპერაცია. აზერბეიჯანში ასეთი კოოპერატივების რიცხვი უდრის 620 და მათში გაერთიანებულია 16.000 წევრი; საქართველოში არსებობს 200 ამხანაგობა 6.000 წევრით და სომხეთში—10 ამხანაგობა.

საბინაო -საამშენებლო კოოპერატივები საჭირო კრედიტებს მუშაობის საწარმოებლად იღებენ კომუნალური მეურნეობის ცენტრალური ბანკიდან; ამ უკანასკნელის მიერ გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში გადადებული იყო 2.095.000 მანეთი. მიმდინარე საბიუჯეტო წელში კი გრძელვადიანი კრედიტის სახით გადადებული იქნება ოთხი მილიონი მანეთი, რაც საშუალებას მისცემს საბინაო-საამშენებლო კოოპერატივებს ფართოდ გაჰავითარონ თავისი მუშაობა.

აღნიშნულ თანხების გარდა საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის საშუალებების გასადიდებლად შემოღებულია საბინაო გადასახადი. შარშან მისი აკრეფა რამოდენიმედ შეფერხდა. საბინაო სამიზნო გადასახადი ზოგიერთ ქალაქებში სრულებით არ ყოფილა აკრეფილი, ზოგან კი მისი სავსებით აკრეფა ვერ მოხერხდა მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ამიერ-კავკასიაში შეგროვილი იქნა 862.343 მანეთი. ამას გარდა, ამავე მიზნით თანხები გადადებული იყო აგრეთვე აღმასკომების მიერ: ბაქოში—500 ათასი მანეთი. თბილისში—84.000 მანეთი, ერევანში—100.000 მანეთი და ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს მიერ ოთხი მილიონი მანეთი.

◆

კომუნალური მეურნეობა მაზრებში

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აწარმოებს კომუნალური მშენებლობის და კომუნ. მეურნეობის საერთო მდგომარეობის გამოკვლევას საქართველოს მაზრებში. უკვე დასრულებულია ქუთაისის, თელავის, სიღნაღის, ზუგდიდის მაზრების და ქ. ფოთის გამოკვლევა.

ქუთაისის მაზრა

ქ. ზონში დათვალიერებულ იქნა ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომელიც ამჟამად შენდება. სადგურის მექანიკური მოწყობა უკვე დამთავრებულია, დასრულებულია აგრეთვე სამუშაოები ქალაქში. ამჟამად სწარმოებს მუშაობა არხის სათავეში, თვით სადგურის შენობაში დინამოს დასადგმელად, იდგმება ბოძები და გაჰყავთ ელექტრომდგმელები მავთული.

სამტრედიაში ხელახლად აგებულა სკოლის შენობა და დამთავრებულა ელექტრო-სადგური, რომლისთვისაც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ გაიღო 5 ათასი მანეთი. ამჟამად ქალაქში გაყვანილ თხრილებზე შენდება გადასასვლელი ბოგირები და პატარა ხიდები. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სამტრედიაში გაკეთებულა შემდეგი: 50 ცხენის ძალის ელექტროსადგური, გაშენებულა ქალაქის ბაღი, მოწყობილა ორი ბორანი მდ. რიონზე, აგებულა სკოლის ორსართულიანი შენობა, აგებულა და მოწყობილა აგურის ქარხანა, სასაკლაო და ქალაქის საავადმყოფო.

თელავის მაზრა

თელავში დათვალიერებულ იქნა ელექტროსადგური, სადაც დადგმულა ახალი ძრავი 25 ცხენი ძალისა, რომელსაც გარდა იმისა, რომ ღამიან ქალაქს სინათლეს აძლევს ,დღისით მოძრაობაში მოჰყავს წისქვილი. დათვალიერებულ იქნა აგრეთვე ახალი ბაღი, სახალხო სახლი, ქალაქის სასაკლაო, საავადმყოფო და სხვა.

სოფელ ყვარელში დათვალიერებულ იქნა წყალსადენი, რომელიც გაყვანილა 2, 5 ვერსის სიგრძეზე. ამ წყალსადენის გაყვანა დამთავრდა 1925 წელს.

სიღნაღის მაზრა

სიღნაღის მაზრაში აღმასკომის მიერ შესრულებულა შემდეგი კომუნალური სამუშაოები: აგებულა 5 შენობა კოოპერატივებისათვის, დასასვენებელ სახლის შენობა ს.-კ.ბოდბეში; სახლის აგება დაჯდა 6.000 მანეთი; სოფელ ანაგაში აშენებულა სახალხო სახლი, რომლის დარბაზი 400 კაცს იტევს; სახალხო სახლი 1500 კაცისათვის აგებულა აგრეთვე ველისციხეში, საფუძვლიანად არის შეკეთებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილი სიღნაღიდან—ბოდბისხევამდე. წყალსადენები გაყვანილა სოფელ ყოლაქში, ვეჯინში, გურჯაანში. ველისციხეში აგებულა სახალხო სახლი. სოფელ წნორში გაყვანილა ორი თვითმომდინარე წყალსადენი, რომლის სიგრძეც 12 ვერსს უდრის; წყალსადენი დაჯდა 50 ათასი მანეთი.

სოფელ ნუკრიანში მალე დასრულდება წყალსადენის გაყვანა, რომელიც 1925 წელს დაიწყო.

თათბირი აღმშენებლობის შესახებ
სექციების მუშაობა

ეკონომიურ სექციაში

თათბირის მიერ გამოყოფილმა ეკონომიურმა სექციამ უკვე დაამთავრა მუშაობა. სექციამ დაამუშავა ამხ. **ლეჟავას, სამოილოვის, ალლაძის, გრიგორიანის და ვაშკლიევიჩის** მოხსენების თეზისები.

ამას გარდა, სექციაში მოსმენილ იქნა მთელი რიგი სპეციალური მოხსენებები, მათ რიცხვში ინჟ. **მილიავსკის** მოხსენება საბინაო აღმშენებლობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ომისა და რევოლიუციის განმავლობაში ძირითადი საბინაო კაპიტალი იხარჯებოდა შეუვსებლად, საბინაო ქირა ან სულ არ იყო ანდა იმდენად მცირე იყო, რომ არ ყოფნიდა სახლების შენახვას; საბინაო მეურნეობის ექსპლოატაციას არ ჰქონია გეგმაშეწონილი ხასიათი.

ინჟ. **მილიავსკის** აზრით, ამჟამად მორიგ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული არსებული შენობების რემონტის და საერთო აღმშენებლობის გეგმის შედგენა უახლოესი წლებისათვის; ამასთანავე საჭიროა ისეთი ტარიფის დაწესება, რომელშიც შევა სახლების შესანახავად საჭირო ყველა თანხები.

ტეხნიკურ სექციაში

ტეხნიკურმა სექციამ თავის სხდომაზე მოისმინა მთელი რიგი მოხსენებები. უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ინჟ. **კოჟევნიკოვის** მოხსენება ჰიდრო-ელექტრო აღმშენებლობის პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებლის აზრით, უახლოეს [illegible] წელში შესაძლებელია აგებული იქნეს მთელი რიგი [illegible] ჰიდრო-ელექტრო სადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 500.000 ცხ. ძალა; ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ამჟამად მარტო აზერბეიჯანში სდგას საკითხი 100.000 ცხ. ძალიანი ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგების შესახებ.

გამოდის რა მომავალი ჰიდრო-ელექტრო სადგურის პერსპექტიული სიძლიერიდან, ინჟ. კოჟევნიკოვი ამბობს, რომ ამ ჰიდრო-ელექტრო სადგურების ასაგებად ყოველწლიურად საჭირო იქნება საამშენებლო მასალების დიდი რაოდენობა; მაგალითად, 300.000 კუბ. ფუტი ხე-ტყე. 600.000 ფუთი ცემენტი, 35.000 ფუთი რკინეულობა და სხვა. ამიერ-კავკასიაში კი უკვე ეხლავე საგრძნობი საამშენებლო მასალების ნაკლებობა.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ამ გარემოებას და აღნიშნა, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ჰიდრო-ელექტრო აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად საამშენებლო მასალებით.

ინჟ. კოჟევნიკოვის მოხსენების გარდა ტეხნიკურ სექციაში მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: ინჟ. **ოლევსკის**—ადგილობრივი ტრანსპორტის მიღწევების შესახებ, პროფ. **ვინოგრადოვ-ნიკიტინის**—ამიერ-კავკასიის სატყეო მასალების რაოდენობისა და ღირსების შესახებ, ინჟ. **დიასამიძის**—სანიტარიის ტეხნიკის შესახებ და სხვა.

სექციების მუშაობა დამთავრებულია. დღეს დილით გაიმართება თათბირის უკანასკნელი პლენარული სხდომა.

სასოფლო მეურნეობა
სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

ტრაქტორები მებამბეობის რაიონებში

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს ამ ჟამად აქვს სხვადასხვა სისტემების 150 ტრაქტორი, რომლებიც მუშაობენ ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში.

ამას გარდა მიღებული იქნება კიდევ 70 ტრაქტორი, რომლებიც აგრეთვე გაიგზავნება სხვადასხვა რაიონებში. ამ ტრაქტორების გამოსაყენებლად მებამბეობის რაიონებში მოწყობილია ტრაქტორების საწყობები, საიდანაც სწარმოებს ტრაქტორების დაგზავნა სხვადასხვა რაიონებში.

ახალი ტრაქტორების მიღება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ამერიკიდან მიიღო 400 ტრაქტორი „ფორძონის" სისტემისა, რომელთაგან 150 მიეცემა რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამართველოს, დანარჩენი 250 კი განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის; აქედან 120 ტრაქტორს მიიღებს აზერბეიჯანი და 70 ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი, დანარჩენი 60 ტრაქტორი კი განაწილდება საქართველოს და სომხეთის სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

თვითეული ტრაქტორი წელს გაიყიდება 1700 მანეთად (შარშან იყიდებოდა 1800 მანეთად). ტრაქტორის ყიდვის დროს საჭიროა ბეს შეტანა ღირებულების 25 პროც. რაოდენობით. ღარიბებს გლეხობისაგან შემდგარ გაერთიანებისათვის საწინდარის ეს რაოდენობა შეიძლება შემცირებული იქნეს.

ეხლახან მიღებული ტრაქტორები შედის მიმდინარე წლის საიმპორტო გეგმაში, რომლის მიხედვით წელს მთელს საბჭოთა კავშირში შემოტანილი უნდა იქნეს 14.200 ტრაქტორი.

სამრეწველო საქონელი სოფლისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სავაჭრო-სამრეწველო სექციამ განიხილა ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმა ა.-კ. სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ.

გეგმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის სოფლის მოსახლეობას ამჟამად ესაჭიროება მანუფაქტურა, ლითონები და ლითონის ნაწარმოები. გეგმის მიხედვით, ამიერ-კავკასიის სოფლის მოსახლეობისათვის საჭიროა 57.700.000 მეტრი მანუფაქტურა ანუ 677 ვაგონი, თუ თუ თვითეული ვაგონის მოცულობას ვიანგარიშებთ 85.000 მეტრათ.

მაგრამ გამოირკვა, რომ ნამდვილად თვითეულ ვაგონში ეტევა არა 85 ათასი, არამედ 70.000 მეტრი მანუფაქტურა, რის გამო გეგმაში გათვალისწინებულ რაოდენობას აკლდება 134 ვაგონი მანუფაქტურა.

სექციის აზრით, ერთად-ერთ გამოსავლად შექმნილი მდგომარეობიდან უნდა ჩაითვალოს შუამდგომლობის აღძვრა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე მანუფაქტურის შემოტანის გაძლიერების შესახებ.

სავაჭრო-სამრეწველო სექციამ დაამტკიცა ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა და დაადგინა, რომ შემოტანილი ფართლეულობის რესპუბლიკების შიგნით განაწილების დროს მიღებული იქნეს შემდეგი დებულებები:

ა) პირველ რიგში რაც შეიძლება მეტი ფართლეულობა უნდა გაიგზავნოს მებამბეობის, მევენახეობის და მეთამბაქოობის რაიონებში.

ბ) მანუფაქტურის განაწილება ცალკე რესპუბლიკების რაიონების შორის უნდა ხდებოდეს როგორც ამ რაიონების სყიდვითი უნარიანობასთან შეფარდებით, ისე სავაჭრო ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინებით.

ამასთანავე სექციამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რათა გადიდებული იქნეს ფართლეულობის შემოტანა ამიერ-კავკასიაში 134 ვაგონით და მიღებული იქნეს სასწრაფო ზომები ამიერ-კავკასიის ლითონით და ლითონის ნაწარმოებით უზრუნველსაყოფად.

ამხანაგობა „მწყემსი"-ს მუშაობა

ამხ. „მწყემსი"-ს გასული წლის მუშაობის და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესახებ სრულიად საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „მწყემსი"-ს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. გონაშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

25 წლის საოპერაციო სეზონში ამხანაგობა „მწყემსი"-ს გამგეობამ არამც თუ გაამართლა წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალისწინებული სამუშაოები,. არამედ გადააჭარბა კიდეც 20-25 პროცენტით. მაგ., წლის დასაწყისს ჩვენ ვფიქრობდით დაგვემზადებია 40 ათასი ფუთი მატყლი, დავამზადეთ კი 47 ათასი ფუთი.

ეს გარემოება უნდა მიეწეროს იმას, რომ ამხ-ბა „მწყემსი" ამ ბოლო დროს მოღონიერდა ორგანიზაციულად და ის დიდ დახმარებას უწევს თავის წევრებს.

გასულ წელს ჩვენ არ გვქონდა საკუთარი საბრუნავი თანხა და მთელი ოპერაციები ჩავატარეთ „შერსტი"-სგან მიღებული ავანსით და ბანკებიდან ნასესხები თანხებით. ბანკებმა პროცენტებში წაიღეს 38 ათასი მანეთამდი. ამას გარდა, ვინაიდან ორგანიზაცია ჩვენს ხელში გადმოვიდა მეტად დავალიანებული, ჩვენ მოგვიხდა მრავალი მოულოდნელი ხარჯების გაღება. გაზაფხულის მატყლის ოპერაციაშიც საგრძნობლად ვიზარალეთ, მაგრამ მდგომარეობა შემოდგომის მატყლის გასყიდვამ იმდენად გამოაკეთა, რომ დავფარეთ გაზაფხულის ზარალი, ავანაზღაურეთ მთელი წლის განმავლობაში გაწეული ხარჯები და მოგებაც ვნახეთ 65 ათასი მანეთამდის.

დღეს ამხანაგობის ცენტრალურ საბჭოს და გამგეობის დადგენილებით, თანახმად წესდებისა, ძირითად თანხაში გადავრიცხეთ 10 პროც., სათადარიგოში 20 პროც., ხოლო წევრებს დივიდენდათ უკვე დაურიგეთ ფუთზე ცხვრის მატყლში თითო მანეთი, ბატკნისაში კი ორ-ორი მანეთი.

დივიდენდის ეს განაწილება, ჩვენ ვფიქრობთ, რამოდენიმეთ მაინც აღადგენს გლეხობის თვალში კოოპერაციის პრესტიჟს და გააძლიერებს ჩვენს წევრებში იმის სურვილს, რომ ისინი მუდამ მხარში ედგნენ თავიანთ კავშირს და დამზადებული პროდუქცია გაასაღონ მხოლოდ და მხოლოდ კავშირის საშუალებით.

„მწყემსი"-ს საქმიანობაში გასულ წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე ვაჭრობის გაფართოვების საქმეს. ჩვენზე გადმოვიტანეთ „წარმოკავშირის" და „ქართლის" გამსაღებელი პუნქტები და უნდა ითქვას, რომ ამ პუნქტებს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცხვარეთა ეკონომიურ მდგომარეობისათვის, ისე სახელმწიფო თვალსაზრისითაც. პუნქტის საშუალებით ჩვენს წევრებს დღეს საშუალება ეძლევათ ბაზარში გასასყიდათ გამოყვანილი ცოცხალი საქონელი მიჰყიდონ თვისივე კავშირს და იყონ დამშვიდებული იმაში, რომ მათ არავინ მოატყუებს.

ამ ჟამად ამხანაგობის განყოფილებები და ქვეგანყოფილებები აქვს თბილისის, სიღნაღის, თელავის და ახალქალაქის მაზრებში, განყოფილებები არის აგრეთვე ბაკურიანში და თიანეთში. მიმდინარე წელს კი განზრახვა გვაქვს გავხსნათ ოთხი ახალი ქვე-განყოფილება ზოგიერთ მაზრებში და ამით შევქმნათ ისეთი პირობები,რომ მწყემსისათვის იოლი იყოს საჭირო საქონლის მიღება. თანაც ვფიქრობთ დავამზადოთ 50 ათასი ფუთამდე მატყლი.

მეცხვარეობის განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზად ამხ. გონაშვილი ასახელებს იმას, რომ ამ ბოლო დროს მწყემსები შევიწროებული არიან საძოვრების სიმცირის გამო. ცხვრის რაოდენობის დონე თითქმის გაუთანასწორდა ომის წინა ხანების რაოდენობას. ხოლო მაშინდელი სივრცის საძოვრები აღარ მოიპოვება—მისი დიდძალი ნაწილი სახნავ-სათესად გადაიქცა. მაგრამ „მწყემსი"-ს გამგეობას ამის მოსაწესრიგებლად მიღებული აქვს საჭირო ზომები. დაიდვა ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმება და მომავალ ზაფხულის საიალაღოდ ფიქრობენ არტაანის მიდამოებში გადარეკონ ასი ათასამდე ცხვარი.

სატყეო მეურნეობა
ახალი ტყეების გაშენება

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში ტყეების ნაწილი გაჩეხილი იქნა. ამჟამად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე დასმულია საკითხი ამ ტყეების აღდგენის შესახებ.

ეს მუშაობა სწარმოებს ორი მიმართულებით: ახალგაზრდა ტყეების დაცვა გაჩეხვისაგან და ახალი ტყეების მოშენება ცარიელ მიწებზე.

ყველაზე უფრო მძიმეა ახალი ტყეების მოშენება, რადგან აქ საჭიროა დიდი მოსამზადებელი მუშაობა; უნდა გამოირკვეს, თუ რომელი ჯიშის ხეები უფრო აიტანს ამა თუ იმ ნიადაგს, როგორი ხეები უფრო ხელსაყრელი იქნება. როგორც ეკონომიური, ისე ტეხნიკური თვალსაზრისით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მუშაობის დაწყება, ახალი ტყეების მოსაშენებლად; არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ხეების გადმონერგვა სხვა ადგილებიდან.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოაშენოს ჩვენში ტამბოვის ცაცხვი; ამ მიზნით ტამბოვის რაიონიდან გამოწერილია 2 ფუთი თესლი. ცაცხვის გარდა, გაშენებული იქნება, აგრეთვე, სხვა ჯიშის ხეებიც.

ახალი ტყეების მოშენება სწარმოებს საქართველოს ყველა კუთხეებში, მაგრამ უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული მას თბილისის და ახალქალაქის მაზრებში. სულ განზრახულია ახალი ტყეები გაშენებული იქნეს—2.000 დესეტინის სივრცეზე.

მუშაობის გაფართოვებას ხელს უშლის თანხების ნაკლებობა. ამ საქმეს ხმარდება ანარიცხები ხე-ტყის ფასებიდან; ამ გზით შარშან მიღებული იყო 39.000 მანეთი, მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, კი მიღებული იქნება—60.000 მანეთი.

ტყის მოშენება თვითეული დესეტინაზე ჯდება, საშუალოდ 40—50 მანეთი.

გაზაფხულის მატყლის დამზადება

მატყლის ფასები

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიმდინარე წლის გაზაფხულის გაურეცხავ მატყლზე დააწესა შემდეგი ფასები: თუშური მატყლი—14 მანეთი ფუთი, დონმა—13 მანეთი 30 კაპ., ალბაის მატყლი—13 მანეთი, ზაქათალის მატყლი—12 მანეთი, აზერბეიჯანის მატყლი—10 მანეთი 80 კაპ., განჯის მატყლი—9 მანეთი, მოზეხი—11 მანეთი 50 კაპ., ყარამანის—7 მანეთი 50 კაპ., ნახიჩევანის მატყლი—12 მანეთი 50 კაპ., მერინოსების მატყლი—35 მანეთი და ნახევრად მერინოსების მატყლი—26 მან. 25 კაპ.

ანარიცხის გაუქმება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, გაუქმებულია 0,75 პროცენტიანი ანარიცხი მატყლიდან. რომელსაც იღებდენ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატები კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებისათვის.

ანარიცხები

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მატყლის დამამზადებელი ორგანიზაციებს (კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების) სარგებლოთ დააწესა 12 პროცენტიანი ანარიცხი.

ვინ აწარმოებს მატყლის დამზადებას

ამიერ-კავკასიაში მატყლის დამზადებას აწარმოებენ შემდეგი ორგანიზაციები: ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრების საშუალებით; სააქციო საზოგადოება „მატყლი" სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების საშუალებით და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა.

ცალკე რესპუბლიკებში მატყლის დამზადებას აწარმოებენ: საქართველოში—წარმოკავშირი, სომხეთში—სომხეთის კოოპერატიული კავშირი და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, აზერბეიჯანში—„აზერტიფაკი", „კიბირლიკი", „ნახიტიფაკი" და აზერბეიჯანის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

პრემიალური ფონდი სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად

საქ. უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებულია დებულება პრემიალური ფონდის გამოყენების წესების შესახებ. ამ დებულების თანახმად პრემიები (ჯილდო) შეიძლება მიეცეთ იმ სამეურნეო ერთეულებს, რომელნიც მიზნად ისახავენ თავიანთ მეურნეობის გაუმჯობესებას.

დაჯილდოვების ობიექტების რიცხვში დებულების თანახმად, შედიან: წესიერად მოწყობილი ცალკე გლეხური მეურნეობა, სასოფლო-მეურნეობის ცალკე დარგები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ; ე. ი. ისეთი დარგები, რომელთა წახალისება დიდათ საჭიროა; წვრილი სარწყავი ქსელი წესიერი რაციონალური მოწყობა და მიწადმოწყობის რაციონალური ჩატარება. პრემიები 20 მანეთზე ნაკლები არ არის და 200 მანეთს არ აღემატება, ზემოხსენებულ ფარგლებში პრემიები დარიგდება, როგორც ფულად, ისე ნატურით.

ძვირფასი კულტურის განსავითარებლად

ბათუმის სამაზრო აღმასკომის აგრონომიულმა პუნქტმა მიმდინარე გაზაფხულზე მოახდინა 500-მდე საჩვენებელი დამყნა გლეხების ბაღების ხილის ხეებზე. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების წევრებს დასამყნელი მასალა უფასოდ დაურიგდათ.

კანაფის და ბამბის აკლიმატიზაცია

აფხაზეთში ამჟამად მუშაობს პრაქტიკული ბატანიკის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სპეც. კომისია, რომელიც აწარმოებს ცდებს ბამბის და კანაფის მცენარის აკლიმატიზაციისათვის.

საბჭოთა საქართველო

ყველის და კარაქის ქარხანა

ცხინვალი, 16 აპრილი. სამხრეთ-ოსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კავშირის საოლქო გამგეობა სოფელ წონში აშენებს ყველის და კარაქის ქარხანას.

ქარხნის მთელი მოწყობილობა უკვე მიტანილია ასაშენებელ ადგილზე და კავშირი შეუდგა შენობის აგებას.

ნედლ მასალას ქარხანას მიაწვდიან ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც ამ მიზნით აწყობენ სარძეო კოლექტივებს.

დახმარება გლეხობას

ცხინვალი, 16 აპრილი. საქ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისათვის მიცემულ 15.000 მანეთით შეძენილია ხორბალი სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად.

აჭარისტანი

ბრძოლა ბავშვთა უპატრონობასთან

ბათომი, 16 აპრილი. ბათომში იმართება ზამდლეული უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ.

საქონლის მიწოდება სოფლისათვის

ბათომი, 16 აპრილი. აჭარისტანის ცეკავშირმა გაუგზავნა სამაზრო კოოპერატივებს 20.000 ფუთი მარილი, ერთი ვაგონი ფქვილი და 20.000 მანეთის ფართალი.

ციმბირის ჭირის ეპიდემიის ლიკვიდაცია

ბათომი, 16 აპრილი. აჭარისტანის მაზრებში ციმბირის ჭირით დაავადების შემთხვევები მოისპო.

მომჭირნეობის რეჟიმი

ბათომი, 16 აპრილი. ბათომის საზღვაომ დასდო ხელშეკრულება არტელ „მეგობრობასთან" დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესასრულებლად.

ახალი ხელშეკრულება ამცირებს ზედნადებ ხარჯებს 50 პროცენტით.

წყალდიდობის მოლოდინში

ბათომი, 16 აპრილი. თოვლის დნობის გამო კარალოს წყალი გადავიდა ნაპირებიდან, მოსალოდნელია ახლო მდებარე სოფლების წყლით დაფარვა.

თამბაქოს ექსპორტი

ბათომი, 16 აპრილი. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ დაამზადა საზღვარ-გარეთ გასატანად 1.500 ფუთი თამბაქო.

ბიდონები ნავთის სინდიკატისათვის

ბათომი, 16 აპრილი. აჭარისტანის ვაჭრ. მრეწ. სამმართველოს ბიდონის ქარხანას ნავთის სინდიკატმა შეუკვეთა 41.500 ცალი ბიდონის დამზადება.

ყვავილი მოისპო

ბათომი, 16 აპრილი. მიღებულ ზომებით ხულოს მაზრაში სრულიად მოისპო ყვავილის ეპიდემია.

ტელეფონი-ავტომატები

ბათომი, 16 აპრილი. რამდენიმე პუნქტში დადგმულია ტელეფონი-ავტომატები.

ჯანმრთელობის დაცვა

ბათომი, 16 აპრილი. მარტის განმავლობაში მუშათა ცენტრალურმა ამბულატორიამ საექიმო დახმარება აღმოუჩინა 10.413 ავადმყოფს, აქედან მალარიით დაავადებული იყო—493, ჭლექით—96.

წყლის აღმოჩენა სოფ. ზემო-მაჩხაანში

(კახეთი, სიღ. მ.)

სიღნაღის მაზრის სოფ. ზემო-მაჩხაანში გლეხობა უწყლობის გამო უხსოვარ დროიდან დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ და გაგზავნა ინჟინერ-გეოლოგი წყლის აღმოჩენის მიზნით ნიადაგის კვლევა-ძიების მოსახდენად.

კვლევა-ძიებამ დიდი შედეგები მოიტანა სოფელში აღმოჩენილი იქნა წყარო, რომელსაც დღე ღამის განმავლობაში შეუძლია მისცეს მცხოვრებთ 700 ვედრო წყალი

ამჟამად კომუნალური განყოფილების ტეხნიკური ქვე-განყოფილება იმუშავებს წყლის ამოღების გეგმას.

ა. ქ.

დავიცვათ კაკალი განადგურებისაგან

კაკლის ხე არა მარტო სილამაზე და მშვენებაა გლეხის მეურნეობაში, არამედ ის უაღრესად სასარგებლო მცენარეც არის. ვინ არ იცის რა მნიშვნელობა აქვს კაკალს საჭამანდისათვის და სალებავის დასამზადებლათ. როგორც სამასალო ხე, განსაკუთრებით ავეჯეულობისათვის, კაკალი ხომ საუკეთესო ღირსების მცენარეა.

გლეხსაც უყვარს კაკლის ხე, იგი მას განსაკუთრებულ სასოებით უვლის და აშენებს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ ძვირფას მცენარეს მტერიც ბევრი ჰყავს. ჩვეულებრივ მტრების გარდა, რომლებიც საზოგადოთ სდევს მცენარეებს, კაკლის ხეს ჰყავს ყველაზე მეტად საშიშარი და დაუნდობელი მტერი—ჩარჩ-ვაჭრები.

იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც კი კაკლის ხე ხარობს, რომ იქ ჩარჩ-ვაჭარს არ მიეგნოს და მუსრს არ ავლებდეს სოფლის სიამაყე-სიმდიდრე მცენარეს. ჩარჩები სარგებლობენ გლეხის ხელმოკლეობით და ხშირათ იმდენსავე აძლევენ თითო ძირ ხეში, რამდენსაც მაზე ერთი მოსავლის განმავლობაში კაკალი მოიკრიფება.

ბევრგან შეხვდებით სოფლის ორღობეებში ურმის ქარავნებს, რომლებიც დატვირთულნი არიან კაკლის ხეებით. გაჰქვთ ეს ძვირფასი ხე ყოველივე წესისა და ზომიერების დაუცავათ. არავინ დაგიდევს ახალი სრულიად საღი კაკლის ხე მოიჭრება, თუ დაბერებული უსარგებლოთ გადაქცეული ხე.

საკითხს უმთავრესად ფული სწყვეტს და მხოლოდ ფული. როცა გლეხს გაჭირვება კარს ადგია, ის აღარ დაეძებს არაფერს და მუქთად უგდებს ხელში ჩარჩს ძვირფას საქონელს. შემდეგ კი, როცა ხე მოიჭრება და გაითლება, როცა ახალ მოსავალზე გლეხი ძველებურად ველარ მოიტანს ბეღელში კაკლით სავსე კალათებს, იდაყვს კბენს გვიანღა არის.

საჭიროა ამიტომ ადგილობრივ აღმასკომებმა, სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებმა, გლეხკომები, კოოპერაცია და სხვანი ჩაერიონ ამ საქმეში. ჯერ ერთი უნდა მიღებულ იქნას ზომები ახალგაზრდა კაკლის ხეების დასაცავათ. ამის შესახებ უნდა იმართებოდეს ხშირი საუბარი გლეხთა შორის. როცა გლეხი ნივთიერ ხელმოკლეობის გამო ჩარჩს მიმართავს და სხვა გამოსავალ გზას ველარ პოულობს, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობამ, კოოპერაციამ, გლეხკომმა ან სხვა რომელიმე დაწესებულებამ და ორგანიზაციამ უნდა მოაშველოს მას ხელი, რომ ამით იხსნას გლეხი ჩარჩის კლანჭებიდან და კაკლის ხეც განადგურებას გადაარჩინოს.

კაკლის ხის დაცვას მარტო ცალკე გლეხის მეურნეობის ინტერესები არ მოითხოვენ. ამ მცენარეს უფრო ფართო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. უნდა დავიცვათ კაკალი განადგურებისაგან.

რიყელი.

პირველი ნაბიჯები

(წერილი თელავიდან)

ახლად არჩეულმა აღმასკომის პრეზიდიუმმა უკვე დაიწყო საქმიანი მუშაობა.

უკანასკნელ 8 აპრილის სხდომაზე პრეზიდიუმმა უპირველეს ყოვლისა გადასწყვიტა გადაიყვანოს აღმასკომის განყოფილებები და თემ-აღმასკომები გეგმიან მუშაობაზე. ამ გეგმის შემუშავება დაევალა განყოფ. გამგეებს და თემ-აღმასკომებს, წინასწარ საქმის გაგზავნით.

რათა სოფელს წესიერი ხელმძღვანელობა და მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო პერიოდულად ინსტრუქტორთა და მილიციის უფროსების თათბირების მოწვევა, რომლის ოქმებსაც განიხილავს აღმასკომის ცხოვრებაში გასატარებლად.

ვინაიდან მიწის ყიდვა-გაყიდვას სოფლად კიდევ აქვს ადგილი, პრეზიდიუმმა გამოიმუშავა ზომები ამის მოსასპობად და აცნობა, როგორც ადგ. პროკურორს ისე უბნის მოსამართლეებს.

ამჟამად მიმდინარეობს ალაზნის მარჯვენა ნაპირის დაგეგმა სარწყავი არხის გასაყვანათ, რომელიც ბევრ გზებს აუქმებს და გლეხებს უხდებათ შორი მანძილით სიარული სოფლის ბაღებიდან ჭირნახულის ამოსატანათ. ამისათვის დაევალა მაზრის ტეხნიკოსს ადგილობრივ ცნობების შეკრება არხის გამყვან ხელმძღვანელთან ერთად.

მილიციის 5 წლის არსებობის დღესასწაულის ჩატარებაში აღმასკომი ცხოველ მონაწილეობას იღებს. დანიშნა 3 ნიშანი-ჯილდო გამოჩენილ მილიციელთა დასაჯილდოებლად და ამას გარდა გადადო თანხა იმ მილიციონერთა ოჯახების დასახმარებლად, რომელნიც მსხვერპლად შეეწირნენ თავის მოვალეობას.

მილიციონერთა დღესასწაულისათვის დაურიგდება ხელფასი და ახალი ტანისამოსი.

ამავე სხდომაზე მოხდა არჩევნები, როგორც სხვადასხვა კომისიებში, ისე სახალხო მოსამართლეებისა. მოსამართლეებად არჩეულ იქნენ თელავის უბანში ლ. ბერძენიშვილი, წინანდალის—ვ. შიფკიშვილი და შილდის—ს. მაჭავარიანი. მაზრის მესამე აგრონომად მოწვეულ იქნა აგრ. გოიშვილი.

ვ.

ჩვენი ცეცხლისმქრობელი რაზმი

(ქუთაისი)

ქალაქ ქუთაისის და ახლო-მახლო მდებარე რაიონების თვალყურის დევნება საჭირო დახმარებისათვის ცეცხლის გაჩენის დროს ევალება ქუთ. ცეცხლისმქრობელ რაზმს, რომლის განკარგულებაშიც არის 3 ავტომობილი და 32 კაცი. მანქანები მეტად დაზიანებული არიან; ცეცხლის გაჩენის დროს გამოდის მხოლოდ ორი ავტომობილი.

იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში ხანძრის 27 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო აპრილში გასულ 10 დღის განმავლობაში იყო 5 შემთხვევა. უმთავრესად მიზეზი არის საკვამლე მილების გაუწმენდლობა. იყო ცეცხლის გაჩენის ერთი შემთხვევა ბოროტი განზრახვით.

წყალსადენის უქონლობა და ქუჩების ცუდი მდგომარეობა მეტად უშლის ხელს რაზმის მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ცეცხ. მქრ. რაზმს არ აქვს თავისი სახელოსნო დაზიანებულ მანქანების რემონტისათვის და უვარდება ხელში კერძო ზეინკლებს, სადაც დიდი თანხის გაღება უხდება.

ქ. ნ.

გამფლანგველები აღმოაჩინეს

(ს. მეწიეთი, გურია)

სოფელ მეწიეთს შემოჩვევიან ფულის მფლანგველები. ჯერ კიდევ 1918 წელს ჩოხატაურის სარაიონო საავადმყოფოსათვის შეკრიფეს გლეხებში ფული და გაფლანგეს კოოპერატივის ფულები, გაფლანგეს სამკითხველოს შენობის ასაგებათ შეგროვილი თანხა და სხვა.

მოთმინებიდან გამოსული ხალხი შეიკრიბა და აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა გამოერკვია ვინ რამდენი საზოგადო ფული გაფლანგა. გამოირკვა, რომ საავადმყოფოსათვის შეკრეფილი 900 მანეთი 1918 წელს გაფლანგა ბ. ლომთათიძემ, ფულები გაუფლანგავს აგრეთვე მოსე კალანდაძეს, მაქსიმე კალანდაძეს და ვანო ლომთათიძეს. ამ უკანასკნელთა მიერ გაფლანგულ თანხის რაოდენობა ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული.

ჭდვილოშრივი.

ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში

საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარ ამხ. კ. ხომერიკთან ერთად, ოზურგეთის სამაზრო საბჭოს მეოთხე ყრილობის დელეგატებმა 6 აპრილს დაათვალიერეს აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ქარხანა, რომელიც ეხლა შენდება. დელეგატებთან და სტუმრებთან ქარხნის დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზე მოკლე საუბარი გამართა უმაღლესი ეკონომიური საბჭოს რწმუნებულმა ინჟინერმა ამხ. სოლომონ ანდღულაძემ.

ქარხნის დათვალიერებამ და ინჟინერის საუბარმა ამ ქარხანაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე და სტუმრებზე. საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს კიდევ ერთი საგანძური მოემატა. მალე ქვეყნება ოზურგეთში ევროპიულათ მოწყობილი აბრეშუმის ძაფის ამომხვევი დიდი ქარხანა.

დამსწრე.

მეტი ყურადღება კედლის გაზეთებს

კედლის გაზეთს სოფელში უაღრესი კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. საუკეთესო საშუალება უწიგნოების, ბოროტმოქმედების და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად კედლის გაზეთია.

გარდა ამისა კარგათ დაყენებულ კედლის გაზეთს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სოფელს აგრონომიულ ცოდნის გავრცელებაში და გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებაში. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით კედლის გაზეთები იშვიათი მოვლენაა ჩვენს სოფლებში. მაგრამ იქ, სადაც ისინი არსებობენ, კედლის გაზეთის სარგებლობა ყველასათვის თვალსაჩინო და უდაოა.

რა აფერხებს სოფლად კედლის გაზეთების გავრცელებას და რა ეღობება წინ მათ მუშაობას იქ, სადაც ისინი უკვე არსებობენ? პირველყოვლისა სათანადო მომზადებულ კულტურულ ძალების სიმცირე. შემდეგ ნივთიერი ხელმოკლეობა და უკანასკნელათ ის არა კეთილ-მეგობრული განწყობილება, რომელსაც იჩენენ ხშირათ კედლის გაზეთის მიმართ, არა მარტო ჩამორჩენილი და ძველი ქვეყნის მოციქული ელემენტები, არამედ ზოგჯერ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელნიც კი.

ნივთიერი მსხვერპლი, რომელსაც ითხოვს კედლის გაზეთის გამოცემა, არაფრათ ჩაითვლება იმ სარგებელთან, რომელიც გაზეთს მოაქვს სოფლისათვის. მიუხედავათ ამისა, ხშირათ შეხვდებით კედლის გაზეთებს, რომელნიც სულს ლაფავენ უქაღალდობის, უსაწერკალმობის, უსაღებაობის და სხვა ავეთ წვრილმანების არქონობის გამო.

ამასთან ერთად კედლის გაზეთებს ხშირათ არ ყოფნისთ ადგილობრივი კულტურული ძალები. არის შემთხვევები, როცა ადგილობრივ კედ. გაზ. მუშაკები მოიძებნებიან (მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, საბჭოთა მოსამსახურეები და სხვა) მაგრამ ბევრ მათგანს უჯრედის და აღმასკომის კულტ. სექცია არ აბამს მუშაობაში, ან თვით იჩენენ გულგრილობას კედლის გაზეთის გამოცემლობისადმი.

საკითხები კი, რომელნიც გაშუქების საჭიროებენ კედლის გაზეთის ფურცლებზე, გარდა ბოროტმოქმედებისა და დაუდევრობა ავ-კაცობისა ეხლაც ბევრია სოფლად ასეთია: კოოპერაციის, გლეხკომის, აღმასკომის, პარტორგანიზაციების და სხვათა მუშაობა. საგზაო მშენებლობა, სკოლის ვითარება, გლეხის მეურნეობა, ტყის მოვლა-მოშენება, სას.-სამეურნეო გადასახადი და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხები ხომ მრავალია სოფლად, რომელზედაც შეუძლია სწეროს კედლის გაზეთმა.

ყოველ თემში თითო კედლის გაზეთი, აი რა უნდა დაისახონ მიზნათ სოფლად მომუშავე ყველა კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებმა. ამის შესაძლებლობა არსებობს. ამას წინ არ უდგას უსახსრობა საჭიროა მხოლოდ სურვილი და მუშაობის უნარის გამოჩენა.

მექობე.

გადამდები სნეულება

(გალი. სამურზაყანო)

ქ. გალში მეტად გავრცელდა ვენერიული ავადმყოფობა, მისი მსხვერპლი წითელი მილიცია, ზოგიერთი მოსამსახურენი და ახალგაზრდობაც შეიქნა.

ქალაქში არ არის დაცული სისუფთავე როგორც საჭიროა, არ არის მიქცეული ყურადღება ჩამოსულ ქალებზე, რომლებიც ავრცელებენ ამ სენს. აგრეთვე არიან ადგილობრივი როსკიპი ქალებიც, რომლებიც ავადმყოფების გამავრცელებელ მთელ ბუდეს წარმოადგენენ.

უმრავლესობას სირცხვილად მიაჩნია ავათმყოფობის გამხელა. სანიტარულმა კომისიამ უნდა მოაწყოს ლექციები და აუხსნას ხალხს ვენერიულ ავათმყოფობის საშინელი თვისებები. მისგან თავის დაცვისა და დაავადების დროს მოვლის წესები. საჭიროა აგრეთვე ვენერიულ პუნქტის გახსნა.

ჰუთრი.

წ.-კ. უცოდინ. ლიკვიდაცია

ზუგდიდის მაზრაში სამაღმასკომის პოლიტგანათლების განყ. უკვე შეუდგა ლიკსკოლათა მსმენელების გამოშვებას. მაზრაში გახსნილია 124 სკოლა. განზრახულია გამოშვებულ იქნას 4.000-მდე მსმენელი.

პოლიტცოდნის სკოლები ზუგდიდის მაზრაში

მაზრაში არსებობს 4 პოლიტცოდნის სკოლა. მათ შორის ერთი მოძრავი. დღემდე გამოშვებულ მსმენელთა რიცხვი უდრის 142. ახლო მომავალში გამოშვებულ იქნება 130-მდე მსმენელი.

არ. ჩ—ა.

წერილებიდან

ლიხაური, (გურია)

ელსადგური ჩქარა გვექნება. ჩვენს სოფელში უკვე სწარმოებს გამოკვლევა ელსადგურის აგების შესახებ. სპეციალისტი ინჟინერი რამოდენიმე კვირაა რაც მუშაობს ამ საქმეზე. განზრახულია აქის წყალზე აიგოს სადგური. ეს სადგური ენერგიას მიაწვდის ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ქარხანას.

ბულიკ რეხეულიძე.

მარტყოფი

ექსპლოატატორი ტყის მცველი. ტყის მცველი ვარსემანაშვილი ცუდათ ეპყრობა გლეხებს და ექსპლოატაციას არ ერიდება. ამას წინად მან გლეხი ტატო გაინარაშვილი დაიქირავა და მოაჭრევინა მას კაკლის ხე, ხელფასის აღებაზე კი საშინლად გააწვალა და სრულად არც ის მისცა რაც ერგებოდა.

მ. ზ.

მუშათა ცხოვრება

კოჯორის აგარაკების შესახებ

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ.)

კოჯორი ერთ-ერთი უახლოესი და მასთან საუკეთესო საზაფხულო აგარაკთაგანია. მაგრამ კოჯორის რაციონალურად ექსპლოატაციის და გამოყენების საქმე ჯერაც არ არის სათანადოთ მოწესრიგებული.

კურორტი დღესაც არ არის ტეხნიკურად (ელექტრო - განათებით, წყალსადენით) უზრუნველყოფილი, როგორც წესი და რიგია. თვით აღნიშნული აგარაკებით მუშა-მოსამსახურეთა მიერ სარგებლობის საკითხიც არ არის სათანადოთ მოგვარებული; ხშირად წინ ეღობებათ მათ სხვადასხვა გვარი დაბრკოლებანი, რომლიც გამოწვეულია აღმასკომის საკურორტო განყოფილების საქმიანობის მოუწესრიგებლობით. მუშას ეკარგება რამოდენიმე დღე ოთახის მისაღებათ საჭირო განცხადების შეტანის და ორდერების გაცემის დროს. ამ დროს აქ დგება გრძელი რიგები. შარშან საკურორტო განყოფილებაში ხშირად იკარგებოდა განცხადებებიც ოთახის გაცემის შესახებ. ამას მოსდევდა დაუსრულებელი უსიამოვნება მთხოვნელთა და განყოფილების თანამშრომელთა შორის.

ეს გარემოება აფრთხობს ჩვენ მუშებს. მას წელს არ უნდა ექნეს ადგილი. უნდა იქნეს უფრო გაადვილებული მუშა-მოსამსახურეთათვის აგარაკზე ოთახების გაცემის საქმე. ვიდრე ეს აქამდე იყო. არავითარ „ვოლოკიტას", „კანცელიარშჩინა"-ს და კავშირის წევრების მიმართ უყურადღებობას, უხეშობას განყოფილების თანამშრომლებისაგან არ უნდა ექნეს ადგილი. მუშა-მოსამსახურეთა განცხადებები არ უნდა იკარგებოდეს. აქ არამც და არამც არ უნდა ექნეს ადგილი „ნათლიმამობას", „ნაცნობობას", „ცალკე ბარათების" საშუალებით პროტექციის ვინმესთვის გაწევას და სხ.

ამის გარდა წასულ წელს ადგილი ჰქონდა ასეთ შეუწყნარებელ მოვლენას. სააგარაკო ოთახების ქირა ძალზე დიდი იყო. მისი გადახდა ბევრმა მუშა - მოსამსახურემ ვერ შესძლო და ამის გამო ბევრი აგარაკი გამოკეტილი დარჩა მთელი სეზონის განმავლობაში. აქ კი თვით აღმასკომს ჰქონდა ორმაგი ზარალი: ჯერ ერთი, რომ მან ვერ გამოიყენა რაციონალურად კოჯორის აგარაკები, როგორც მოგების წყარო და მეორე, მთელი წლის განმავლობაში გამოკეტილი სახლები ნესტიანდებოდა და ფუჭდებოდა. თვით ბევრ მუშა-მოსამსახურეს არ მიეცათ საშუალება აგარაკებით სარგებლობისა.

ამგვარად დაუფიქრებელმა „კომერციულმა მოსაზრებამ" ზიანი და ზარალი მოგვაყენა.

ასეთ უყაირათობას წელს არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს. არც ერთი აგარაკი წელს ცარიელი არ უნდა დარჩეს. კოჯორი უნდა მოვფინოთ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებით. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა ოთახების ქირა შეფარდებული იქნეს ჩვენი მუშების და მოსამსახურეების ფინანსიურ შესაძლებლობასთან.

იგი უნდა იანგარიშებოდეს მუშის ძირითადი ხელფასის მიხედვით და, ჩვენი აზრით, არ უნდა აღემატებოდეს არსებულ ჩვეულებრივ საბინაო ქირას, **ათჯერ გამრავლებულს.**

წინააღმდეგ შემთხვევაში კოჯორით წელსაც ჩვენი მუშა-მოსამსახურეები ვერ ისარგებლებენ. იგი წელსაც ცარიელი დაგვრჩება 60 პროც. მაინც. ამის საბუთს ჩვენ გვაძლევს საკურორტო განყოფილების ოფიციალური განცხადება, სადაც აშკარად ნათქვამია, თუ რომელ ხელფასიდან იანგარიშებენ საბინაო ქირას.

ამის გარდა მუშა-მოსამსახურეთ უნდა მიეცეს შეღავათი ქირის შეტანის ვადაშიც. ქირის ნახევარი ნაწილის შეტანა უნდა ხდებოდეს სეზონის დასაწყისში, მეორე ნახევრის კი ივლისის თვეში.

გამა.

უდიერი „ხაზეინი"

(მიწა-ტყის კავშირის საყურადღებოდ)

ნავთლუღში მანავის ქუჩა, № 6, ცხოვრობს მებაღე მოჯამაგირე იულო ღლანიძე. ეს ვაჟბატონი სახელგანთქმულია, როგორც მოჯამაგირეთათვის უდიერი მომპყრობი. იმდენად მიუკარებელია ეს ადამიანი, რომ მას 1923 წლიდან გამოცვლილი ჰყავს 6 მოჯამაგირე.

ამ ბოლო ხანებში მას ჩაუვარდა მოჯამაგირეთ ერთი საწყალი დაბეჩავებული პირი, ლადო შენგელია. ძველი ბატონები არ აწვალებდა ხალხს ისე, როგორც ეს აწვალებს ამ მუშას. ა. წ. 28 მარტს, იულო ღლანიძე დაბრუნდა სახლში დამთვრალი და ცემა-ტყეპით გააგდო გარეთ სიცივეში საწყალი მოჯამაგირე.

მას ვერ წარმოუდგენია, რომ არსებობს მუშათა ინტერესების დამცველი ორგანიზაც. კავშირი.

უნდა ითქვას, რომ „ვაჟბატონი" იულო ღლანიძე იყო მოჯამაგირედ და გადაუწყვეტია მოჯამაგირის ჰაპან-წყვეტა.

მიწა-ტყის კავშირო, გაეცი პასუხი ამ „ხაზეინს".

მუშა ხელკეტიანი.

ასეთ უთავბოლო მუშაობას უნდა ვებრძოლოთ

ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე სპეცი იწყებს შენობის აგებას, ან სხვა რამე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას და მის მოწყობას სრულიად უგეგმოდ, რასაც მოსდევს ორმაგი ხარჯები.

ასეთი შემთხვევები ჩვენ დაწესებულებებში მრავალია. აქის გამო ერთხელ აშენებული ხელმეორედ გადაშენება გვიხდება. აი ერთი ფაქტიც.

რკინისგზის მთავარ-სახელოსნოებში წ. წელს გაზაფხულზე დამთავრდა ერთი აბანოს აგება, სადაც ერთდროულად უნდა ებანავა 50 კაცს. ხსენებული აბანოს მნახველი მუშა-მოსამსახურეების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ ამის შემდეგ ექნებოდათ მათ კარგი და სუფთა აბანო. მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა და აბანო აღმოჩნდა სრულიად უვარგისი და ბანაობისთვის გამოუსადეგარი. რის გამო მას დასჭირდა ხელმეორედ გადაკეთება-მოწყობა.

აი ერთი წელი მალე შესრულდება და აბანო კიდევ მზად არ არის, მიუხედავად იმისა, რომ აბანო აუცილებლად საჭიროა მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ასეთ უთავბოლო მუშაობას უნდა ვებრძოლოთ.

მუშა სიონელი.

რად წაგვართვით წყალი!

12 აპრილს, ვიღაცას მიერ დაკეტილი იქნა „კონჩნირსკი"-ს შესახვევში არსებული საერთო წყლის ონკანი. ალბათ, წყალსადენის სამმართველოს დავალებით. წყალი დაკეტილ იქნა ალბად იმ გარემოების გამო, რომ წყალთან არ არსებობდა „ბუდკა", რის გამოც მცხოვრებლები წყლით სარგებლობდენ უსასყიდლოდ. წყალი კი დიდძალი იხარჯებოდა, ვინაიდან დასახელებული წყალით დიდძალი მოსახლეობა სარგებლობს. დღეს ერთი დიდი მხარე. სრულიად უწყლოდ დარჩა. ხალხი საშინელ პირობებში ჩავარდა. ამნაირი ზომების მიღება და გამოგლეჯა ხელიდან იმის, რაც ხალხის ერთ მთავარ საარსებო საგანს შეადგენს, არ არის დასაშვები.

სჯობს შემოღებულ იქნას ამ წყლის სარგებლობის სხვანაირი პირობები, ვიდრე ხალხის სრულიად უწყლოდ დატოვება. ეხლავე კი საჭიროა საზოგადოებისათვის სასწრაფოდ წყლის მიცემა.

ჩ. ა.

გიჟს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს

ყაზბეგისა და ოლგინის ქუჩის კუთხესთან მუშაობს ერთი ფეხსაცმელის მწმენდავი, რომლის ადგილი ქუჩაში კი არა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია, ან გამასწორებელ სახლში.

ამას წინეთ ის ვიღაცა ახალგაზრდა ყმაწვილს უწმენდდა ფეხსაცმელებს და მე შემთხვევით ჰოვკარი ყური მის ლაპარაკს. „დამონავებული საქართველო", „უფლება აყრილი და ტალახში ასვრილი ქართველი ერი"-ო და სხვას ელევს სისწრაფით ბჟრობდა და იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას.

ამ დროს შემთხვევით გამოიარა პარტსკოლის ერთ-ერთმა კურსანტმა და [illegible] რომ გაჩერებულიყო. მაგრამ [illegible] საზიზღარი სიტყვები და უვიდის გინება მიიღო პასუხად, რამაც გამოიწვია ამ ადგილზე ხალხის მოგროვება, კურსანტი კი ამ გიჟმა ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა და ვეღარ გაიგო, თუ რა ექნა.

ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა როდი არის. ამისთანა სცენები თითქმის ყოველდღე მეორდება და ისმის მისი უშვერი გინება.

მარე.

გვაძლევთ, თუ არ გვაძლევთ სინათლეს

(ქალ. აღმასკ. „ემსი"-ს საყურადღებოდ)

ჩვენ მცხოვრებლები მუშათა სახლში (კლარა ცეტკინის ქ., № 60). ვსარგებლობთ სინათლით ქალაქის ელსადგურიდან (ყოფ. ადამოვის), აქამდის კარგ სინათლეს იძლეოდენ, მაგრამ ახლა ეს ერთი კვირა არის რაც თავის დროზე სინათლე არ გვაქვს. მოვა დრო ანთების და ავანთებთ, ცოტახანს ანთია, შემდეგ კი ჩაქრება ხოლმე და რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ ინთება, მხოლოთ რამდენიმე წუთით, შემდეგ კი ისევე ჩაქრება და საღამოს ათ საათამდის აღარ გვაქვს.

ვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს ამის ყურადღების მიქცევას და გამორკვევას თუ რაშია საქმე.

მუშა ჯაბადარი.

პატივისცემისა და მადლობის ღირსი ექიმი

ქ. თბილისის დამზღვევ სალაროს მე-10-ე სამილიციო რაიონში ჰყავს დანიშნული რაიონული ექიმი ამხ. ბაქრაძე. ეს ახალგაზრდა ექიმი დიდ სიმპატიას იმსახურებს ფართო მასაში თავისი დაკვირვებით, გულმოდგინეობით და მიზანშეწონილი რჩევა-დარიგებით. ამრიგად, ჯერ კიდევ ნორჩი ექიმი მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის საგუშაგოზე მტკიცედ სდგას, რის გამო დაიმსახურა მშრომელი ხალხის სიმპატია.

კამკაში.

მიიღეთ სათანადო ზომები

(პროკურატურის საყურადღებოთ)

მე-8 სამილიციო უბანში გუმბრის ქუჩაზე სახლი № 22-ში სცხოვრობს ვინმე ვანიკა ხალატოვი. ეს ვაჟბატონი ძალიან ნაქებია „ახალ-ახალი" ცოლების შერთვით.

მას როდესაც მოესურვება ხელს იღებს შეუღლებაზე და ქუჩაში დევნის თავის ყოფ. მეუღლეს.

პირველმა მისმა ცოლმა ამ მოკლე ხანში თავი დაიხრჩო მისი ხრიკებისაგან და არ განვლო მოკლე ხანმა, რომ ამ ვაჟბატონს ისევ გული გაუგრილდა და მოიყვანა მეორე ცოლად ობოლი ქალი პატიოსანი ოჯახის შვილი.

რასა ვხედავთ? განვლო ერთმა წელმა და ამ ცოლსაც ქუჩაში ერეკება. წადი... მომშორდი... არ მინდიხარ... დაბალი ხარ და სხვა

რას ნიშნავს ეს?

ეს უდანაშაულო ქალიც რამდენჯერმე ვიხსენით მტკვარში გადავარდნისაგან და ამ ჟამად ძმის ოჯახში არის შეფარებული.

პროკურატურავ! რაშია საქმე? ნუ თუ ასეთ თავხედ და გარყვნილ ვაჟბატონებს ჭკუა არ უნდა ასწავლოთ, რომ შემდეგში არ განიმეოროს მაინც?

მუშკორი ია.

მუშათა ქრონიკა

— **ძველი რაოდენობით.** ა/კ. რკ. გზის დამზღვევმა სალარომ მიმართა ცენტრალურ სოც-დაზღვევის სამმართველოს თხოვნით, რათა მიმდინარე წელს ა/კ. რკ. გზელებს დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში დაეთმოს იმდენივე ადგილი, რამდენიც ჰქონდა გასულ წელს.

— **ხანგრძლივი ავადმყოფები.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკინის გზის დამზღვევ სალაროს და ჯანმრთელობის სამმართველოს გამორკვიონ ხანგრძლივ დაავადმყოფებულ მუშათა რაოდენობა და მძიმე ავადმყოფები გადარიცხონ ინვალიდებათ.

ეკონომიური ცხოვრება

სამრეწველო კომერციული განათლება

13 აპრილს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შენობაში შესდგა სამრეწველო - ეკონომიური განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრენ სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელი. თათბირმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქნეს გამონახული საკითხები სამრეწველო-ეკონომიური განათლების დამხმარე კომიტეტის გასაძლიერებლად. თათბირმა მოისმინა ამხ. ერქომაიშვილის და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ცნობები, რომლის მიხედვით გამოირკვა—სამრეწველო-კომერციულ განათლების ტეხნიკური კურსების მეტად მძიმე მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია თანხების უქონლობით. თათბირს დაესწრო 138 წარმომადგენელი თბილისის სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებიდან.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კერძო პირების წარმომადგენლებმა.

დასასრულ თათბირმა გამოიტანა დადგენილება, სადაც იგი საჭიროდ სცნობს, რომ ყოველ წარმოების მოგების განსაზღვრული პროცენტი გადაირიცხოს კომერციულ განათლების ფონდის გასაძლიერებლად. ამავე დროს თათბირმა აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა კონკრეტიულ ღონისძიებების გამომუშავება თანხების გამოსაძებნად.

თბილისის ბაზარზე

საქონლის ფასები

თბილისის კოოპერატივებში პასკის ფქვილი „ზაკტპო"-ს მარკისა ფასობს 4 მან. 8 კაპ. ფუთი, იგივე „კრუპჩატკა"—5 მან. 80 კაპ., ფურნის პური—9 კაპ. გირ., იგივე მეორე ხარისხის—6 კაპ., თორნის პური პირველი ხარისხის—9 კაპ., იგივე მეორე ხარისხის—7 კაპ., ძროხის და ხარის ხორცი—32—35 კაპ. გირვანქა, ღორის ხორცი—40 კაპ. გირ., ცხვრის ხორცი—40—50 კაპ. გირ., დაშაშხული ღორის კანჭი—50—55 კაპ. გირ., მოხარშული ღორი—1 მან. გირ., კარაქი—1 მან., ერბო მარილიანი—80 კაპ. გირ., მზესუმზირას ზეთი—25 კაპ. გირ., ძროხის და ხარის ქონი—40 კაპ. გირ., ღორის ქონი—50 კაპ. გირ., რძე გაწმენდილი—32 კაპ. ლიტრა სახლში მიტანით. იგივე გაუწმენდელი სახლში მიუტანლად—26 კაპ. ლიტრა, ხაჭო—15 კაპ. გირ., კვერცხი—49 კ. ათეული, შაქარი ნატეხი—33 კაპ. გირ., ფხვნილი—27—28 კაპ., ჩაი—3 მან. 60 კაპ.-დან 2 მანეთამდე გირვანქა, კაკაო—2მან. 20 კაპ.-დან 2 მან. 80 კაპეიკამდე, ყავა 2 მან. 20 კაპ.-დან 2 მან. 60-კაპ-მდე. შეხვეული 65—85 კაპ. 1/4 გირ., ლობიო—20 კაპ. გირ., ლობიო წითელი—6—8 კაპ. გირ., ლობიო გურული—12 კაპ., ქართული—4—5 კაპ. გირ., ბრინჯი აქულის 25—28 კ. გირ., ალდაშის—20 კაპ. გირ., თევზეული—75 კაპ.-დან 15 კაპ-დე გირ., თხილი ზაქათალის—20 კაპ. გირ., კაკალი—15 კაპ. გირ., ფორთოხალი—15 კაპ. ცალი, ლიმონი—15 კაპ. ცალი, კახური ღვინო—1 მან. 12 კაპ.-დან 55 კაპ-მდე ბოთლი; იმერული ღვინო—80 კაპ. კვარტი და 50 კაპ. ბოთლი; ლუდი—32 კაპ. ბოთლი; ბორჯომის წყალი—35 კაპ. ბოთლი.

საერთოდ თბილისის ბაზარზე ამჟამად ფასები მტკიცეა. ბაზრის ფასები ცოტათი განსხვავდებიან კოოპერატივების ფასებისაგან. ბაზარი მოელის გაცხოველებულ ვაჭრობას აღდგომის წინა დღეებში. ამ დროისათვის თვალსაჩინო ცვლილებები ფასებში არ არის მოსალოდნელი. სასმელებიდან ლუდზე, სიიაფის გამო, მეტი მოთხოვნილებაა ვინემ ღვინოზე. ძვირდება კვერცხი.

საკრედიტო ამხანაგობები

საჯავახოს საკრედიტო ამხანაგობა

საჯავახოს საკრედიტო ამხანაგობის წევრთა რიცხვი ამჟამად 160-მდე აღწევს. ამხანაგობის ძირითადი თანხა—4983 მანეთს უდრის, ამხანაგობის საანგარიშო პერიოდში გაცემული აქვს სესხად გლეხობაზე 2.580 მანეთი. ამ თანხიდან უკვე დაბრუნებულია 1810 მანეთი.

სენაკის საკრედიტო ამხანაგობა

ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობების მიერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში წარდგენილია დასამტკიცებლად საკრედიტო ოპერაციების გეგმა—150 ათასი მანეთის რაოდენობით, გეგმით გათვალისწინებულია 15.000 მანეთის გადადება დასამზადებელი ოპერაციებისათვის 18.000 მანეთის სესხის მისაცემად შინა-მრეწველობის არტელებისათვის, და 82 ათასი მანეთი გლეხობისათვის სესხის მისაცემად.

აჭარის საკრედიტო ამხანაგობა

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა აჭარისტ. სოფლების საკრედიტო ამხანაგობებისათვის გადასდო 4.57.000 მანეთი გლეხური მეურნეობის აღსადგენად.

ქედის საკრედიტო ამხანაგობამ გლეხობაზე სესხად გასცა 3.500 მანეთი.

ქუთაისის მაზრის საკრედიტო ამხანაგობისათვის

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო 25 ათასი ფუთი შაბიამანი და 7ათასი ფუთი გოგირდი. გოგირდი და შაბიამანი განაწილებულ იქნა დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობებს შორის, გლეხებისათვის დასარიგებლად.

ქუთაისის განყოფილება ამჟამად აწარმოებს კამპანიას გლეხური პაების გასავრცელებლად. საკრედიტო ამხანაგობათა უმრავლესობა პაებს ნაღდ ფულზე იძენს. ამავე წესით ამხანაგობები ავრცელებენ პაებს გლეხებში.

ეკონომიურ საბჭოში

ღვინის და სპირტეულობის ვაჭრობის ორგანო

ღვინისა, კონიაკისა და საერთოდ სპირტეულობის რაციონალურად გასაღების მიზნით დაარსდა ერთი მთლიანი ღვინის სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაცია, რომელსაც ექნება სავაჭრო-საკომისიო ხასიათი. ორგანიზაციაში შევლენ სახალხო მამულების ტრესტი, ს. მ. უ. ს. ტრესტი—„სახღვინი" და საქართველოს სახელმწიფო ვაჭ. საპაიო ამხანაგობა.

სავაჭრო-სამრეწველო ბანკის განყოფილება ბათომში

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს და რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კანტორის შუამდგომლობა ქ. ბათომში სავაჭრო-სამრეწველო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

მაუდის ახალი ფაბრიკა

მაუდის ახალი ფაბრიკა აგებული იქნება დიდუბის რაიონში.

ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. ა. ეოფეიკაშვილის (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი და გ. ყურულაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა აირჩიოს ადგილი აღნიშნულ ფაბრიკისათვის.

1925—26 წ. მესამე კვარტალის საკრედიტო გეგმის შესახებ

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ბანკების საკრედიტო გეგმის საფუძველზე შედგენილი 1925/26 წ. მესამე კვარტალის გეგმა დამტკიცებულ იქნა 29.051.000 მან. რაოდენობით.

მასთან ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო აჭარისტანის ტყის მრეწველობას გაუდიდდეს კრედიტი 100.000 მანეთამდე.

მაუდის ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტი

თბილისის მაუდის ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცებულ იქნა ამხ. ეოფეიკაშვილისა (თავმჯდომარე), ბ. კალანდაძე, ინჟ. ვაწაძის და ფეიქართა კავშირის წარმომადგენლის შემადგენლობით.

საშენი აგურის ზომის შეცვლა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო ტეხნიკური თათბირის მიერ შემუშავებული ჩვეულებრივი საშენი აგურის დამზადების გეგმა.

დაევალა ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს გადასინჯოს აგურის კალკულაცია, ვინაიდან საშენი აგურის ზომა შეცვლილია.

პროფკავშირებში

ლეჩხუმის მაზრის მიწა - ტყის კავშირში

ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომი ჩამოყალიბდა 1921 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მას სათავეში ჩაუდგა ისეთი ხელმძღვანელი, რომელმაც კავშირის საქმე წინ წასწია და შეძლებისდაგვარად კარგ ნიადაგზე დააყენა.

ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირი დღეს დღეობით აერთიანებს 46 წევრს, მასთან ერთად იგი აერთიანებს 290 დაქირავებულ ღარიბ გლეხობას, რომელ რიცხვშიდაც შედიან, როგორც მაზრის შეგირდ-მოჯამაგირეები, აგრეთვე ხე-ტყის სეზონობითი მუშები. (ამათში რამოდენიმე ნაწილი უმუშევრებია).

ლეჩხუმის მაზრაში არსებულ მოჯამაგირეებს დარიგებული აქვს მიწა-ტყის ადგილკომის მიერ დრ. ბილეთები და სარგებლობენ ყოველივე ისეთი უფლებებით, როგორც სრულუფლებიანი წევრები

ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომი შედარებით წარსულ ზამთრის პერიოდთან, ამჟამათ უდიდეს მუშაობას აწარმოებს. იგი ყოველივე ენერგიას ხმარობს, რათა მაზრის მოჯამაგირეების შრომის პირობები და ეკონომიური მდგომარეობა იქნეს გაუმჯობესებული. აგრეთვე ეს კავშირი ცდილობს, რათა არ ჩამორჩეს დანარჩენ სხვა კავშირებს და კიდევაც ამართლებს ამ იმედებს. გაზაფხულის თვის ე. ი. მარტის პირველ რიცხვებიდან იგი შეუდგა მაზრაში არსებულ ყველა მოჯამაგირეების ხელ-ახალ აღრიცხვაზე აყვანას. თუმცა ყოველივე ენერგიას ხმარობს მიწა-ტყის კავშირი მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში, მაგრამ მას ხელს უშლის ფინანსიური სიღარიბე.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ისეთი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც ფაქტიურად უნდა შედიოდენ წევრებათ ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომში, მას არ სცნობენ მიწა-ტყის კავშირის ლეჩხ. მაზრაში.

ლეჩხუმის მაზრაში ამჟამად თითქმის ყველა თემებსა და რაიონებში ჩამოყალიბებულია მოჯამაგირეთა დამცველი და მეთვალყურე ადგილკომები და პროფ.-რწმუნებულები (სადაც ოცდა ხუთზე ნაკლებია მოჯამაგირეთა რიცხვი, იქა გვყავს პროფრწმუნებული) ზემოთაღნიშნულ ადგილკომებსა და რწმუნებულებს ხელმძღვანელობას უწევენ როგორც პარტორგანოები, აგრეთვე ყველა თემკომები და ასე შეერთებული ძალით აწარმოებენ მუშაობას მოჯამაგირეებში და ზრუნავენ მათ ინტერესების დასაცავად.

ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირი ყოველ ფეხის გადადგმაზე თავის მუშაობაში უდიდეს ყურადღებას აპყრობს მოჯამაგირეების მუშაობას. რისთვისაც იგი ყოველივე საჭირო დირექტივებსა და ინსტრუქციებს ასეთის მუშაობის გასაძლიერებლათ უგზავნის თემის პარტორგანიზაციებს და თემკომებს.

ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომის მიერ გაყვანილ არიან მოჯამაგირეებიც საბჭოებში 7-8% რაოდენობით. ამასთან ერთად ყველა მოჯამაგირეები მაზრის მასშტაბით განაწილებული არიან მცირე მცოდნეთა და წ. კ. სალიკვიდაციო სკოლებში.

ამას გარდა მაზრის მასშტაბით მოჯამაგირეების 20-25% ჩაბმულია ა. ლ. კ. კავშირის რიგებში.

ი. ჩიქოვანი.

პროფმუშაობის ქრონიკა

გორის სამპროფბიუროში

— **საზაფხულო კლუბის მოსაწყობად.** გორის სამპროფბიურო საზაფხულო კლუბის მოსაწყობად იღებს იჯარით ბაღს.

— **კულტკომისიის წევრთა თათბირი.** ამ მოკლე ხანში ქ. გორში მოწვეული იქნება ადგილობრივ კავშირებში მომუშავე კულტკომისიის წევრების თათბირი.

— **საქ. სახკინმრეწვთან ხელშეკრულების დასადებად.** გორის სამპროფბიურო კინოსურათების მიწოდების შესახებ—ხელშეკრულებას სდებს საქ. სახკინმრეწვთან.

აჭარისტანის პროფსაბჭოში

— **კამპანიები ყრილობაზე.** აჭარისტანის პროფსაბჭო 20 აპრილიდან იწყებს პროფკავშირთა სრ. საქ. მე-5 ყრილობაზე კამპანიების ჩატარებას. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ განუმარტა აჭარისტანის პროფსაბჭოს, რომ კამპანიები პროფკავშირთა საქართველოს მე-5 ყრილობაზე და ა.-კ.—მე-3 ყრილობაზე უნდა იქნენ ჩატარებული ერთად.

— **დამზღვევ სალაროს წიგნების გასაუქმებლად.** აჭარისტანის პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო დამზღვევ სალაროს წიგნების გაუქმება.

— **მუშათა საბინაო აღმშენებლობა.** აჭარისტანის პროფსაბჭომ ამხ. ბრეგაძის მოხსენება მოისმინა მუშათა საბინაო აღმშენებლობაზე, რომ პროფსაბჭომ მრავალი ღონისძიება მიიღოს მუშათა აღმშენებლობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

რკინის-გზის პროფკავშირებში

რკინისგზის პროფკავშირებში

დასასვენებელ სახლებში. ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გამოჰყოს რკინისგზელთათვის ბორჯომისა და წაღვერის დასასვენებელ სახლებში საკმაო საწოლები.

— **სანატორიუმებში.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა მიმართა მთავარ საკურორტო სამმართველოს მისცეს რკინისგზელებს საკმაო ადგილები სანატორიუმებში: აბასთუმანში, ბორჯომში, წყალტუბოსა და ახტალაში.

— **ყრილობა.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა მიმართა რკ.-გზის ცეკას მიავლინოს რკ.-გზელთა მეექვსე ყრილობაზე პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი.

— **კულტთათბირზე.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა სრულიად საკავშირო კულტთათბირზე მიავლინა თავის წარმომადგენლად ამხ. მ. მგელაძე.

— **რკ.-გზელთა პროფკავშირის მე-6-ე ყრილობა.** ა/კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა დაადგინა მოიწვიოს ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირის მეექვსე საგზაო ყრილობა 25 მაისს. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია საგზაო კომიტეტის, რკ.-გზის სამმართველოს, შრომის დაცვის ინსპექციის „ზაკტპო"-ს და სხვათა საანგარიშო მოხსენებები.

— **დელეგატების არჩევნები.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო კომიტეტებს დელეგატების არჩევნები საგზაო ყრილობისათვის დაასრულონ ხუთ მაისამდე. არჩევნების წესი შემდეგია 250 წევრი ირჩევს ერთ დელეგატს.

— **თათბირები.** ა.-კ. რკ. გზების ჯანმრთელობის სამმართველომ მიმართა საუბნო ექიმებს მოაწყონ უბნის ექიმთა თათბირები დამზღვევ სალაროს რწმუნებულებთან ერთად.

— **გასაწრთვნელად.** ა.-კ. რკ. გზის დამზღვევმა სალარომ დაადგინა მიავლინოს ხშირად გზებზე კომიტეტის წევრები საუბნო სალაროების გასაწრთვნელად.

— **მუშაობის გაუმჯობესება.** ა.-კ. რკინის გზის დამზღვევმა სალარომ დაადგინა მოახდინოს უმუშევრობაზე დახმარების გამწესრიგებელ კომისიის მუშაობის გადახალისება, მათი სათანადოთ გაწრთვნით.

— **საგზაო თათბირი.** ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირს განზრახვა აქვს მიმდინარე წლის აპრილის თვეში მოიწვიოს საგზაო საწარმოო თათბირი.

— **„სიტის" წევრები.** ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო პროფკავშირებს ჩააბან საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობაში ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის საუბნო ბიუროების წევრები.

— **საატესტაციო კომისიებში.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო პროფკავშირებს ჩააბან ადმინისტრატიულ ტეხნიკურ პირების საატესტაციო კომისიებში ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის საუბნო ბიუროების წევრები.

— **თავიდან ასაცილებლად.** სადგურ ზესტაფონის საწარმოო თათბირმა მიმართა სადგურის ადმინისტრაციას, რათა განსაჭირთი რონოდები, რომლებიც ეკუთვნიან დეპოს და სათბოშ საწყობს იქნენ ჩამოყენებული თავის დროზე, რომ მით აცდენ რონოდების უბრალო ცდენას.

— **მესამე სასწორი.** სადგ. ჭიათურის საწარმოო კომისიამ დაადგინა აღდგენილ იქნას ჭიათურაში რონოდების მწონავი მესამე სასწორი.

პატარა ფელეტონი

განიარაღება

ვინ აღნიშნავს ღირსეულად ერთა ლიგის მოღვაწეობას?

მისი ბრძნული შუაკაცობით რამდენჯერ გადურჩა მსოფლიო მშვიდობიანობის ოკეანე ამღვრევასა და ცეცხლის წაკიდებას!

მისი წინდახედული გადაწყვეტილება ყველგან სთესავს „სიმართლესა და კაცთმოყვარეობას".

მაგალითად, პოლონეთისათვის რომ არ მიეცა ნეიტრალური ზოლი დანციგამდის, ხომ აღარ იქნებოდა ისეთი კეთილ-განწყობილი ნეიტრალობა პოლონეთსა და გერმანიის შორის, როგორც ეხლა?

ან რა იქნებოდა სირიის მდგომარეობა, ის რომ სულგრძელად არ ჩაებარებინა საფრანგეთისთვის? მაშინ ხომ აჯანყება იქ არას დროს არ დასცხრებოდა!

ირაქსაც ალბად ან მეხი წაიღებდა ან მეწყერი. მაგრამ 25 წლით კიდევ გადაარჩინა ის დაღუპვას და ინგლისის უანგარო მზრუნველობის ქვეშ მოაქცია მისი ბედ-იღბალი.

მოსულსაც ხომ ოსმალები ჩაიგდებდენ ხელში და ქვეყნიერებაც დაიღუპებოდა ამ უსამართლობით. მაგრამ ერთა ლიგამ აქაც გამოსძებნა უებარი მალამო და მოსული ინგლისის კანონიერ სამკვიდროდ იცნო.

ერთა ლიგა ჭირის ოფლში იწურება ქვეყნის ყოველ გასაჭირზე.

აი ეხლაც, როგორც იქნა, განიარაღდა ყველა სხვა საქმეებიდან, რომ მოაგვაროს განიარაღების საკითხი.

რომ ეს ცდაც სახელოვნათ დაგვირგვინდეს, ამაში უდიდეს დახმარებას უწევს წინასწარად კეთილშობილი საფრანგეთი.

(ის ხომ ერთი უმთავრესი გულშემატკივართაგანია ერთა ლიგისა).

იმისი თაოსნობით და ცდით თითქმის სავსებით განიარაღებულია გერმანია. ავსტრიას ხომ ჯიბის დანაც არ დაუტოვეს. რომ სასოწარკვეთილების დროს ყელი მაინც გამოიჭრას.

ოსმალეთი ცოტა ახირებულობს მართალია, თორემ იმისი განიარაღებითაც უკვე საკმაოდ შემცირდებოდა განსაიარაღებელთა რიცხვი.

რომ ერთა ლიგას კიდევ უფრო შეუმსუბუქდეს განიარაღების საკითხის ტვირთი, საფრანგეთი გულმოდგინეთ განაგრძობს თავის წინასწარ მუშაობას.

მაგალითად, ყოველნაირად სცდილობს დრუზების განიარაღებას და თუ აქამდის ვერ მოუხერხებია—ეს ხომ მისი ბრალი არ არის?

აქ დამნაშავენი არიან ის ბოროტი მეამბოხენი, რომლებიც არ ექვემდებარებიან ერთა ლიგას და თავიდანაც აყრილი აქვთ ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

ეს სრულიად სამართლიანია, რომ იარაღი პირველ ყოვლისა უნდა აჰყარონ იმათ, ვინც ამ იარაღს ხმარობს და წინ აღუდგებიან მშვიდობიანობის მოყვარულ სახელმწიფოთა კეთილ ზრახვებს.

ყველაზე დაუცხრომლათ და ყველაზე მარჯვეთ დღეს იარაღსა ხმარობენ რიფები—აბდ-ელ-ქერიმის მეთაურობით.

საფრანგეთმა გადაწყვიტა ერთა ლიგის სული მაროკოშიაც შეიტანოს.

ამიტომ აბდ-ელ-ქერიმთან მოსალაპარაკებელ პირველ და აუცილებელ პირობად წამოყენებულია—

რიფების სრული განიარაღება.

საფრანგეთმა თუ მართლა მოახერხა ამ მეამბოხე ხალხის სრული განიარაღება—ამით უდიდეს სამსახურს გაუწევს ერთა ლიგას განიარაღების საკითხის პრაქტიკულად განხორციელებაში.

განიარაღებით გულწრფელად დაინტერესებაც ასეთი უნდა!

ერთა ლიგის მოღვაწეობასთან ერთად ვინ დააფასებს საკადრისად საფრანგეთის მიერ ასეთ გულმოდგინე ხელის შეწყობას?

მუნჯი.

სამეცნიერო დაწესებულებში

სოციალური ჰიგიენის მუზეუმის გაერთიანება.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა პროექტი ჯანსახკომის უწყების ქვეშ მყოფ სოციალური მუზეუმების საქ. შრომის სახალხო კომისარიატის ასეთივე მუზეუმებთან გაერთიანების შესახებ. შრომის სახ. კომისარიატის მუზეუმი ამჟამად ორგანიზაციის პერიოდში იმყოფება. ამ გაერთიანებულ მუზეუმებს შეუერთდება აგრეთვე ქალაქის სოციალური ჰიგიენის მუზეუმებიც, რომელსაც აწყობს ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება გაერთიანების შემდეგ, მუზეუმთან გახსნილი იქნება ახალი განყოფილება.

გაზაფხულის დამლევს საქართველოს სოციალური ჰიგიენის მუზეუმი აწყობს ექსპედიციას მუღანლოს ველზე იმ მიზნით, რომ შეგროვილი იქნეს შხამიანი მწერების კოლექციები. შემდეგ გამოკვლეული იქნება თვითეული მწერის შხამიანობის სიდიდე.

ზოოლოგიურ მუზეუმში

ზოოლოგიურ მუზეუმში სურათების სახით წარმოდგენილი ცხოველები ივსება ნატურალური ექსპონატებით. ამჟამად სწარმოებს მღრნელ ცხოველების ჯგუფების (შინაური ვირთაგვების, თაგვების, ველის თაგვების და სხვა) თავის ბუნებრივ პირობებში დალაგებ-დაბინავება

მუზეუმების დამთვალიერებელთა რაოდენობა

ინტერესი თბილისის მუზეუმებისადმი მოქალაქეთა შორის თანდათან იზრდება. აგ. საქართველოს ზოოლოგიური მუზეუმი მარტის განმავლობაში დაუთვალიერებია 2.675 ექსკურსანტს, ხოლო ბილეთების მიხედვით—6.740 სულ 9.415 სულს. ამავე ხნის განმავლობაში სოციალური ჰიგიენის მუზეუმი დაუთვალიერებია—8.441 კაცს, რევოლიუციის მუზეუმი—2.500; ეროვნული გალერეია—1.700; მუნიციპალური მუზეუმი—414 კაცს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი—352 კაცს.

ქრონიკა

კრედიტი სასოფლო-მეურნეობას

მიმდინარე სამეურნეო წლის მესამე მეოთხედისათვის ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს განაწილოს ა.-კ. ფედერაციის რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს შორის კრედიტი 774.600 მ. რაოდენობით.

ცალკე რესპუბლიკანურ ბანკის შორის აღნიშნული თანხა განაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიეცემა 416 ათასი მანეთი, აზერბეიჯანისას—179.700 მან., სომხეთის—110 ათასი მან., აფხაზეთის—53 ათასი მან. და ნახიჩევანისას—25.900 მან.

რას გააკეთებს ელექტრო-ტრესტი წელს

მიმდინარე სამეურნეო წელს სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი შეასრულებს შემდეგ სამუშაოს.

სომხეთის წყალთა მეურნეობის დაკვეთით იგი აწარმოებს ეჩმიაძინის მიდამოებში სარწყავ სამუშაოებს; დილიჟანის აღმასკომის დაკვეთით ააშენებს დილიჟანში ხიდს და 500 ძალიან ელექტრო-სადგურს.

ზაჰესკომისიისათვის ტრესტი აწარმოებს მიწის ქვეშ კაბელების გაყვანას.

ამასთანავე მას განზრახული აქვს წელს დაამთავროს ჰიდროელსადგური სადახლოში, ელექტრო-სადგური ზესტაფონში და ჰიდროელსადგურები: გორში, ცხინვალში და სხვაგან.

კეთრთან ბრძოლა

მიმდინარე წლის 22 აპრილს მოსკოვში შესდგება სრულიად საკავშირო ყრილობა კეთრთან ბრძოლის საკითხების განსახილველად.

ა.-კ. რესპუბლიკების წარმომადგენლად ამ ყრილობაზე იგზავნება პროფ. ზურგზდორფი.

საქ. ცაკში

◆ **სამხრეთ-ოსეთის ცაკის** შუამდგომლობის თანახმად, საქ. ცაკმა გაანთავისუფლა ხეების მოჭრის ბაჟისაგან ის სოფლები, რომლებიც როკის გზატკეცილზე ხიდების ასაგებათ ამზადებდენ ხე-ტყეს.

◆ **საარჩევნო უფლებაში აღდგენა.** ცაკმა აღადგინა საარჩევნო უფლებებში ყოფილი ღვდლები: 1) ალიაშვილი (თიანეთი) და ანთიმოზ მაისურაძე (რაჭა), 2) უფლებაჰყრილნი სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის—გარეგინ და მარიამ მირაქოვები, მიქაელიანი, არმენაკ ბაგდასარიანი, ასლან ვოსკანიანი, კაზარ ვერმიშევი, მუსტაფა ვალი-ჯან-ოღლი, არუთინ ლარიბოვი, პოლოს ოზუმანოვი და ტიგრან ვერმიშევი.

თბ. აღმასკომში

◆ **კეთრის მკურნალთა ყრილობა.** ახლო ხანში მოსკოვში შესდგება კეთრის მკურნალთა საკავშირო ყრილობა, რომელზედაც თბ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილება აგზავნის თავის წარმომადგენელს.

◆ **ცივი წყლით, ნაყინით და სხვ. ტკბილეულობით** ქუჩაში ვაჭრობა სასტიკად აკრძალა თბ. აღმასკომმა.

◆ **საექიმო ხელსაწყოები.** აღმასკომმა რუსეთიდან გამოიწერა კანის და ვენერიულ სნეულებათა მკურნალობისთვის საჭირო ხელსაწყობები.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **მებამბეობა.** ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი ამ დღეებში მიიღებს 70 ტრაქტორს ბამბის მეურნეობის რაიონებში დასაგზავნად.

◆ **მრეწველობის და მეურნეობისათვის.** მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობამ საზღვარგარეთ დაუკვეთა მრეწველობისა და მეურნეობისათვის საჭირო 6 მილიონი მანეთის საქონელი.

— **ჩვენი ჩაი უცხოეთში.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა დასდო ხელშეკრულება ა.-კ. სახ. ვაჭ. საპაიო ამხანაგობასთან საქართველოს ჩაის საზღვარგარეთ გასაღების შესახებ.

— **აბრეშუმის პარკი იტალიაში.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა მილანში (იტალია) გაგზავნა 25.000 ყუთი პარკი.

წყალთა მეურნეობა

◆ **დიმი-როკითის წყალი.** დიმი-როკითის წყალზე ზამთრის გასვლის გამო მუშაობა განახლდა. არხი მორწყავს 700 ათას დესეტინა მიწას.

◆ **აჭარისტანის წყალთა მეურნეობის** სამმართველომ გამოიმუშავა არხების გასაყვანი გეგმა, რომლის მიხედვით საჭიროა 900 ათას მანეთი.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

◆ **საკურორტო კამპანია.** სოც. დაზღვევის სამმართველო შეუდგა საზაფხულო საკურორტო კამპანიის ჩატარებას.

◆ **გაგრის სანატორიუმი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ უკვე განაწილა ადგილები გაგრის სანატორიუმში. პირველ რიგში აქ გაიგზავნება 25 კაცი.

◆ **დასასვენებელ სახლების გამგეობა** შეუდგა დასასვენებელ სახლების დეზინფექციას და კეთილმოწყობას.

◆ **წიგნაკები.** სოც. დაზღვევის სამმართველომ რესპუბლიკის ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში დაგზავნა ახალი ფორმის საანგარიშო წიგნაკები.

კრებები და მოხსენებები

— **საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბაში** დღეს, შაბათს, აპრილის 7-ს საღ. 7 ს., საქართვ. მუზეუმის შენობაში დანიშნულია საზ-ბის ჩვეულებრივი კრება, მოხსენებები: 1) პროფ. ივ. ჯავახიშვილის ძველი და გაერთიანების ხნის ქართ. სახელმწიფო და სოციალური წყობილების მთავარი საკითხები და 2) მაკ. ყუბაური—„ბატონყმობის დროინდელი ერთი ტერმინის შესახებ" კრება საჯაროა.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, შაბათს 17 აპრილს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება კინო.

სხვადასხვა

— **ინვალიდების სავაჭრო არტელების გაუქმება.** სოციალურ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა გააუქმა თბილისში ინვალიდების ყველა ბითუმად მოვაჭრე არტელები. დარჩა მხოლოდ ინვალიდების საწარმოო არტელები. თბილისში მოეწყო თუთუნის და პაპიროსების გამყიდველ ინვალიდთა დიდი არტელი.

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** 15 აპრილს დიდ ბაზარში შეიპყრეს ქურდობისათვის ალექსანდრე სამადუროვი და თევდორე ივანოვი.

— მუშფაკის მოლარე ალექსანდრე იაკუბოვს მოპარეს 960 მან.

— ქურდობისათვის 15 აპრილს შეიპყრეს ვასილ გამცემლიძე.

— ქურდობა. 15 აპრილს კომ. ქ. № 55 თინა გვინჩიძეს მოპარეს ბრილიანტის საყურეები.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში ს. კ. პ. ცეკას ცირკულარში—„პრესის დღისათვის" მეცხრე აბზაცში გაპარულია ტეხნიკური შეცდომა.

სწერია—„ლიტერატურის გავრცელების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული გაზ. „ახალი კომუნისტი"-ს მასიურ გავრცელებისადმი.

უნდა იყოს „ლიტერატურის გავრცელების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული გაზ. „ახალი სოფლისა" და ჟურნალ „სოფლის კომუნისტი"-ს მასიურ გავრცელებისადმი".

ხელოვნება

მუშათა თეატრი ავლაბარში

თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებით გადაწყვეტილია ავლაბარში მუშათა დიდი თეატრის აშენება. თეატრი აგებული იქნება ყოფილ კონსტანტინეს მთავარ ანგელოზის და კახეთის ქუჩების შორის მდებარე მოედანზე. თეატრის შენობა შესდგება ორი უმთავრესი განყოფილებისაგან: მაყურებელთა დარბაზი და სცენა.

მაყურებელთა დარბაზი შეიცავს პარტერს და ორ იარუსს. პარტერი გათვალისწინებულია 700 კაცისათვის, 1-ლი იარუსი 200 კაცისათვის და მეორე იარუსის ამფითეატრი 400 მაყურებლისათვის. მაყურებელთა ადგილები ისეა გათვალისწინებული რომ, ყოველი მათგანი პირდაპირ უყურებს სცენას. დარბაზის ირგვლივ მოწყობილი იქნება ფოიები და გარდერობები საჭირო ცეცხლისმქრობელ მოწყობილობებით ხანძარის შემთხვევაში.

თეატრის ყოველი ნაწილი დაკავშირებულია გასასვლელ კარებთან ფართო კიბეებით, რომლებიც აშენებულ იქნება ცეცხლისმძლე მასალისაგან; უბედურ შემთხვევის დროს ხალხს საშუალება ექნება სასწრაფოდ მიატოვონ შენობა (ხანძარის შემთხვევა, მიწის ძვრა და სხვა).

პარტერის ბოლოს, ავანსცენის წინ მოწყობილია ადგილი ორკესტრისათვის, სადაც შეიძლება გამართულ იქნეს სიმფონიური კონცერტებიც. საზოგადოთ თეატრი ისეთი იქნება, რომ იქ შეიძლება ოპერების დადგმაც.

თეატრის სცენა მოწყობილი იქნება თანახმად თანამედროვე სათეატრო ტეხნიკისა. სცენის პირველ სართულზე მოეწყობა მსახიობების საკრებულო, მსახიობთა საპირფარეშოები, სარეჟისორო, ბიბლიოთეკა და სარეპეტიციო დარბაზი. მეორე სართულზე იქნება: საპარიკმახერო, სამკერვალო და საპირფარეშოები. მესამე სართულზე კი სახელოსნო და გუნდის სადგომი.

თეატრის ასაშენებლათ წარდგენილია ორი ვარიანტი. ერთის თანახმად თეატრი აგებული უნდა იქნეს ქართულ სტილზე და მეორეს თანახმად სტილი—„რუსული ამპირი".

სულ თეატრის აშენება წინასწარი გამოანგარიშებით დაჯდება 500.000 მანეთი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **დრამატიული სტუდიის** საჩვენებელ საღამო გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრში.

◆ **წითელ თეატრში.** დღეს უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „სოლდატკინის სავდილი" რუსულ ენაზე.

◆ **„ვინ არის დამნაშავე"** პლეხანოვის სახელობ. მუშათა თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ვინ არის დამნაშავე".

რკინის გზებზე

მოძრაობის საშიშროებასთან ბრძოლა

ამიერ-კავკ. რკ.-გზების სამმართველოსთან არსებულმა მოძრაობის საშიშროებასთან მებრძოლმა კომისიამ დაამთავრა სომხეთისა და კახეთის ხაზების დათვალიერება.

ორივე ხაზებზე კომისიამ აღმოაჩინა გზის აგენტების უწესრიგო მორიგეობისა და მთელი რიგი ტეხნიკური დეფექტებისა, როგ. მაგ. მრავალ სადგურებზე ისრის საკეტების უქონლობა და სხვ. ზოგიერთ სადგურებზე საისრო ფანრები სრულიად არ არსებობენ.

კომისია დათვალიერების დროს აწყობდა მოხსენებებს რკინის-გზებზე შემთხვევებისა და მათთან ბრძოლის შესახებ. ყველაზე მეტი მსმენელები ლექციებმა მიიზიდეს სადგ. ერევანში და ლენინაკანში, სადაც მომსმენელებს აძლევდენ მრავალ შეკითხვებს მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ სადგ. ერევანში გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც რკინის გზელები მოითხოვენ დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას რკინის-გზებზე დაუდევრობასთან.

კრებებზე საჭიროთ იქნა მიჩნეული ლიანდაგების და სადგურების საჭირო მასალებით და საჩვენებელი ნიშნებით თავის დროზე მომარაგება. ამასთანავე აუცილებლად იქნა ცნობილი ტეხნიკური კურსების გახსნა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

წითელ ჯარში

ქართული წითელი არმია საბჭოთა არჩევნებზე

საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს საქართველოში წითელ არმიელთა ნაწილებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა. ეს მტკიცდება იმით, რომ სამხედრო ნაწილების შემადგენლობის მთელმა 100-მა პროცენტმა ხმა მისცა არჩევნებზე. არჩევნების წინ ყველა დარგი პოლიტიკურ მუშაობისა იყო გამოყენებული არჩევნების პოპულიარიზაციისათვის და ხელახალი არჩევნების განსამარტავად. აღმასკომების და საბჭოს წევრების საანგარიშო მოხსენებები ამრჩეველთა წინაშე ტარდება როგორც გარნიზონის მასშტაბით, ისე უშუალოდ ნაწილებში. წითელ არმიელების გამოსვლებს კამათში მოხსენებების გარშემო მეტად საქმიანი ხასიათი ჰქონდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა საკითხები აღმასკომის მუშაობის შესახებ სოფლად. დიდ ინტერესს იწვევდენ აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორიც არის წითელ არმიელთა ნაწილების დაკმაყოფილება, მატერიალური დახმარება წითელ არმიელთა ოჯახებს, წითელ არმიელთათვის სამსახურის მიცემა ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ, საექიმო დახმარება სამხედრო პირებს და სხვა.

სოციალურ მდგომარეობის მიხედვით სამხედრო ნაწილებიდან საბჭოებში არჩეული იქნენ: მუშები—18 პროც. გლეხები—61 პროც.; და დანარჩენი (ე. ი. მოსამსახურენი)—21 პროც.; ძველ შემადგენლობასთან შედარებით მუშების რიცხვი დარჩა უცვლელად, მხოლოდ იმატა საგრძნობლად გლეხების რიცხვმა. უკანასკნელთა რიცხვი 50 პრო-დან გაიზარდა 61 პროც.-მდე, და ამავე დროს სათანადოდ იკლო მოსამსახურეთა რიცხვმა.

თანამდებობის მიხედვით არჩეულია: მეთაურთა შემადგენლობიდან 26 პროც.; პოლიტშემადგენლობიდან—39 პროც. და წითელ არმიელებიდან—35 პროც..

პარტიული მიმართულებით: არჩეულია საბჭოებში კომპარტიის წევრები და კანდიდატები 50 პროც.; კომკავშირის წევრები—18 პროც. და უპარტიოები—32 პროც.; ძველ შემადგენლობასთან შედარებით გაიზარდა რიცხვი კომკავშირელების და უპარტიოების; როგორც ვხედავთ კომკავშირის ორგანიზაციის ზრდამ წითელ ჯარში სათანადო გავლენა მოახდინა საბჭოების ხელახალ არჩევნებში.

ეროვნების მიხედვით არჩეულია: ქართველები—95 პროც. და სომხები 5 პროც.

განათლების მიხედვით: საშუალო განათლებით—42 პროც. დაბალი განათლებით—53 პროც. და მცირემცოდნენი—5 პროც.

სრულიად ახალ საქმედ უნდა ჩაითვალოს უფროლიტშემადგენლობის ცოლების მონაწილეობა საბჭოების ხელახლად არჩევნებში წარსულში ეს არ ხდებოდა და, საწუხაროდ, ამ ჟამადაც ამას ჰქონდა ადგილი მხოლოდ ერთ-ერთ ლეგიონში. აღნიშნულ ნაწილში ქალაქის საბჭოს წევრებად, გარდა სამხედრ პირებისა, აირჩიეს ორი ქალი, მათგან ერთი მრეცხავი (ლეგიონში) და ერთი მეთაურის ცოლი.

წითელ არმიელთა ნაწილებიდან არჩეულ წევრთა მუშაობა მომავალში იწარმოებს საქართველოს დიდ ქალაქების საბჭოებთან დაარსებულ სამხედრო სექციების ირგვლივ. წითელ არმიელნი გამოსთქვამენ აგრეთვე საბჭოების სხვა სექციებშიაც მუშაობის სურვილს. გარდა ამისა სწარმოებს იმ წითელ არმიელების ჩაწერა საბჭოების სხვა და სხვა სექციებში მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელნიც თუმცა არ იქნენ არჩეულნი საბჭოს წევრად, მაგრამ რომელთაც სურვილი აქვთ გაეცნონ და შეისწავლონ საბჭოების მუშაობა, რომ ეს გამოცდილება გამოიყენონ წითელ ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საბჭოები და მათი აღმასკომები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს წითელ არმიელებს. ის წითელ არმიელი, რომელიც გაივლის სკოლას ქალაქის საბჭოებში მუშაობისას, შემდეგში ითამაშებს დიდ როლს სოფელში საბჭოთა მუშაობის გამოცოცხლების და განმტკიცების საქმეში.

ი. რუ—ი.

მზადება 1-ლ მაისისათვის

ქართული ჯარის ნაწილები უკვე შეუდგენ მზადებას საპირველმაისო დღესასწაულის ჩასატარებლად.

არმიის პოლიტსამმართველოს და პოლიტგანყოფილების მიერ დაგზავნილია შესათერი ცირკულიარები ნაწილებში.

მთავარი ყურადღება ტერიტორიაში მიქცეული იქნება დღესასწაულში ცვალებად წითელარმიელთა და მოსახლეობის ჩაბმას.

სამხედრო კუთხეებში ჩატარებულ იქნება საუბრები და ხმამაღლა კითხვა. მოეწყობა ლიტერატურის გამოფენა, საღამოები, კონცერტები. 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდა აოძიელნი 1 მაისს მიიღებენ წითელ ფიცს. მოსახლეობას ფართედ განემარტება ფიცის მნიშვნელობა და ვანსხვავება ძველ და ახალ ფიცის შორის.

თ.

ჩვენი საქმიანობა

(მე-2-ე ლეგ. სკოლა)

მეცადინეობა სკოლაში დაიწყო ამ 4 თვის წინათ.

საზამთრო პერიოდის მეცადინეობის გეგმა [illegible] დროს დარგში განაწილებულია და კურსანტებს [illegible] არგათ აქვთ [illegible] შეთვისებული.

[illegible] კუთხეებში ყოველ საღამოობით ტარდება გაზეთების ხმამაღლა კითხვა. კამათში ბევრი ამხანაგი იღებს მონაწილეობას. კედლის გაზეთი სდგას თავის სიმაღლეზე და მთლიანად ემსახურება სკოლის ცხოვრებას.

ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა სასპორტო წრე.

დისციპლინის მხრივ სკოლას უკავია საპატიო ადგილი სხვა ნაწილებთა შორის. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა დისციპლინის დარღვევის.

იმედია, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ კურსანტები ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას წითელარმიელთა რიგებში და თავის ცოდნას მოახმარენ საზოგადო საქმეს.

ქ. მ.

წითელარმიელთა გამოცდები

20 აპრილიდან კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებში და ეროვნულ ერთეულებში დაიწყება წითელარმიელთა ცოდნის შემოწმება.

გამოცდების ჩასატარებლად ქართული დივიზიების ნაწილებში უკვე დაიწყო წინასწარი სამზადისი. დივიზიების პოლიტგანყოფილებებთან არსდებიან კომისიები, რომლებიც ვამოიმუშავებენ დაწვრილებითი წესს გამოცდების მოსაწყობათ.

გამოცდების მიზანია იმის ვამორკვევა, თუ რამდენათ შეითვისეს წითელარმიელებმა საზამთრო პერიოდში გავლილი პოლიტცოდნის და სხვა საგანმანათლებლო საგნების კურსი.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ ძირითად საგნებში: პოლიტიკური ცოდნა, ანგარიში, გეოგრაფია, სამშობლო ენა და სხვა.

ზამთრის პერიოდში ჩატარებულ კულტ-მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ეროვნულ უმცირესობებში საგანმანათლებლო საქმის დაყენებას. გამოცდებზე განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული ეროვნულ უმცირესობის წითელარმიელების ცოდნის შემოწმებას.

სასამართლო

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლომ ამხ. თენიეშვილის თავმჯდომარეობით ხულიგნობისათვის ნიკოლოზ პუშკინს მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

მოქალაქე პეტროსიანის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. პეტროსიანის საქმე.

პეტროსიანს ბრალდებოდა მოქ. ალექსანდრიას მოკვლა.

სასამართლომ საქმეში დართული მასალების მიხედვით პეტროსიანის მიმართ წაყენებული ბრალდება სცნო დამტკიცებულად და მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მეცნიერება და ტეხნიკა

მუზარადი ხმაურობის წინააღმდეგ

დასავლეთის დიდ ქალაქებში ისეთი ხმაურია, რომ შეუძლებელია დამშვიდებით და გულდასმით მუშაობა. ღამითაც კი მიუღწეველია ეს ნანატრი სიწყნარე და ამიტომ არაფერი გასაკვირალი არ არის იმაში, რომ ამერიკელი ხუროთ-მოძღვრები სერიოზულათ იხილავენ საკითხს, თუ როგორ დაიცვან ოთახების ნაწილი მაინც საშინელი ხმაურისგან.



მუზარადი

ხმაურობის წინააღმდეგ

საუკეთესო საშუალებით არის მიჩნეული ორმაგი კედლების გაკეთება. ორ კედელს შორის მოქცეული ჰაერი შთანთქავს ყველა ხმებს და ოთახში სიწყნარეა. მაგრამ ასეთი ოთახების მოწყობა ძვირი ჯდება. ამ გარემოებამ ამერიკელ გამომგონებელს დ. კინგსტონს აღუძრა ისეთი მუზარადის დამზადების იდეა, რომელიც ხმას არ გაატარებს. მუზარადი, დამზადებული ლითონისგან, შიგნით მოფენილია ბამბისა და პრობკის ფენით, რომლებიც არ უშვებენ ხმას. წმინდა ჰაერს ადამიანი იღებს რეზინის მილით, რომელიც შეერთებულია მჟავბადით სავსე ჰურჭელთან, ამოსუნთქული ჰაერი კი იდევნება მეორე მილიდან. თვალისათვის გაკეთებულია ორი სათვალე.

კინგსტონი ამტკიცებს, რომ მისი აპარატი იდეალურ პირობებს ქმნის იმ პირებისათვის, რომლებიც სერიოზულ გონიერულ მუშაობას ეწევიან.

ბრძოლა კეთრთან

კეთრი, ეს უძველეს დროში ცნობილი სნეულება, როგორც თანამედროვე მედიცინამ გამოარკვია, არ ყოფილა ძალიან გადამდები ავადმყოფობა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გადადის მემკვიდრეობით. ამიტომ, ენერგიული პროფილაქტიური (გამაფრთხილებელი) ზომების მიღებით კაცობრიობა შესძლებდა ამ საშინელი ავადმყოფობის სრულიად მოსპობას.

ბრაზილიაში (სამხრეთ-ამერიკა), სადაც კეთრი მეტად გავრცელებულია, მიღებულია ავადმყოფობასთან ბრძოლის ფართე გეგმა. განზრახულია ლეპროზორიების (კეთროვანთა თავშესაფარების) ქსელის მოწყობით ავადმყოფობის სრულიად აღმოფხვრა 10 წლის განმავლობაში. ენერგიული მუშაობა სწარმოებს ამ მხრივ ინგლისშიც, რომლის კოლონიებში (ინდოეთი, ცეილონი და სხვ.) ძლიერ ბევრია კეთრით ავადმყოფები. დიდი შედეგებია მიღებული კეთრთან ბრძოლის საქმეში ტროპიკული მედიცინის შკოლაში, რომელიც კალკუტაში (ინდოეთი) არსებობს. ამ შკოლის ექიმების მიერ გამორკვეულია, რომ კეთრზე, თუ ის ძლიერ მწვავე ხასიათის არ არის, დიდ სამკურნალო გავლენას ახდენს ზეთი, გამოხდილი ერთი ჯიშის ხიდან, რომელიც ინდოეთში იზრდება. უდიდეს შედეგებს კეთრთან ბრძოლაში მიაღწიეს ამერიკელებმა, რომლებმაც თავისი საავადმყოფოდან (ფილიპინის კუნძულზე) გამოუშვეს ასზე მეტი განკურნებული კეთროვანი. გონოლულუში განიკურნა კეთროვანთა 50%.

ქვის საუკუნის ნაშთები ჰამბურგის ახლოს

ჰამბურგის გეოლოგიურმა ინსტ. მორიგ გეოლ. გამოკვლევათა დროს ერთი ჰაობის ფსკერზე აღმოაჩინა უძველესი დროის ადამიანის კვალი. აღმოაჩინეს ადგილები, სადაც უძველესი ადამიანი ანთებდა ცეცხლს საჭმელის მოსამზადებლათ და მრავალი ძვლისა და ქვის იარაღები. ქვის იარაღები ეკუთვნიან გვიანი ქვის საუკუნის პერიოდს (ნეოლოტს); ყველა ისინი კარგათ არიან გაშალაშინებული, ზოგი მათგანი გახვრეტილია ხელის გასაყრელათ.

ნარევი

ძეგლი ადამს

წარსულ წელში ფილადელფიაში (ჩრდილოეთ-ამერიკა) ძეგლი აუგეს „პირველი ადამიანს"—ადამანს. უზარმაზარი ქანდაკება 7 მეტრის სიმაღლის მქონე, წარმოადგენს ადამიანს, რომელსაც ხელში დედამიწის ბურთი უჭირავს. წარწერა ბურთზე ასეთია: „ეს ძეგლი, პირველი ამერიკაში აეგო ადამს, პირველ ადამიანს, ნიშნათ პატივისცემისა მისი შთამომავლობისგან".

ძეგლი დონ-კიხოტს

ბარსელონაში შესდგა კომიტეტი დონ-კიხოტ ლამანჩელისათვის ძეგლის ასაგებათ.

პოლიციელი ქალები

ბერლინი ჩქარა იხილავს პოლიციელ ქალებს: ეწყობა სპეციალურ-ქალების სპეციალური ბრიგადა. პოლიციელ ქალების მოვალეობას, პირველ ხანებში, შეადგენს ხელისშეშლა ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის. მათ დავალებული ექნებათ სადგურებში, ქუჩებში და საზოგადოებრივ შესაკრებ ადგილებში თვალყურის დევნება პროვინციიდან სამუშაოს საშოვნად ჩამოსულ ქალებისათვის. მათ დაევალება აგრეთვე ქალებისა და ბავშვების დაკითხვა საპოლიციო უბნებში და, საჭიროების დროს, მათი მოთავსება საავადმყოფოებში. პოლიციელ-ქალების ბრიგადის მეთაურთა შემადგენლობა ქალების წრიდან იქნება არჩეული. იარაღი მათ არ მიეცემა, მაგრამ უნდა შეისწავლონ ჯიუ ჯიტსუ და ბოკსი.

ამერიკელების შემოსევა

მიმდინარე ზაფხულში ევროპაში აურაზელი ამერიკელების ჩამოსვლას მოელიან. ევროპის ვალიუტის კურსის დაცემა ძლიერ უწყობს ხელს ამერიკელებში ევროპაში გამოსვლის სურვილის გაძლიერებას. ამერიკიდან ევროპაში მომავალ გემზე პირველი კლასის ბილეთები 15—20 დღით ადრე იყიდება.

თანამედროვე აუტო-და-ფე

კუნძულ მაიორკაზე ესპანეთის ერთ-ერთ ქალაქში ადგილი ჰქონდა აუტო-და-ფეს (ერეტიკოსების ან ეკლესიის მიერ განკიცხული წიგნების საჯაროთ დაწვა) საშუალო საუკუნოების მთელი რიტუალის დაცვით. ცნობა აუტო-და-ფეს დროსა და ადგილის შესახებ გაგზავნილი იქნა ცნობა ესპანეთის ყველა გადაცემა სადგურების საშუალებით. დრო დაწვისადგილას გაემართა დიდი პროცესია, რომელსაც წინ უძღოდა 150 ბერი ანთებული სანთლებით. ბერებს უკან მიყვებოდენ ქალაქის თანამდებობ. პირნი და ქალაქის ყველა სკოლების მოწაფეები თავიანთ მასწავლებლებთან ერთად. პროცესიას უკან მიყვებოდენ ჯარის ნაწილები. გადაიხადეს პანაშვიდი და ცეცხლში დასწვეს ესპანეთის ყველა გამოჩენილი მწერლების ბლასკო იბანიესის პირეს გალდოსის და გიგუელ უნამუნოს ნაწერები.

ამერიკის მოსახლეობა

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობით შეერთებული შტატების მოსახლეობა უდრის 117.000.000 უკანასკნელ წელიწადში მოემატა 1.800.00. უკანასკნელ აღწერის შემდეგ (1900 წ.) შეერთებული შტატების მოსახლეობა გაიზარდა 11.300.000 კაცით. პირველი ადგილი მოსახლეობ. მიხედვით უჭირავს ნიუ-იორკის შტატს—11.300.000 მცხოვრებით, შემდეგ—პენსილვანიის შტატს—9.600.000 მცხ., მესამე—ილინოისის შტატს—7.200.000 მცხ., მეოთხე—ოგაიოს შტატს—6.600.000 მცხ., ყველაზე ნაკლები მცხოვრებია ნევადას შტატში—77.000 მცხ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა დამზღვევ სალაროს მოქმედება

კითხვა

მე ვმსახურობ საქართველოს ერთ-ერთ მაზრაში საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე; ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული. ამ უკანასკნელ ხანებში დამჩემდა ავადმყოფობა (ციებ-ცხელება). საკონტროლო-საექიმო კომისიამ მსცნო დროებით შრომის უნარ-მოკლებულად და ავადმყოფობის გამო მომცა ერთი თვის შვებულება. შვებულება მივიღე, მაგრამ დამზღვევი სალარო დახმარების მიცემაზე უარს მეუბნება იმ მოსაზრებით, რომ დაწესებულებას, სადაც მე ვმუშაობ, არ შეუტანია დასაზღვევი ანარიცხები.

გთხოვთ განმარტებას, კანონიერია თუ არა დამზღვევ სალაროს მოქმედება.

საბჭოთა მუშაკთა კავშირის წევრი ვანო დ—ძე.

პასუხი

ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეს, კავშირის წევრს და დაზღვეულს, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 191-ისა აუცილებლად უნდა მიეცეს დახმარება იმის და მიუხედავად, დაწესებულებამ მისი დასაზღვევი ანარიცხები სალაროში შეიტანა თუ არა. თუ დამზღვევ სალაროს აქვს ასაღები დაწესებულებიდან დასაზღვევი ანარიცხები, მან ასეთები უნდა მიიღოს დაწესებულებიდან, რომელსაც შესაძლებელია გადახდეს იგი. უვადო წესით და დაწესებულების დანაშაულზე დაქირავებული სრულებით პასუხს არ აგებს და არც უნდა დაისაჯოს.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილების შესახებ

კითხვა

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილებას არ ასრულებს ადმინისტრაცია.

გთხოვთ განმარტებას, თუ როგორ მოვიქცე.

მუშა ხატიაშვილი.

პასუხი

თანახმად შემ-საკონ. კომისიების დებულების მე-24 მუხლისა, იმ შემთხვევაში, როცა ერთი მხარე უარს ამბობს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე, მეორე მხარეს აქვს უფლება 24 საათის განმავლობაში შრომის სახკომატის ორგანოების მეშვეობით მოითხოვოს მისი შესრულება ადმინისტრატიული წესით, ამიტომ გირჩევთ მიმართოთ შრომის სახკომატის შრომის დაცვის და საკონფლიქტო განყოფილებებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

კლინიკებში სტაჟდამთავრებულ შტატის სამეცნიერებო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ მაჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟდამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

რადგანაც სამეცნიერებო მომუშავის ორდინატორის მუშაობა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში არსებითად საექიმო განათლების გაგრძობაა მეცნიერული კვალიფიკაციის გასაძლიერებლად და გრეთვე, რადგანაც ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებს უაღრესად სჭირდებათ კვალიფიციური სპეციალისტები, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოთ ამასთანავე დართული დებულება იმ პირთა სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელთაც დაუმთავრებიათ სტაჟი კლინიკის შტატის სამეცნიერებო მომუშავისა (ორდინატორის) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელი სასანიტარო დაწესებულების სტაჟდამთავრებული შტატის ორდინატორისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჰ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 13-ი
თბილისი, სასახლე

დებულება

იმ პირთა სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელთაც დაუმთავრებიათ სტაჟი კლინიკის სამეცნიერო მომუშავისა (ორდინატორისა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების შტატის ორდინატორისა.

1. კლინიკის შტატის ყველა სამეცნიერო მომუშავე (ორდინატორი) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების შტატის ორდინატორი, კლინიკასა და ცენტრალურ საჩვენებელ და სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში მუშაობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულია იმსახუროს სახელმწიფო სამსახურში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით იმდენივე ხანი, რაც მან იმუშავა კლინიკაში ან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში.

2. უნივერსიტეტმა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელმა დაწესებულებამ შტატის ორდინატორს, სამსახურში მიღების დროს, უნდა ჩამოართვას ხელწერილი, რომ იგი მოვალეა იმსახუროს სახელმწიფო სამსახურში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით იმ ვადის განმავლობაში, რაც ამა დადგენილების პირველ მუხლშია გათვალისწინებული.

3. 1 და მე-2 მუხლი გავრცელდება აგრეთვე კლინიკის ყველა იმ სამეცნიერო მომუშავეზე (ორდინატორზე) და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებების შტატის ორდინატორზე, რომელიც ამა დებულების გამოქვეყნების დღისათვის სამსახურში იმყოფება.

4. ის, ვინც უარს განაცხადებს მე-2 მუხლში აღნიშნული ხელწერილის მიცემაზე, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობისაგან.

5. უკეთუ კლინიკის სამეცნიერო მომუშავე (ორდინატორი) არჩეულ იქნეს მასწავლებლად, იგი ამით თავისთავად განთავისუფლდება 1 მუხ. გათვალისწინებული სავალდებულო სამსახურისაგან; ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი დაწესებულების ორდინატორის განთავისუფლება კი სავალდებულო სახელმწიფო სამსახურისაგან შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განკარგულებით.

6. უკეთუ სამი თვის განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოები ვერ შესძლებენ სტაჟ-დამთავრებული ორდინატორისათვის მისი სპეციალობის მიხედვით ადგილის მიცემას, იმ შემთხვევაში იგი (ორდინატორი) ვალდებულობისაგან განთავისუფლდება.

7. უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი დაწესებულების დირექტორი ვალდებულია მიაწოდოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ცნობები იმ ორდინატორების შესახებ, რომელთაც უთავდებათ მუშაობის ვადა. ეს ცნობა უნდა ვაიგზავნოს არა უგვიანეს სამი თვის ვადის გასვლამდე, რათა აღნიშნული ორდინატორები მოთავსებულ იქნენ სიაში თანამდებობის მისაღებად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჰ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 13-ი
თბილისი, სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ვინ არის წინააღმდეგი?

პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის მე-6-ე ასეულის კომუჯრედში პარტიაში მისაღებად აქვთ შემოტანილი განცხადებები შემდეგ ამხანაგებს: კუჭავა აკაკი, მატახერია ლავრენტი, ლალიძე ალექსანდრე და მაღლიშვილი შალვა.

ზემო აღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღების წინააღმდეგ თუ ვინმეს რაიმე აქვს აცნობონ პირველი ქართული მსრ. ლეგიონის მე-6-ე ასეულის კომუჯრედში.

ს. ა. კ. კ. ცეკას საალ. ქვეგანყოფილება იწვევს ჰ. საქმეების მისაღებათ ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს: კლემენტი დუდუას, მარგარიტა ბერიძეს, ვარლამ ჭკუასელს, პავლე გაჩეჩილაძეს, ხვიტირიას, შალვა მოლარიშვილს, კახიანს, ხად. კაჭაძეს, ხარიტონაშვილს, ამბუკაძეს, ბრეგაძეს, ბახტაძეს, კილასონიას, გობერაშვილს, ბერიაშვილს, იენეიშვილს, ჯადაშვილს, ჯანიაშვილს, ხარჩიაშვილს და მანუკოვს.

ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება მე-4-ე რაიონის **ქალთა ორგანიზატორების თათბირი.**

ქალთა ყველა ორგანიზატორების დასწრება აუცილებელია.

ქალთა ორგანიზატორების გამოუცხადებლობისათვის პასუხისმგებელია უჯრედის მდივანი.

შაბათს, 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში რიგს გარეშე შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებისათვის სავალდებულოა:

ლოლობერიძე, მაშკევიჩი. ინსტრუქტორები: ა. ჯაფარიძე, მირიმანოვი, ხაცკევიჩი, ჯავახია, გაბუნია, მგალობლიშვილი, ხუნდაძე, ლიცინოვი, ჯაფარიძე ვ., ბახტაძე. ინსტრუქტორი ქალთა განყ.: ჩერქეზიშვილი, მუშიშვილი, სვანიძე, მურავიოვი, მელნიკოვი. ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე, შოგირაძე. გოგლიძე, კორსაველი, მარკაროვი, პეტროვი, აფციაური, ფანცხავა.

მოწვეული არიან ამხ. ვარამაშვილი (სიღნაღიდან), ავეტისოვი (ვემოკვების კავშირის ც. გ.). ფრუიძე (ტრანსპორტელების კავშ. ც. გ.).

პროპაგანდისტების კურსების ქართული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფ. გამგის კაბინეტში.

დღეს, შაბათს 17 აპრილს, საღამოს 5 საათზე შესდგება მესამე რაიონის **ბავშვთა მეგობრების საზოგადოების კონფერენცია.** წევრების დასწრება სავალდებულოა. კონფერენცია გაიმართება ავლაბრის მუშათა კლუბში (კახეთის მოედანი № 1).

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე ლევანისძე, შვილები: რაჟდენი, ევგენი, ნიკოლოზი, დორა, თამარა და კატო; რძლები: ლილია და ანეტა; შვილისშვილები: ბორისი, არჩილი და გივი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 აპრილს, 1 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი

პათთვის უსაყვარლეს და ძვირფას

ნინო ნიკოლოზის ასული

კუჭუხიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე. ქ. 2188

ქვრივი ნინო მიხეილ ლორთქიფანიძის ასული, შვილები ანეტა, ქეთო, სიმონ და ბესარიონ ქლენტები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 აპრილს, ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დილის 12 ნახ. საათზე, გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი

დავით დიმიტრისძე ქლენტის

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება აგრეთვე სოფელ ქვაციხეში.
ქ. 2190

გულ მოკლულნი და იმედდაკარგული, ბეხიაბენ და ნორა დოლიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა. წ. 16 აპრილს მოულოდნელათ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორეს დედა

კატო (ეკატერინე) დიმიტრის ასული

დოლიძისა

რომლის გამოსვენებია დანიშნულია ა/წ. 20 აპრილს, დილის 12 საათზე, დღით სამშაბათს, თბილისის სანაპირო ქუჩა № 4; დასაფლავება ნიკოლოზის სასაფლაოზე. ქ. 2195

საბჭოთა კინემატოგრაფიის სიამაყე

აპოლო
ანთასტრო
ოლეი

„ჯავშნოსანი პოტიომკინ"

რეჟის. ეიზენშტეინი. ოპერატ. ტისსე.

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი

მეჟრაბპომ-რუსის 1-ლი საუკეთესო სურათი 1926 წ

„დათვური ქორწილი"

მხატვრული დრამა 7 ნაწილად რეჟისორი ეგგერტ.

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.

რფასტო"-„სოლეი"—სკრიპკაზე იაკოვ ბროდსკი

ანონსი: მზადდება დასადგმელათ „ნამუსი" შირვან-ზადეს რომანის მიხედვით.

კვირას 18 აპრილს

იხსნება სეზონი

დოლი

დოლი შემდეგ გაიმართება: 25 აპრილს, 3, 9, 16, 23 და 30 მაისს

1—1 ნ. 1169

კვ. რას, 18 აპრილს

რუსთაველის თეატრი

კვირას, 18 აპრილს

ოპერა **ჯამბაზები**

პირველი შემადგენლობა

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელის.

ა. ფულდის კომედია **ვირის ჩრდილი**

ი. გრიშაშვილის თარგმანი

ნ. 1179. 2—1. დადგმა აკაკი ფალავასი.

სახელმწიფო საოპერო თეატრი

კვირას, 18 აპრილს, 26 წ.

სახელმწიფო ოპერის **მოლარეების**

საღამო

ნინო სარაჯიშვილისა, თამ. და ელენე გველესიანების

სანდრო ინაშვილის მონ-ბით

დაიდგმება ქართ. ოპერა **დაისი** დაიდგმება ქართ. ოპერა

2—1 ნ. 1173

დღეს, 17 აპრილს,

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 17 აპრილს,

გუნდის მსახიობების გამოსათხოვარი

საღამო

„თამარ ცბიერი"

მუს. მ. ა. ბალანჩივაძის. 1—1 2186

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით

რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—30

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ჭონქაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3

25—8

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

სახელმწიფო დრამის ასტროლენი

სამტრედია:	სამშაბ., 20 აპრ.	**მათრახის პანაშვიდი**
	ოთხშაბ., 21 აპრ.	**დეზერტირკა**
აბაშა:	ხუთშაბ., 22 აპრ.	**ვირის ჩრდილი**
	პარასკ., 23 აპრ.	**დეზერტირკა**
სენაკი:	შაბათს, 24 აპრ.	**ვირის ჩრდილი**
	კვირას, 25 აპრ.	**დეზერტირკა**
ფოთი:	სამშაბ., 27 აპრ.	**ვირის ჩრდილი**
	ოთხშაბ., 28 აპრ.	**დეზერტირკა**
	ხუთშაბ., 29 აპრ.	**ჰამლეტ**
	პარასკ., 30 აპრ.	**მათრახის პანაშვიდი**

დასის შემადგენლობა: 60 კაცი. ახალი ტანისამოსები და დეკორაციები.

დადგმები: **კოტე მარჯანიშვილის, ალ. ახმეტელის და აკაკი ფალავასი.**

ბილეთებზე ჩაწერა სწარმოებს ადგილობრივ თეატრების გამგეებთან ამ თავითვე. პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნებიან პროფ ორგანიზაციების წარმომადგენლები და საბჭოთა მოსამსახურენი.

შემდეგი გასტროლები: ჭიათურაში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ბათომში, სოხუმში, ზუგდიდში, ხაშურში, გორში, თელავში.

2—1. ნ. 1180

ქუთაისის სამაზრო გლეხთა კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 25 ამა აპრილს, დღის 12 საათზე, სამაზრო გლეხთა კომიტეტის ბინაზე ქ. ქუთაისში, ლენინის ქუჩა № 1 შესდგება

საჯარო შეჯიბრება

სამაზრო გლეხკომის განკარგულებაში მყოფ ბაღდათის სიტყეში (აგარაკი საირმე) მჟავე წყლის გასაცემად. პირობების დაწვრილებითი გაგება შეიძლება სამაზრო გლეხკომის ბინაზე ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ქ. 2191 ქუთაისის სამაზრო გლეხკომი

კ. ბაქრაძის

ღვინისა და გასტრონომიული მაღაზია

რუსთაველის პრო'პ. № 18

აცხადებს თავის პატივცემულ მუშტრების—მყიდველების საყურადღებოთ, რომ 15 **აპრილიდან 1 მაისამდე,** ვაჭრობის ხასიათის შეცვლის გამო, ყველა ფირმების მაგარი სასმელები გაიყიდება 18 %-ის დაკლებით.

1—1. 1178 კ. ბაქრაძე

ს. ს. ს. რ. ჯ. ს. კ.

კურორტთა მთავარი სამმართველო

აცხადებს

დამდეგ საკურორტო სეზონში მუშაობის მსურველ პერსონალის საყურადღებოთ:

1. შემოიტანონ განცხადება სამმართველოს სახელზე ა. წ. 20 აპრილამდე და აღნიშნონ თავიანთი ნამსახურობის სტაჟი.
2. ექიმების მიღება მოხდება საკონკურსო კომისიის საშუალებით, საშუალო და უმცროს პერსონალის კი გადამრჩევი კომისიით.
3. საპროტექციო ბარათები საჭირო არ არის.
4. განცხადებები მიიღება კურორტთა მთავარ სამმართველოში, ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) № 30, ოთახი № 21.

ნ. 1177 1 1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 22 აპრილს 1926 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 1, სომხის ბაზარში, სასადილო „ედემი", საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალპეოზ პარჯანაძის მოძრავ ქონებას: პიანინო ფაბრიკა „გეილეს" № 16681, შეფასებულს 100 მანეთად, სპირიდონ ხვადაგიანის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე 2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 6 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 482 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2194 1—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 19 აპრილს, დღის 2 საათზე, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის მოქ. რუსიშვილს და იმყოფება ლენინის ქ. № 40 სასადილო „ალავერდი"-ში. ქონება შესდგება სასადილოს მოწყობილობიდან, როგორიც არის მაგიდები, ვენური სკამები, სპილენძეული სხვადასხვა მაგარი სასმელები და სხვა, და შეფასებულია სულ 195 მანეთად, რომელ ფასიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ქონება აღწერილია სახალხო კვების კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ, ზემოდ ნაჩვენებ მისამართზე, სადაც მსურველთ შეუძლიათ დაათვალიერონ ნივთები ვაჭრობის დღეს. 2180 1—1

თბილისის კომუნალური ბანკი

ბალანსი

1926 წ. 1-ლი აპრილისათვის.

აქტივი.		პასივი.	
კასა და მიმდინარე ანგარიშები	672.234—91	ძირითადი კაპიტალი	2.000.000—00
ღირებულებანი	134.483—58	სათადარიგო კაპიტალი	126.783—19
განაღდება და სპეც. მიმდინარე ანგ. თამასუქებს ქვეშ	2.472.527—88	მთავრობის სპეც. კაპიტალი განსაკუთრებული დანიშნ.	835.240—00
სესხი საქონლის გირაოს ქვეშ	1.136.760—93	სპეციალური კაპიტალი აღმშენებლობისათვის	195.221—76
მიზნობრივი სესხი ა) მოკლევადიანი	1.462.290—09	განაღდება და გადაგირავება	666.301—79
ბ) გრძელვადიანი	2.000.334—62	მიმდინარე ანგარიშები და ანაბარები	2.928.266—52
კორესპოდენტები	173.482—79	გამოუსყიდელი ამანათები	17.353—17
სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	114.143—77	კორესპონდენტები	1.997.456—78
ანგარიში სავაჭრო განყოფილებასთან	1.078.655—56	ანგარიშების გასწორება კომიტენტებთან	235.909—12
ქონება და მონაწილეობა წარმოებებში	286.373—68	სხვადასხვა პირები და დაწესებ.	264.394—43
ანგარიში განყოფილებებთან	1.342.982—56	ანგარიშები საიპოთეკო (სალიკვიდაციო) განყ.	12.365—19
პროტესტში გასული თამასუქები და საეჭვო ვალები	86.142—07	გადაუხდელი დივიდენდი	32.075—00
გადახდილი პროცენტები და კომისია	82.908—25	ანგარიში გამგეობასთან	1.362.657—67
მიმდინარე და სხვა ხარჯები	198.413—64	პროცენტები და კომისია მიღებული	560.348—30
		1924—25 წლის გაუნაწილებელი მოგება	7.361—41
ბალანსი	11.241.734—33	**ბალანსი**	11.241.734—33

ნ. 1176. 1—1.

გამგეობა

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი-მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—19

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

იხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფებ'ს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.

პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ ჟკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914" ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ხიდის მახლობლად

22—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

№ 3[illegible] მიღება ავადმყო[illegible].

კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა ჯართულებები) დილის 8—1

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10-ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე. გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56

25—1

ექიმი

ნ. გ. ახვერდოვი.

ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობ.)

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ქიძის დაღმართი № 15. ყოპირდაპ

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებან კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი.

ბუთოვის ქ. № 38. 25—8

პრაქტიკული ანგარიშისათვის აუცილებელ

ზომა-წონის

(ავტომატიურად)

გადამყვან მანქანას

სწრაფად გადაჰყავს რუსული ზომა-წონა მეტრიულზე და პირიქით.

ყველასათვის მიაწვდომია ენერგიის და შრომის დაუზარჯავათ.

საჭიროა დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, უმაღლეს სასწავლებლების და სკოლების მოსწავლეთა, დ ხლების მუშაკების და ყოველგვარ კანტორისათვის.

იგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 75 კაპიკის მიღების შემდეგ. 3. მან. 75 კაპეიკამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით.

ამანათით იგზავნება 3 მან. და 75 კაპ. რაოდენობით.

გადაგზავნა და ჩაბარება ღირს 15 კაპ. 5 ცალზე მეტის შეკვეთის დროს გადაგზავნა და ჩაბარება უფასოა.

შეკვეთა და ფულები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ბ. ხივიტსკაია, № 9., „ეკონომისტი"-ს ბიურო „ეკონომისტი".

30—1 ნ. 1164

თვალის ექიმი

მ ევსკი

პლეხანოვის პროსპექტი

(ყოფილი მიხეილის პრ.) 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე, დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7 დან 8-დე. 25 1

ბუხჰალტერია

სპეციალურად კურსდ. მთ ვრებულებს და ახლებსაც ვამზადებ პრაქტიკულათ. საღ მოს 5—7 საათამდის. კოოპერაციის ქუჩა № 14. (დიდუბე) პა ჭაძე. 2171 1—1

დაიკარგა საქ. ა. ლ. კ. კ. წევრობის მანდატი № 14931, განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი, დუშეთის აღ. კ. კ. მე-8 ვე სამაზრო ყრილობის სადელეგატო მანდატი და დუშეთის საბავშვო აღ. ლშენიდან 10 დ ის შვებულების მოწმობა იაკობ კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 2185 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 81 და პირადობის მოწმობა კონსტანტინე გუჯაბიძის სახელზე, ჩ. გ. 2189 1—1

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 4963 და პირადობის მოწმობა № 272ა, ივანე სიმონის ძე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 2187 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3380, გიორგი მიხეილის ძე აბზიანიძის სახელზე, ჩ. გ. 2192 1—1

დაიკარგა ს ქ ახ. ლ. კ. კავშირის საწევრო ბილეთი № 5190, სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, 7 კლასის მოწმობა ოზურგეთის ჰუმანიტარული ტეხნიკუმიდან, სიღარიბის მოწმობა, ავადმყოფობის მოწმობა, ანგარიშთ-ყურსობის მოწმობა და სხვა საბუთები გრიგოლ გაბრიელის ძე მდინარაძის სახელზე, ჩ. გ. 2193 1—1

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 640, მარიამ იოსების ასული სტეფანოვის სახელზე ჩ. გ. 2184 1—1

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი, პატენტი და ყრილობის მოწმობა შიოკუნ დავითის ძე იოსებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2183 1—1

დაიკარგა პროფესიონ. კავშირის წიგნაკი № 7917, ბარნაბ იოსების ძე ძნელაძის სახელზე, ჩ. გ. 2182 1—1

დაიკარგა მატრიკული № 1203 სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკ. ფაკ. სტუდენტი რაჟდენ გულავას სახელზე, ჩ გ 2181 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა, 68